

178 /  
1978/3

1,6

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# საქართა საქართველი



თბილისი - 1978

# საქართველო საქართველო

№ 2

მარტი  
აპრილი  
1978 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,  
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს  
მეცნიერულ-კრეატიული შურნალი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

|   |    |
|---|----|
| საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)  | 3  |
| საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცეხადების შესახებ | 34 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ                    | 35 |
| რესპუბლიკის ძირითადი კანონი   | 37 |
| ბ. სავანელი — მართლწესრიგის პრობლემა  | 40 |
| თ. ნინიძე — მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში  | 45 |
| ა. კვაშიავა — მექრთამეობის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საგამომცემო-სასამართლო პრაქტიკაში   | 56 |
| ვ. დომორაძე — რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოებში აღრიცხვის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ  | 61 |

### დოკუმენტური კინო სამართლებრივი პროპაგანდის სამსახურში

|  |    |
|--|----|
| ქართველ იურისტთა და კინემატოგრაფისტთა შეხვედრა | 67 |
| ბ. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი     | 75 |

### ქალთა სამართალში დღისათვის

|  |    |
|--|----|
| გ. ბოკერია — დაფასებული შრომა                        | 86 |
| ლ. ჭანტურია — ნახევარი საუკუნე სასამართლო ორგანოებში | 87 |

### კრიტიკა და ბიულეობრაჟია

|  |    |
|--|----|
| ა. გაბიანი, ნ. ხარჭველაძე — საბჭოთა კრიმინოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი | 88 |
| არბიტრაჟის პრაქტიკა  | 91 |

### წიგნობა

|                         |    |
|-------------------------|----|
| ზ. იოსელიანი            | 94 |
| ო. გ. ბურდულაძე         | 95 |
| ცნობები ივტორთა შესახებ | 96 |

70/172

11 მარტი



# СОДЕРЖАНИЕ

|   |    |
|---|----|
| КОНСТИТУЦИЯ (Основной Закон) ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ   | 3  |
| ДЕКЛАРАЦИЯ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР О принятии и объявлении Конституции (Основного Закона) Грузинской Советской Социалистической Республики | 34 |
| ЗАКОН Грузинской Советской Социалистической Республики О порядке введения в действие Конституции (Основного закона) Грузинской ССР                  | 35 |
| Основной Закон республики   | 37 |
| Б. Саванели — Проблема правопорядка   | 40 |
| Т. Нииндзе — Проблема морального вреда в гражданском праве  | 45 |
| А. Квашилава — Некоторые вопросы квалификации взяточничества в следственно - судебной практике  | 56 |
| В. Доморацкий — Об использовании современных методов учета в органах юстиции республики   | 61 |

## ДОКУМЕНТАЛЬНОЕ КИНО НА СЛУЖБЕ ПРАВОВОЙ ПРОПАГАНДЫ

|  |    |
|--|----|
| Встреча грузинских юристов и кинематографистов | 67 |
| С. Высоцкий — Пропащие среди живых             | 75 |
| <b>К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН</b>             |    |
| Г. Бокерия — Вознагражденный труд              | 86 |
| Л. Чантурия — Полвека в судебных органах       | 87 |

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

|  |    |
|--|----|
| А. Габияни, Н. Сарджвеладзе — Значительные приобретения советской криминологии | 88 |
| Практика арбитража   | 91 |

## НЕКРОЛОГ

|                     |    |
|---------------------|----|
| З. Г. Иоселиани     | 94 |
| И. Г. Бурдуладзе    | 95 |
| Сведения об авторах | 96 |



სარედაქციო  
კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) თ. ლადიანი, ლ. თალაკვაძე,
- გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
- გ. უვანია, გ. ტუშუელიძე, ვ. ქვაჩახია
- ა. შუშანაშვილი, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კლუბანოვის კრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 14/III-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IV-78 წ.  
 ფორმატი 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი  
 ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-სავამომცემლო თაბახი 8.87  
 შეკვ. № 811 ტირაჟი 20900 უე 10014



# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)


დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოების ხელისუფლების დამყარების შედეგად ჩვენი ქვეყნის მშრომლებმა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, დაიცივეს სოციალიზმის მონაპოვარნი და ააშენეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება — მშრომელ ადამიანთა ჭეშმარიტი თავისუფლების საზოგადოება, სადაც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა და მალღდება კულტურა, მტკიცდება მუშათა კლასის, კომუნურნი გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

დიდმა ოქტომბერმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ბედის განსაზღვრაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გამარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

საქართველოს ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთიან ოჯახად განაპირობა ქართველი ხალხის განვითარება და აღმავლობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თანასწორუფლებიანი რესპუბლიკაა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნისმის ერთობლივი მშენებლობისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი, ხელმძღვანელობს რა მეცნიერული კომუნისმის იდეებით, თვლის რა თავს მთელი საბჭოთა ხალხის განუყოფელ ნაწილად, იცავს რა საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას და შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციისა (ძირითადი კანონისა), რომელმაც დაამკვიდრა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებს და პოლიტიკის საფუძვლები, განსაზღვრა მოქალაქეთა უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები, იღებს და საქვეყნოდ აცხადებს ამ კონსტიტუციას.



# I. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი ნებსყოზილაზისა და პოლიტიკის საფუძვლაზი

## თავი 1

### პოლიტიკური სისტემა

**მუხლი 1.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

**მუხლი 2.** საქართველოს სს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

**მუხლი 3.** საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი — ქვემოდან ზემოთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევითობა, ნათი ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე, ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოებს გადაწყვეტილებათა სავალდებულობა. დემოკრატიული ცენტრალიზმი ერთიან ხელმძღვანელობას უზამებს აღდგომობრივ ინიციატივასა და შემოქმედებას აქტიურობას, თითოეული სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის.

**მუხლი 4.** საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს.

**მუხლი 5.** სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილება, აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის).

**მუხლი 6.** საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის სამინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად და დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნისტური გამარჯვებისათვის.

ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.

**მუხლი 7.** პროფესიული კავშირები, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, საენეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში.

**მუხლი 8.** შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმოებისა და სოციალური განვითარების დაგეგმვაში, კადრების მომზადებასა და განაწილებაში, საწარმოთა და დაწესებულებათა მართვის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, იმ სახსრების გამოყენების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წარმოების განვითარებისათვის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და მატერიალური წახალისებისათვის.

შრომითი კოლექტივები ავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს უწყობენ მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, თავიანთ წევრებს ზრდიან კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით, ზრუნავენ მათი პოლიტიკური შეგნებულობის, კულტურისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

**მუხლი 9.** საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიწართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკვლები საფუძვლის განმტკიცება, საჯაროობის გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება.

## თავი 2

### ეკონომიკური სისტემა

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით.


სოციალისტური საკუთრებაა აგრეთვე პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება, რომელიც მათ საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად სჭირდებათ.

სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის მისი შემდგომი ზრდის პირობებს.

არავის არა აქვს უფლება პირადი გამოჩენის და სხვა ანგარებითი მიზნით გამოიყენოს სოციალისტური საკუთრება.

**მუხლი 11.** სახელმწიფო საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

ნხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს: მიწა, მისი წილი, წყალი, ტყე, სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე სახელმწიფოს ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.



**მუხლი 12.** კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების საკუთრებაა წარმოების საშუალებანი და სხვა ქონება, რომელიც სჭირდებათ მათ საწესდებო ამოცანების განხორციელებისათვის.

მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, მათ აქვთ მიჩენილი უსასყიდლო და უფადო სარგებლობისათვის.

სახელმწიფო ხელს უწყობს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განვითარებას და მის დაახლოებას სახელმწიფო საკუთრებასთან.

კოლმეურნეობები, ისევე როგორც სხვა მიწათმოსარგებლენი, ვალდებული არიან ეფექტიანად იყენებდნენ მიწას, უფრთხილდებოდნენ მას, ზრდიდნენ მის ნაყოფიერებას.

**მუხლი 13.** საქართველოს სსრ მოქალაქეების პირადი საკუთრების საფუძველს შეადგენს შრონითი შემოსავალი. პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობისა და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, საცხოვრებელი სახლი და შრომითი დანაზოგი. მოქალაქეთა პირად საკუთრებას და მისი მემკვიდრეობის უფლებას სახელმწიფო იცავს.

მოქალაქეებს შეიძლება სარგებლობისათვის ჰქონდეთ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ კანონით დადგენილი წესით ეძლევათ დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის (კერძოდ, პირუტყვისა და ფრინველის საყოლად), მეზღვრობისა და მებოსტნეობისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის. მოქალაქენი ვალდებული არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთები. სახელმწიფო და კოლმეურნეობები ხელს უწყობენ მოქალაქეებს დამხმარე მეურნეობის გაძღოლაში.

ქონება, რომელიც პირად საკუთრებად ან სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს, არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის წყარო და გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ინტერესების საზიანოდ.

**მუხლი 14.** საზოგადოებრივი სიმიდრის ზრდის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა საბჭოთა ადამიანების შრომა, რომელიც თავისუფალია ექსპლოატაციისაგან.

შესაბამისად სოციალიზმის პრინციპისა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“, სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი. იგი განსაზღვრავს დასაბეგრი შემოსავლის გადასახადის ოდენობას.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავენ ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში. სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს ნატურალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას, შრომისადმი შემომქმედებით დამოკიდებულებას და ამით ხელს უწყობს იმას, რომ შრომა პირველ სასაიცოცხლო მოთხოვნილებად გადაექცეს ყოველ საბჭოთა ადამიანს.

**მუხლი 15.** სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანია რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

სახელმწიფო ეყრდნობა მშრომელთა შემოქმედებით აქტიურობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, სრულყოფს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ფორმებსა და ნეთოდებს და ამით უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას.

**მუხლი 16.** საქართველოს სსრ ეკონომიკა შემადგენელი ნაწილია ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისა, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს.

ეკონომიკის ხელმძღვანელობა ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების გათვალისწინებით, ისეთ პირობებში, როცა ცენტრალიზებული მართვა შეხამებულია საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან. ამასთან აქტიურად გამოიყენება სამეურნეო ანგარიში, მოგება, თვითღირებულება, სხვა ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები.

**მუხლი 17.** საქართველოს სს რესპუბლიკაში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ-ეკონომიკური სარეწობის, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე საქმიანობის სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია ეხლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე. სახელმწიფო აწესრიგებს ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის.

**მუხლი 18.** ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წილის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შესანარჩუნებლად, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და აღმიახნის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესების მიზნით.

## თავი 3

### სოციალური განვითარება და კულტურა

**მუხლი 19.** საქართველოს სსრ სოციალურ საფუძველს შეადგენს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურდვევი კავშირი.

სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გაძლიერებას — კლასობრივი განსხვავებების, ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავებების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და დაახლოებას.

**მუხლი 20.** შესაბამისად კომუნისტური იდეალისა — „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობა“ — სახელმწიფო მიზნად ისახავს გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

**მუხლი 21.** სახელმწიფო ზრუნავს შრომის დაცვისა და პირობებსა გაუმჯობესებისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირებისა, მერე კი მისი მთლიანად განდევნისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო პროცესთა კონპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე.

**მუხლი 22.** საქართველოს სს რესპუბლიკაში თანამიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად, გაფართოვდეს სოფლად სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური ნეურნეობის დაწესებულებათა ქსელი; გარდაიქმნას სოფლები კეთილმოწყობილ დაბებად.

**მუხლი 23.** შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე სახელმწიფო განუხრეკლად ახორციელებს კურსს, რომ აამაღლოს შრომის ანაზღაურების დონე, მშრომელთა რეალური შემოსავალი.

საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილე-



ბის მიზნით იქმნება მოხარების საზოგადოებრივი ფონდები. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობით სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ ფონდების ზრდას და სამართლიან განაწილებას.

**მუხლი 24.** საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებს და ვითარდება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური ნეურნეობის სახელმწიფო სისტემები.

სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში. იგი ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

**მუხლი 25.** საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, ამზადებს მას შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

**მუხლი 26.** საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწყვეს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში.

**მუხლი 27.** სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული ღონის ამაღლებლად.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას.

#### თავი 4

### საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა და სოციალისტური სამომავლო დაცვა

**მუხლი 28.** საქართველოს სს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საგარეო პოლიტიკის მიზნებით, ამოცანებითა და პრინციპებით, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ომის პროზაგანდა აკრძალულია.


**მუხლი 29.** სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სოციალისტური სამშობლოს დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს განეკუთვნება და მთელი ხალხის საქმეა.

სოციალისტურ მონაპოვართა, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ეთლიანობის დაცვის მიზნით შექმნილია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და დაწესებულია საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება.

ხალხის წინაშე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოვალეობაა საიმედოდ იცავდნენ სოციალისტურ სამშობლოს, მუდამ მზად იყვნენ ბრძოლისათვის, რათა დაუყოვნებლივ უკუაგდონ ყოველი აგრესორი.

**მუხლი 30.** საქართველოს სსრ მონაწილეობს ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში, ყველა საჭირო საშუალებით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვაში.

სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მოვალეობებს ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.



## II. სახელმწიფო და პიროვნება

### თავი 5

#### საქართველოს სსრ მოქალაქეობა. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა

**მუხლი 31.** სსრ კავშირში დაწესებული ერთიანი საკავშირო მოქალაქეობის შესაბამისად საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა. საბჭოთა მოქალაქეობის შექენისა და დაკარგვის საფუძველს და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანაბარი უფლებებით.

საქართველოს სსრ მოქალაქეები საზღვარგარეთ სარგებლობენ საბჭოთა სახელმწიფოს დაცვითა და მფარველობით.

**მუხლი 32.** საქართველოს სსრ მოქალაქენი თანასწორი არიან კანონის წინაშე, წარმომობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

**მუხლი 33.** საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომისა და მის ანაზღაურებაში, სამუშაოზე დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დასაცავად; ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას; დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ფსიხიკური მშვიდობისა და სხვა შეღავათების მიცემა, მცირეწლოვან ბავშვთა დედების სამუშაო დროის თანდათან შემცირება.

**მუხლი 34.** საქართველოს სსრ სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეებს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების პოლიტიკა, მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დედაენისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენების გამომყენების შესაძლებლობა.

მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულვებელყოფის ყოველგვარი ქადაგება, კანონით ისჯება.

**მუხლი 35.** უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს სს რესპუბლიკაში გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებანი და თავისუფლებანი, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმად-



თონ სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი პირადი, ქონებრივი, ოჯახური და სხვა უფლებების დასაცავად.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი მოვალენი არიან პატივი სცენ სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციას და დაიცვან საბჭოთა კანონები.

**მუხლი 38.** საქართველოს სს რესპუბლიკა თავშესაფრის უფლებას აძლევს უცხოელებს, რომლებსაც დევნიან მშრომელთა ინტერესებისა და მშვიდობის საქმის დაცვისათვის, რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული ან სხვაგვარი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

## თავი 6

### საქართველოს სსრ მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი

**მუხლი 37.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით. სოციალისტურა წესწყობილება უზრუნველყოფს მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა გაფართოებას, მათი ცხოვრების, პირობების განუწყვეტელ გაუმჯობესებას სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამების შესრულების კვალობაზე.

მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

**მუხლი 38.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებით, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, — მათ შორის უფლება — აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, უფასო პროფესიული სწავლება, შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება, პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემათა განვითარება.

**მუხლი 39.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს ღუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ხელფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.

კოლმეურნეთა სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობას აწესრიგებენ კოლმეურნეობები.

**მუხლი 40.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწე-

სებულებათა მიერ გაწეული უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება; მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკაჟებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება; უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო საინჟინერიო განვითარება და სრულყოფა; ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება; გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებანი; განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის, კერძოდ — აკრძალვა ბავშვთა შრომისა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლებასა და შრომით აღზრდასთან; დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირების, მოქალაქეთა ხანგრძლივი აქტიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად მეცნიერული კვლევის განვითარება.

**მუხლი 41.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, შრომის უნარის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე შარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ ნატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების სოციალური დაზღვევა, დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო; პენსიები ასაკის, ინვალიდობისა და შარჩენალის დაკარგვის გამო, რომლებიც გაიცემა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ხარჯზე; იმ მოქალაქეთა შრომითი მოწყობა, რომლებმაც ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი; ზრუნვა ღრმად მოხუცებულ მოქალაქეებსა და ინვალიდებზე; სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმები.

**მუხლი 42.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობა, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით, აგრეთვე ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის სიმცირე. საქართველოს სსრ მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ მათთვის მიცემულ ბინას.


**მუხლი 43.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასა და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო დაცემა; სკოლას და დაენაზე სწავლის შესაძლებლობა; თვითგანათლების პირობების შექმნა.

**მუხლი 44.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევა-ბით სარგებლობის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული საწამულო და მსოფლიო კულტურის ღირებულებათა საყოველთაო მისაწვდომობა; რესპუბლიკის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარება და თანაბარზომიერი განლაგება; ტელევიზიისა და რადიოს, წიგნის გამოცემის საქმისა და პერაოდული პრესის, უფასო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება; საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან კულტურული გაცვლის გაფართოება.

**მუხლი 45.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ამას უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ფართოდ გამოლა, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება. სახელმწიფო ქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს, მხარს უჭერს ნებაყოფლობით საზოგადოებებსა და შემოქმედებით კავშირებს, ორგანიზაციას უწყევს გამოგო-



ნებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში.

ავტორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებს სახელმწიფო იცავს.

**მუხლი 46.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღებაში.

ამ უფლებას უზრუნველყოფს შესაძლებლობა აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და სხვა არჩევითს სახელმწიფო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო-სახალხო განხილვისა და კენჭისყრაში, სახალხო კონტროლში, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი თვითმომქმედების ორგანოების მუშაობაში, შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებში.

**მუხლი 47.** საქართველოს სსრ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დადგენილ ვადაში განიხილონ მოქალაქეთა წინადადებანი და განცხადებანი, გასცენ მათ პასუხი და მიიღონ საჭირო ზომები.

კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია, კრიტიკისათვის მდევნელი პირნი პასუხისგებაში ნაეცემიან.

**მუხლი 48.** ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წესწყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება.

ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩებისა და მოედნების დათმობა, ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა.

**მუხლი 49.** კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმომქმედების განვითარებას, მათი მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

**მუხლი 50.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება, ანუ უფლება — აღიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდნენ არავითარ რელიგიას, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას. შუღლისა და სიძულვილის გავლევება რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებით აკრძალულია.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა — ეკლესიისაგან.

**მუხლი 51.** ოჯახს სახელმწიფო იცავს.

ჭირწინებას საფუძვლად უდევს ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი თანხმობა; მეუღლეები სავსებით თანასწორუფლებიანი არიან ოჯახურ ურთიერთობაში.

სახელმწიფო ზრუნავს ოჯახისათვის იმით, რომ ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს, აწყობს და სრულყოფს საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და საზოგადოებრივ კვებას, გასცემს დახმარებას ბავშვის დაბადების გამო, აძლევს წრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს, აგრეთვე უწყევს ოჯახს სხვა დახმარებასა და შემწეობას.

**მუხლი 52.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა. არ შეიძლება ვისიმე დაპატიმრება ისე, თუ არ იქნა საფუძველი — სასამართლოს გადაწყვეტილება ან პროკურორის სანქცია.

**მუხლი 53.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ბინის ხელშეუხებლობა. არავის არა აქვს უფლება კანონიერი საფუძვლის უქონლად შევიდეს ბინაში იქ მცხოვრებ პირთა ნების საწინააღმდეგოდ.

**მუხლი 54.** მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს კანონი იცავს.

**მუხლი 55.** მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მოვალეობაა.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ პატიოსნებისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება.

**მუხლი 56.** საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება გაასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება. საჩივრები განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში.

თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ბღალავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება აიანაზღაურონ ზარალი, რომელიც უქანონო მოქმედებით მიაყენეს მათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებში, აგრეთვე თანამდებობის პირებში სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას.

**მუხლი 57.** უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან.

საქართველოს სსრ მოქალაქე ვალდებულია იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის ძალად წოდებას.

**მუხლი 58.** საქართველოს სსრ თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან.

**მუხლი 59.** საქართველოს სსრ მოქალაქე მოვალეა უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. საქართველოს სსრ მოქალაქის ვალია ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და მფლანგველობას, უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს.

სოციალისტური საკუთრების ხელმყოფი პირები ცხვებიან კანონის მიხედვით.

**მუხლი 60.** საქართველოს სსრ მოქალაქე მოვალეა იცავდეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, ხელს უწყობდეს მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია.

სამშობლოს დაცვა უმძიმესი დანაშაულია ხალხის წინაშე.

**მუხლი 61.** სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახური საქართველოს სსრ მოქალაქეების საპატიო მოვალეობაა.

**მუხლი 62.** საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქის მოვალეობაა პატივს სცემდეს სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას, განამტკიცებდეს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობას.

**მუხლი 63.** საქართველოს სსრ მოქალაქე მოვალეა პატივს სცემდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, შეურიგებელი იყოს ანტისაზო-

გადღობრივი საქციელისადმი, ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

**მუხლი 64.** საქართველოს სსრ მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ამზადებდნენ მათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, ზრდიდნენ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად. შვილები მოვალენი არიან ზრუნავდნენ მშობლებისათვის და ეხმარებოდნენ წათ.

**მუხლი 65.** საქართველოს სსრ მოქალაქენი მოვალენი არიან უფრო ხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეებს.

**მუხლი 66.** ისტორიული ძეგლებსა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა-შენახვისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა მოვალეობაა.

**მუხლი 67.** საქართველოს სსრ მოქალაქის ინტერნაციონალური მოვალეობაა ხელს უწყობდეს სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

### III. საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო და აღმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილება

#### თავი 7

##### საქართველოს სსრ მოკავშირე რესპუბლიკაა სსრ კავშირის შემადგენლობაში

**მუხლი 68.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების, უშიშროებისა და თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ერების თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად, ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან, უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად — ერთიან საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ.

აწის საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ

საქართველოს სსრ დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

**მუხლი 69.** საქართველოს სს რესპუბლიკა ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.

**მუხლი 70.** საქართველოს სსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. საქართველოს სს რესპუბლიკასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა.

**მუხლი 71.** საქართველოს სს რესპუბლიკაშია: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში არის: აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბიარჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დჰანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, ქაპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მთიკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელი წყაროს, წულუკიძის, ხაშურის, ხობის რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები: თბილისი, გორი, ზუგდიდი, რუსთავი, ტყაბული, ფოთი, ქუთაისი, წყალტუბო და ჭიათურა.

**მუხლი 72.** საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება:

1) საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებათა შეტანა;

2) საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესრულებისადმი კონტროლი და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფა;

3) საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა და შემდგომი წარდგენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად;

4) საქართველოს სსრ კანონდებლობა;

5) სახელმწიფო წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

6) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა;

7) ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, საქართველოს სსრ ეკონომიკის ხელმძღვანელობა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელება;


8) საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება, მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება; აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების განხორციელების ხელმძღვანელობა;

9) სსრ კავშირის კანონდებლობის შესაბამისად იმ შემოსავლის დადგენა, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნას მოხმარდება;

10) სახალხო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების, რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელობა;

11) მიწით, წიაღით, ტყითა და წყლით სარგებლობის წესის დადგენა; გარემოს დაცვა;





12) საბინაო და კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო მშენებლობისა და ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, საგზაო მშენებლობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობა;

13) საქართველოს სსრ სახალხო განათლების, კულტურული და სამეცნიერო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის ხელმძღვანელობა; ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა;

14) ამნისტია და საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ მოქალაქეთა შეწყალება;

15) საქართველოს სსრ რესპუბლიკის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში;

16) რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა საკითხების გადაწყვეტა.

**მუხლი 73.** საქართველოს სსრ რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის რაიონულ დაყოფასა და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების სხვა საკითხებს.

**მუხლი 74.** საქართველოს სსრ რესპუბლიკა ნონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე სსრ კავშირის უფლებამოსილების აღსრულებას, ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა მის განგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

**მუხლი 75.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებიც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.

**მუხლი 76.** საქართველოს სსრ რესპუბლიკას აქვს უფლება ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

**მუხლი 77.** სსრ კავშირის კანონები სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

**მუხლი 78.** სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი.

## თავი 8

### ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

**მუხლი 79.** ავტონომიური რესპუბლიკა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც არის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებათა ფარგლებს გარეთ დამოუკიდებლად წყვეტს მის გამგებლობაში შემავალ საკითხებს.

ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კონსტიტუციას შეესაბამება და ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს.

**მუხლი 80.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მონაწილეობენ საქართველოს სს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა გადაწყვეტაში შესაბამისად საქართველოს სსრ და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მეშვეობით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზრუნველყოფენ კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავიანთ ტერიტორიებზე, ხელს უწყობენ ამ ტერიტორიებზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უფლებამოსილების აღსრულებას, ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მათს გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევენ და აკონტროლებენ საკავშირო და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

**მუხლი 81.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე.

**მუხლი 82.** საქართველოს სსრ კანონები სავალდებულოა და ერთნაირი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმება საქართველოს სსრ კანონს, მოქმედებს საქართველოს სსრ კანონი.

**თავი 9**

**ავტონომიური ოლქი**

**მუხლი 83.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სს რესპუბლიკის შენადგენლობაშია.

**მუხლი 84.** კანონს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ იღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ამ ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით.

**IV. საქართველოს სსრ  
სახალხო დეპუტატთა საბჭოები  
და მათი არჩევის წესი**

**თავი 10**

**სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემა  
და მათი საქმიანობის პრინციპები**

**მუხლი 85.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ.

2. საბჭოთა სამართალი, № 2

ს. მ. გ. ცხის ს. ხ. ს. ს. სსრ  
სახელმწიფო

**მუხლი 86.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადა ორ-ნახევარი წელია.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნები ინიშნება არა უგვიანეს ორი თვისა შესაბამისი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

**მუხლი 87.** სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების გამგებლობას მიკუთვნებული უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილება და წყდება მათ სესიებზე.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ირჩევენ მუდმივ კომისიებს, ქმნიან აღმასრულებელ და განმკარგულებელ, აგრეთვე სხვა მათს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს.

**მუხლი 88.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან ორგანოებს სახალხო კონტროლისას, რომელიც სახელმწიფო კონტროლს უხამებს მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სახალხო კონტროლის ორგანოები კონტროლს უწევენ სახელმწიფო გემებისა და დავალებების შესრულებას; ებრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, კუთხურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებებს, უყაირათობასა და მფლანგველობას, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს; ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფას.

**მუხლი 89.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათს შესრულებას, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

**მუხლი 90.** სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები სისტემატურად აწვდიან ცნობებს მოსახლეობას თავიანთი მუშაობის და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

## თახი 11

### საარჩევნო სისტემა

**მუხლი 91.** სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფართული კენჭისყრით.

**მუხლი 92.** დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც თვრამეტი წელი შეუსრულდა უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილ წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

**მუხლი 93.** დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს შიგლივთ ერთი ხმა აქვს; ყველა ამომრჩეველი თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

**მუხლი 94.** დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს ნოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ.

**მუხლი 95.** დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფართულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი არ დაიშვება.

**მუხლი 96.** დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად

საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს ჯარის ნაწილებში.

საქართველოს სსრ მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარანტირებულია დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი აგიტაციის უფლება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

**მუხლი 97.** სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატებს საარჩევნო ოლქების მიხედვით ირჩევენ.

საქართველოს სსრ მოქალაქე, როგორც წესი, არ შეიძლება არჩეულ იქნეს ორზე მეტ სახალხო დეპუტატთა საბჭოში.

საბჭოების არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ წარგზავნილი წარმომადგენლებისაგან იქმნება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

**მუხლი 98.** ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები განიხილავენ ამომრჩეველთა განაწესებს, ითვალისწინებენ მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, ორგანიზაციას უწყვენ განაწესების შესრულებას და აცნობებენ მოქალაქეებს მათს რეალიზაციას.

## თავი 12

### სახალხო დეპუტატი

**მუხლი 99.** დეპუტატები ხალხის სრულყოფილებიანი წარმომადგენლები არიან სახალხო დეპუტატთა საბჭოებში.

დეპუტატები მონაწილეობენ საბჭოების მუშაობაში და წყვეტენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, უზრუნველყოფენ საბჭოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლს უწყვენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

თავის საქმიანობაში დეპუტატი ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფო ინტერესებით, ითვალისწინებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, იღვწის ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის.

**მუხლი 100.** დეპუტატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

საბჭოს სესიის დროს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

**მუხლი 101.** დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ ამ შეკითხვას საბჭოს სესიაზე.

დეპუტატს უფლება აქვს მიმართოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას დეპუტატის საქმიანობის საკითხებზე და მონაწილეობა მიიღოს თავის მიერ აღძრული საკითხების განხილვაში. შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალ-

დებული არიან დაუყოვნებლივ მიიღონ დებუტატი და განიხილონ მისი წინადადებანი დადგენილ ვადაში.

**მუხლი 102.** დებუტატისათვის უზრუნველყოფილია მის უფლება-წოდება-ლომბათა დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები.

დებუტატის ხელშეუხებლობა, აგრეთვე დებუტატის საქმიანობის სხვა გარანტიები დადგენილია კანონით დებუტატთა სტატუსის შესახებ და სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით.

**მუხლი 103.** დებუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესახებ ამომრჩეველებს, აგრეთვე კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დებუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

დებუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, ნებისმიერ დროს შეიძლება გაწვეულ იქნეს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

## V. საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

### თავი 13

#### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

**მუხლი 104.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია წყვეტდეს ყველა საკითხს, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციითა და ამ კონსტიტუციით საქართველოს სსრ რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღებას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, საქართველოს სსრ შენაღდგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მათი შემდგომი წარდგენით; საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას; უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნას მხოლოდ და ნხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ახორციელებს.

საქართველოს სსრ კანონები მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ ან სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწეობა.

**მუხლი 105.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შედგება 440 დებუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით, სადაც მოსახლეობის თანაბარი რაოდენობაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო მის მიერ არჩეული სამანდატო კომისიის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დებუტატთა უფლებამოსილებას ცნობის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი ცალკეული დებუტატების არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

**მუხლი 106.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის ოთხ მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს სხდომებს და განაგებს მის შინაგანაწესს.

**მუხლი 107.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს იწვევენ წელიწადში ორჯერ.

რიგგარეშე სესიებს იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ინიციატივით ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სულ ცოტა მესამედის წინადადებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია შედგება მისი სხდომებისაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წუდმივი და სხვა კომისიების სხდომებისაგან, რომლებიც უმაღლესი საბჭოს სხდომებს შუა პერიოდში ეწყობა.

**მუხლი 108.** საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში ეკუთვნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებს მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ და სხვა კომისიებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ პროკურორს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით.

**მუხლი 109.** კანონების პროექტებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეტანილ სხვა საკითხებს განიხილავენ მის სხდომებზე. საჭიროების შემთხვევაში კანონის პროექტი ან შესაბამისი საკითხი შეიძლება წინასწარი ან დამატებითი განხილვისათვის გადაეცეს ერთ ანდა რამდენიმე კონისას.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობით.

საქართველოს სსრ კანონების პროექტები და რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოტანილი იქნეს სახალხო განხილვისათვის.

**მუხლი 110.** საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ენებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

**მუხლი 111.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აქვს უფლება შეკითხვით მიმართოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და სხვა ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, მოვალენი არიან სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გასცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე.

**მუხლი 112.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დააპატიმრებენ ან სასამართლო წესით აღინიშნავენ სასჯელს ვერ დაადებენ, თუ არ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თანხმობა, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა.

**მუხლი 113.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო არჩევს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მის წინაშე და ამ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში ახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში.

**მუხლი 114.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ირჩევენ



დებუტატებისაგან შემდგეი შემადგენლობით: უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის სამი მოადგილე, მათ შორის ორი მოადგილე ავტონომიური რესპუბლიკებისაგან, პრეზიდიუმის მდივანი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თათხმეტი წევრი.

**მუხლი 115.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:

1) ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს;

2) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს;

3) კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კონისიების საქმიანობას;

4) კონტროლს უწევს საქართველოს სსრ კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და კანონებს.

5) ნიშნავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნებს;

6) განმარტავს საქართველოს სსრ კანონებს;

7) ხელმძღვანელობს ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას;

8) განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების საკითხთა გადაწყვეტის წესს; ადგენს და ცვლის ავტონომიური ოლქის საზღვრებსა და რაიონულ დაყოფას; ქმნის ქალაქებს რაიონებში და ქალაქების რაიონებს; ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას; სახელს უცვლის რაიონებს, ქალაქებსა და ქალაქების რაიონებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს;

9) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების რაიონულ დაყოფას, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნას, ქალაქების დაქვემდებარების შეცვლას, რაიონების, ქალაქების, ქალაქების რაიონების სახელის დარქმევასა და გადარქმევას, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტების სახელის გადარქმევას;

10) აუქმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს, სახალხო დებუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონს.

11) აწესებს და ანიჭებს საქართველოს სსრ საპატიო წოდებებს; აჯილდოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით;

12) ანიჭებს საქართველოს სსრ მოქალაქეობას; წყვეტს თავმესაფრის მიცემის საკითხს;

13) ახორციელებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ მოქალაქეთა შეწყალებას;

14) ახდენს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას;

15) ნიშნავს საქართველოს სსრ დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიწვევს მათ იქიდან;

16) იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელებს;

17) ახორციელებს საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 116.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით:

1) შეაქვს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები საქართველოს სსრ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში;

2) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლას; ქმნის ახალ რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს;

3) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებით ქმნის და აუქმებს

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს;

4) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს და ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირებს.

**მუხლი 117.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცენს ბრძანებულებებს და იღებს დადგენილებებს.

**მუხლი 118.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას ვადის ვასვლის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს საქართველოს სსრ ახლად არჩეულ უმაღლესი საბჭოს მეორე ახალი პრეზიდიუმის შექმნამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა შემადგენლობის პრეზიდიუმ-მა საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭო უნდა მოიწვიოს ან-ჩეგნებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

**მუხლი 119.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო დეპუტატებისაგან ირ-ჩევს მუდმივ კომისიებს იმისათვის, რომ მათ წინასწარ განიხილონ და მოამ-ზადონ მის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუ-წიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, როცა საჭიროდ მიაჩნია, ქმნის თავის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხის გამო საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიებს.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თა-ნამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კონსიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დო-კუმენტები.

კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწი-ფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებ-მა. განსივლის შედეგები ან მიღებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კომი-სიებს დადგენილ ვადაში.

**მუხლი 120.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, რომელიც მეთაურობს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას.

**მუხლი 121.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგ-ლამენტი და საქართველოს სსრ სხვა კანონები, რომლებიც ამ კონსტიტუციის საფუძველზე გამოიცემა.

## თავი 14

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

**მუხლი 122.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღ-მასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

**მუხლი 123.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მი-ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოად-გილეები, საქართველოს სსრ მინისტრები, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს შეუძლია საქართველოს სსრ წთავრობის შენადგენლობაში შეიყვანოს საქართველოს სსრ სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიონზე.

**მუხლი 124.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებს ანგარიშს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

**მუხლი 125.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც საქართველოს სსრ რესპუბლიკის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხები კონსტიტუციის თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედის.

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) უზრუნველყოფს სახალხო ზეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობას; შეიმუშავებს და ახორციელებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების უზრუნველყოფის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებს; ხელს უწყობს ფულისა და კრედიტის სისტემის განმტკიცების, სახელმწიფო დაზღვევის და აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიან სისტემის ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას; მონაწილეობს ფასების, შრომის ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის გატარებაში; ორგანიზაციას უწყევს სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და გაერთიანებების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მართვას;

2) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი; იღებს ზომებს საქართველოს სსრ სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის განხორციელებისათვის, საქართველოს სსრ რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკური და ქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის; კოორდინაციასა და კონტროლს უწყევს საკავშირო და ქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე; საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს;

3) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ინტერესების, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად და დასაცავად;

4) იღებს ზომებს სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად;

5) ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ რესპუბლიკის ურთიერთობას უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან იმ წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის შიგნით;

6) ქმნის საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-

თან სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამმართველოებსა და სხვა უწყებებს;

7) წარმართავს და ამოწმებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობას, ხელმძღვანელობს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობას.

**მუხლი 126.** სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების და სახელმწიფო ზართვის სხვა საკითხების გადაწყვეტად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ორგანოს სახით მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, აგრეთვე მთავრობის სხვა წევრების შენაღვენლობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 127.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათ შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა საქართველოს სსრ მიერ ტერიტორიაზე.

**მუხლი 128.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება, აგრეთვე გააუქმოს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

**მუხლი 129.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აერთიანებს და წარწართავს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების მუშაობას.

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ან ახორციელებენ დარგთშორის მართვას, და ექვემდებარებიან როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს ან სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ან ახორციელებენ დარგთშორის მართვას, და ექვემდებარებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს აქვს-რიათ პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი მმართველობის სფეროების მდგომარეობისა და განვითარებისათვის; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოისციმენ აქტებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებენ მათ შესრულებას.

**მუხლი 130.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის კომპეტენციას, მათი საქმიანობის წესს, მინისტრთა საბჭოს ურთიერთობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლი-



კური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხას საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე განსაზღვრავს კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

## VI. ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

თავი 15

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

**მუხლი 131.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები უფლებამოსილი არიან გადაწყვიტონ ყველა საკითხი, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკების გამგებლობას განაკუთვნიებენ სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს სსრ კონსტიტუცია და ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების მიღებას, ამ კონსტიტუციებში ცვლილებების შეტანას, ამ ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, სახელმწიფო ბიუჯეტებისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას; მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნას ახორციელებენ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონებს იღებენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

**მუხლი 132.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები ირჩევენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების მუდმივმოქმედ ორგანოებს, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან მათ წინაშე მთელ თავიანთ საქმიანობაში და კონსტიტუციებით გათვალისწინებულ ფარგლებში ახორციელებენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს მათს სესიებს შუა პერიოდში.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების შემადგენლობას და უფლებამოსილებას განსაზღვრავენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციები.

თავი 16

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო

**მუხლი 133.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს — ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს — ქმნიან ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წინაშე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიებს შუა პერიოდში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წინაშე.

**მუხლი 134.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები გამოსცემენ დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათს შესასრულებლად, ორგანიზაციას უწყვენ და ამოწვენ მათს შესრულებას.

**მუხლი 135.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ გააუქმონ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს უფლება აქვთ გააუქმონ ამ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და მათი სხვა საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

**მუხლი 136.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები აერთიანებენ და წარმართავენ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, მათი სხვა საქვეუწყებო ორგანოების მუშაობას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ან ახორციელებენ დარგთშორის მართვას, და ექვემდებარებიან როგორც ამ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ისე აგრეთვე საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს.

## VII. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის აღგილობრივი ორგანოები საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

### თავი 17


#### სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოები

**მუხლი 137.** ავტონომიურ ოლქში, რაიონებში, ქალაქებში, ქალაქების რაიონებში, დაბებსა და სოფლებში სახელმწიფო ხელისუფლების აღგილობრივი ორგანოებს წარმოადგენენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

**მუხლი 138.** სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოები წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად, ახორციელებენ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ ქვემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას, მონაწილეობენ რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვთ მათ შესახებ წინადადებანი.

სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას; ამტკიცებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, აღგილობრივი ბიუჯეტსა და მათი შესრულების ანგარიშებს; ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; უზრუნველყოფენ კანონების შესრულებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვას; ხელს უწყობენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

**მუხლი 139.** თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დეპუტატ-



ტთა ადგილობრივი საბჭოები უზრუნველყოფენ კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე; კონტროლს უწევენ ამ ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვას; კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების დარგში.

**მუხლი 140.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები იღებენ ვალდებულებებს მათთვის სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით მინიჭებულ ფარგლებში.

ადგილობრივი საბჭოების ვადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

**მუხლი 141.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიას იწვევენ მათი აღმასრულებელი კომიტეტები სულ ცოტა წელიწადში ოთხჯერ.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უფლებამოსილი არიან განიხილონ და ვადაწყვიტონ სესიებზე ნებისმიერი საკითხი, რომლებსაც მათს გამგებლობას მიაკუთვნებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა. იმ საკითხების ნუსხას, რომლებსაც წყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ სესიებზე, ადგენენ კანონები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ.

**მუხლი 142.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები დეპუტატთაგან ირჩევენ ნუდმივ კომისიებს, რათა მათ წინასწარ განიხილონ და მოამზადონ ადგილობრივი საბჭოების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საბჭოების ვადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგები ან მიღებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კომისიებს დადგენილ ვადაში.

**მუხლი 143.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, ხელმძღვანელობენ რა ქვემდგომი საბჭოების საქმიანობას, უფლება აქვთ გააუქმონ ქვემდგომი საბჭოების აქტები იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტები არ შეესაბამება კანონმდებლობას!

**მუხლი 144.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომითს კოლექტივებთან მჭიდრო კავშირით, გამოაქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები მოქალაქეთა განსახილველად, აბანენ მათ მუდმივი კომისიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოებისადმი სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების მუშაობაში, ხელს უწყობენ ადგილობრივი ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობას და ავითარებენ მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედებას.

**თახი 18**

**სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები**

**მუხლი 145.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც ისინი დეპუტატებისაგან ირჩევენ თავმჯდომარის, მისი მოადგილების, მდივნისა და წევრების შემადგენლობით.

აღმასრულებელი კომიტეტები წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებენ საბჭოებს, რომლებმაც ისინი აირჩიეს, აგრეთვე შრომათაი კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებს.

**მუხლი 146.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უშუალოდ ანგარიშვალდებული არიან როგორც მათი ამრჩევი საბჭოს, ისე ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს წინაშე.

**მუხლი 147.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას შესაბამის საბჭოების ტერატორიაზე, მათი ამრჩევი საბჭოებისა და სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

აღმასრულებელი კომიტეტები იწვევენ საბჭოების სესიებს, კოორდინაციას უწევენ საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობას; ხელს უწყობენ დეპუტატებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში; ორგანიზაციას უწევენ საბჭოებისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების, აგრეთვე ამომრჩეველთა განწყობების შესრულებას; ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ მმართველობის ორგანოებს.

**მუხლი 148.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს და ვამოსცემენ განკარგულებებს.

**მუხლი 149.** სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გააუქმონ ქვედგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

**მუხლი 150.** აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებს ქმნიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული საბჭოები. ეს განყოფილებები და სამმართველოები თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს, ისე სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების ნუსხას და მათი შექმნის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.


**მუხლი 151.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მათი აღმასრულებელი კომიტეტები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ აღმასრულებელი კომიტეტების არჩევამდე.

## VIII. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი

თავი 19

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა

**მუხლი 152.** საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შემადგენელი ნაწილია.



საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების მიზანია კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად ამოცანათა და მიმართულებათა შესაბამისად.

**მუხლი 153.** საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმები განსაზღვრავს ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანებს, შეიცავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის დარგებისა და ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების განვითარების მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებსა და გეგმებს, მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს.

**მუხლი 154.** საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას შემუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გეგმათა პროექტების საფუძველზე.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში შეტანილია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების ძირითადი მაჩვენებლები.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავება ხორციელდება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოლექტივების წინადადებების გათვალისწინებით.

**მუხლი 155.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგემო-საბიუჯეტო და სხვა მულტივი კომისიების დასკვნების მიხედვით იხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას.

**მუხლი 156.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებას და ახორციელებს ღონისძიებებს საგემო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

**მუხლი 157.** საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების ანგარიშებს ახილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. გეგმების შესრულების ზოგადი მაჩვენებლები ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

## თავი 20

### საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი

**მუხლი 158.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია.

**მუხლი 159.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი აერთიანებს საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

**მუხლი 160.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს

შორის განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

**მუხლი 161.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს შეიმუშავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველზე; ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნების მიხედვით.

**მუხლი 162.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მაჩვენებლები ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

## IX. მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა

თავი 21

### სასამართლო და არბიტრაჟი

**მუხლი 163.** მართლმსაჯულებას საქართველოს სს რესპუბლიკაში ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

საქართველოს სსრ სასამართლოები არიან: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

საქართველოს სსრ სასამართლოების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები.

**მუხლი 164.** საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს რაიონის (ქალაქის) მოქალაქეები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას ღია კენჭისყრით ორ-ნახევარი წლის ვადით.

ზემდგომ სასამართლოებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან ამომრჩევლების ან ამრჩევი ორგანოების წინაშე, ანგარიშს აბარებენ მათ და შეიძლება მათ მიერ გაწვეულ იქნენ კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 165.** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ზედამხედველობას უწევს საქართველოს სსრ სასამართლოების სასამართლო საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

**მუხლი 166.** სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხდება კოლეგიურად; პირველი ინსტანციის სასა-



მართლოში — სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით, სახალხო მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ.

**მუხლი 167.** მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

**მუხლი 168.** საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე.

**მუხლი 169.** საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს დახურულ სდომანზე საქმეთა მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

**მუხლი 170.** ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

**მუხლი 171.** სამართალწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენებზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

**მუხლი 172.** არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად.

**მუხლი 173.** მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქეები უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას.

ადვოკატურის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

**მუხლი 174.** სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში დასაშვებია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

**მუხლი 175.** საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავას წყვეტენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში.

## თავი 22


### პროკურატურა

**მუხლი 176.** საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმადლოესი ზედამხედველობა ხორციელდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორის და ქვემდგომი პროკურორების მიერ.

**მუხლი 177.** საქართველოს სსრ პროკურორს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

რაიონულ და საქალაქო პროკურორებს ნიშნავს საქართველოს სსრ პროკურორი და ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

**მუხლი 178.** საქართველოს სსრ პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.



**მუხლი 179.** პროკურატურის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას ყოველგვარი ადვილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებიან.

## X. საქართველოს სსრ ბერძენი, დროშა, ჰიმნი და დედაქალაქი

**მუხლი 180.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი წარმოადგენს წრეს, რომლის ზედა ნაწილში, წითელ ფონზე, გამოსახულია მნათი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გაშლილი სხივებით; ქვემოთ — დათვილი ცისფერი მთაგრებილია შუაში აღმართული თოვლიანი მწვერვალით; წრის ქვედა ნაწილში გამოსახულია მარჯვნივ — ოქროს ვაზი ყურძნის მტევნით; მარცხნივ — ოქროს სამი თავთავი, თავთავებისა და ვაზის ბოლოები გადახლართულია ერთმანეთში წრის ქვედა კედესთან: შუაგულის დიდი ნაწილი უჭირავს ოქროს ნამგლისა და უროს გამოსახულებას, რომელიც ებჯინება: ზემოთ — ვარსკვლავის გაშლილ სხივებს, ქვემოთ — მთაგრების მწვერვალს, ხოლო გვერდებზე — თავთავებსა და ვაზს; ნამგლისა და უროს ქვემოთ არის წარწერა: „საქ. სსრ“. წრეს გარს შემოვლებული აქვს ქართული ჩუქურთმებიანი არშია, რომლის შიდა რკალზე, თეთრ ფონზე მოთავსებულია ორი მცირე ვარსკვლავით გამიჯნული წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

**მუხლი 181.** საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა წარმოადგენს მარჯვენა კუთხედის ფორმის წითელ ქსოვილს. სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 1:2, ზედა კუთხეში, ტართან მოთავსებულია ცისფერი კვადრატი, რომლის გვერდი დროშის სიგანის ნახევარს უდრის, კვადრატის შუაგულში წრეა, რომლის რადიუსი კვადრატის გვერდის მესამედს შეადგენს. წრეში ნამგალი და უროა. მათ თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, წრიდან კვადრატს გვერდებს 24 სხივი ეფინება. ნამგალი, ურო, ვარსკვლავი და სხივები წითელი ფერისაა. კვადრატის მარჯვენა გვერდის შუაგულიდან დროშას მთელ სიგრძეზე გასდევს ცისფერი ზოლი, რომლის სიგანე კვადრატის გვერდის მესამედია.

**მუხლი 182.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 183.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი არის თბილისი.

## XI. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოქმედება და მისი შეცვლის წესი

**მუხლი 184.** საქართველოს სსრ ყველა კანონი და სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტები გამოიცემა საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად.

**მუხლი 185.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შეცვლა ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი უმრავლესობა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს**  
**დეკლარაცია**  
**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური**  
**რესპუბლიკის კონსტიტუციის**  
**(ძირითადი კანონის)**  
**ვიღებისა და გაემოცხადების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც საქართველოს სსრ ხალხის სახელით მოქმედებს და მის სუვერენულ ნებას გამოხატავს, იღებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციას (ძირითად კანონს) და აცხადებს, რომ იგი ძალაში შედის 1978 წლის 15 აპრილიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამჯდომარე  
**კ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი  
**თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 15 აპრილი.

---

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის  
(ძირითადი კანონის)

სამოქალაქო უფლებების წესის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღ-  
ლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ  
კანონები, საქართველოს სსრ სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტე-  
ბი, რომლებიც მიღებულია 1978 წლის 15 აპრილამდე, ძალაში რჩება,  
რამდენადაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ 1978 წლის  
კონსტიტუციას.

**მუხლი 2.** დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტი-  
ტუციის მიღებამდე არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო,  
აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები ახორციელებ-  
ენ მთელ უფლებამოსილებას, რომელსაც უმაღლეს საბჭოებს ანი-  
ჭებს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია.

საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის მიღებამდე არჩე-  
ული სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები ახორ-  
ციელებენ მთელ უფლებამოსილებას, რომელსაც სახალხო დეპუტატ-  
ების აღმასრულებელ საბჭოებს ანიჭებს საქართველოს სსრ ახალი  
კონსტიტუცია.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ვადები, რომ-  
ლებიც საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის 86-ე მუხლით  
არის დადგენილი, ვრცელდება მის მიღებამდე არჩეულ საბჭოებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განსაზღვ-  
როს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ  
სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი საბჭოების მორიგი არჩევნების  
დოკუმენტის დრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სა-  
ბჭოების პრეზიდიუმებმა — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის

ანსრ უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეკუტატთა ადგილობრივი საბჭოების მორიბი არჩევნების მოწყობის დრო.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის შესაბამისად შექმნილი სახალხო დეკუტატთა საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, სასამართლოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ უფლებამოსილებას, რომელსაც მათ ანიჭებს საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუცია, აგრეთვე, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე საკანონმდებლო აქტების მიღებამდე, — კანონმდებლობა, რომელიც გამოცემულია ახალი კონსტიტუციის მიღებამდე.

**მუხლი 4.** რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოთა სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა, რომელიც საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის 164-ე მუხლით არის დადგენილი, ვრცელდება მის მიღებამდე არჩეულ სახალხო მსაჯულებზე.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტო-საფინანსო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანოს კანონთა კრედიტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო დეკუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეზოლუციის კრედიტის, აგრეთვე, განსაზღვროს საქართველოს სსრ კანონმდებლობის საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციისთან შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის წესი.

**მუხლი 6.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიქმნას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანოს კანონის კრედიტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

**მუხლი 7.** სახალხო დეკუტატთა საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა და განმკარგულებელმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა განიხილონ საქართველოს სსრ კონსტიტუციის კრედიტის საუკველთაო-სახალხო განხილვისას შემოსული მოქალაქეთა წინადადებები და შენიშვნები ამ ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და განახორციელონ მათი რეალიზაციის ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტის თანხმდობა  
კ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტის მდივანი  
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 15 აპრილი.


## რესპუბლიკის ძირითადი კანონი

1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პერვე სესიამ, რომელმაც მთელი ქართველი ხალხის ნება-სურვილი გამოხატა, მიიღო ახალი, ჭეშმარიტად სახალხო კონსტიტუცია. ისევე როგორც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციაც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონია. იგი შემუშავებულია ქვეყნის ძირითადი კანონის სრული შესაბამისობით და, ამავე დროს, ითვალისწინებს რესპუბლიკის ისტორიულ და ეროვნულ თავისებურებებს.

ახალ კონსტიტუციაში 11 კარი, 22 თავი და 185 მუხლია. აქამდე მოქმედი კონსტიტუცია კარებად არ იყო დაყოფილი. იგი სულ 14 თავსა და 162 მუხლს შეიცავდა. არასწორი იქნება ეს განსხვავება მარტოდენ რაოდენობრივი ანდა წმინდა იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით განვიხილოთ. ახალი კონსტიტუცია თვალსაჩინოდ, არსებითად, თვისებრივად განსხვავდება 1937 წელს მიღებული კონსტიტუციისაგან. მასში უფრო სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები, სახელმწიფოსა და პიროვნების უფლება-მოვალეობანი, სოციალისტური დემოკრატიის საკითხები. კონსტიტუციაში განსაკუთრებული გულისყურით არის დამუშავებული დებულებანი სოციალისტური დემოკრატიის შესახებ, დემოკრატიისა, რომელიც მომწიფებული სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი კანონზომიერებაა და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის გადამწყვეტი მიმართულებაა.

კონსტიტუციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახალხო დებუტატთა საბჭოებს, რომლებიც რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. ამჟამად რესპუბლიკაში 1.104 ადგილობრივი საბჭოა, რომლებშიც არჩეულია 36 ეროვნების 50.000-მდე დებუტატი. ადგილობრივ საბჭოებში შექმნილია 6.641 კომისია, რომლებშიც არჩეულია 40.000-ზე მეტი დებუტატი. კონსტიტუციით გაფართოებულია საბჭოების უფლებამოსილებანი, გაზრდილია მათი რწმუნების ვადები, ორმოცი დებუტატით გადიდდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა. სიახლეა ისიც, რომ კონსტიტუციაში პირველად შეიტანეს დებულება საბჭოების მუდმივი კომისიების შესახებ. ამ ცვლილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული და მასობრივი ორგანოების — სახალხო დებუტატთა საბჭოების საქმიანობის მოწესრიგებისათვის.

კონსტიტუციაში სრულყოფილად არის დამუშავებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების სტატუსი, საზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის—მთელი ჩვენი პოლიტიკური სისტემის ბირთვის, სოციალისტურ სახელმწიფოში საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველ ძალის უდიდესი როლი. კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო ფართოვდება,



დრმავედება შინაპარტიული დემოკრატია, მტკიცედება დისციპლინა, ძლიერდება პარტიის კავშირი მასებთან.

ახალ კონსტიტუციაში საქართველოს ეკონომიკურ საფუძვლებს სულ ცხრა მუხლი აქვს დათმობილი, მაგრამ მათში შესანიშნავად, ლაკონურად არის მოცემული საქართველოს ეკონომიკის მწყობრი სისტემა, რომლის საფუძველთა საფუძველია წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. პირადად გამორჩენის მიზნით სოციალისტური საკუთრების გამოყენების დაუშვებლობის მოთხოვნა იქცა საკონსტიტუციო პრინციპად. კონსტიტუციის მიხედვით მოქალაქეებს შეიძლება სარგებლობისათვის ჰქონდეთ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ, კანონით დადგენილი წესით, ექვემდებარება დამხმარე მეურნეობის გაძლიერებისათვის (კერძოდ პირუტყვისა და ფრინველის საყოლად), მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის. მოქალაქენი ვალდებული არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიცემული ნაკვეთები. ამასთან დაუშვებელია ამ უფლების გამოყენება საზოგადოების ინტერესის საზიანოდ. „საგანგებო კურობების ღირსია — აღნიშნა სესიაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ — კონსტიტუციის ნე-13 მუხლი, რომელიც მოქალაქეების სარგებლობაში მიწის ნაკვეთების ქონების უფლების დაკანონებასთან ერთად კრძალავს პირადი საკუთრების არასრომიითი შემოსავლის წყაროდ გადაქცევასა და საზოგადოების ინტერესების საზიანოდ გამოყენებას. ამ მუხლის განხორციელება გამორიცხავს იმ გადახრებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს არცთუ ისე შორეულ წარსულში და რომლებიც ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არ არის“.<sup>1</sup>


საქართველოს ახალი კონსტიტუცია მოქალაქეებს უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას ანიჭებს, ამასთან ერთად, აკისრებს მოვალეობას საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე.

კონსტიტუციაში უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი და უაღრესად დახვეწილია სოციალისტური კანონიერების პრინციპი. მე-4 მუხლის მიხედვით „საბჭოთა სახელმწიფო და ყველა მისი ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგს, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობების პირებმა, პირველ რიგში პროკურატურის მუშაკებმა, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მოქალაქეებმა მთლიანად და სრულად ისარგებლონ იმ სიკეთით, რომელსაც სოციალისტური სახელმწიფო, საბჭოთა კანონები აღუთქვამენ მათ. „სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მოქალაქეთა ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი ფორმები — თქვა სესიაზე ე. შევარდნაძემ — ძალიან კარგად არის დამუშავებული ჩვენში, მაგრამ უფრო უკეთესად უნდა დამუშავდეს საბჭოთა მოქალაქეების უფლებების განხორციელების ეფექტიანი სამართლებრივი ფორმები“.<sup>2</sup> ამ საკითხის გადაწყვეტაში თავისი სიტყვა უნდა თქვან სწავლულმა და პრაქტიკოსმა იურისტებმა.


<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1978 წლის 15 აპრილი.

<sup>2</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1978 წლის 25 აპრილი.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკლარაციით რესპუბლიკის ძირითადი კანონი ძალაში შევიდა 1978 წლის 15 აპრილიდან.

ჩვენი ამოცანაა, ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ახალი კონსტიტუციის ძირითად დებულებებს, რომ მისი თითოეული მუხლი უსათუოდ შესრულდეს, მთლიანად დამკვიდრდეს ცოცხალ პრაქტიკაში, რადგან, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მე-9 მოწვევის რიგგარეშე მე-7 სესიაზე თქვა „კონსტიტუცია დეკორაციისათვის როდი შევქმენით, იგი უნდა სრულდებოდეს და შესრულდება ყველა მის ნაწილში. იგი უნდა გახდეს და კიდევ გახდება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მძლავრი საშუალება“<sup>3</sup>.



<sup>3</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, საბოლოო სიტუვა სსრ კავშირის მე-9 მოწვევის რიგგარეშე მე-7 სესიაზე. გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 8 ოქტომბერი.





## მართლმადიდებლის პრობლემა

ბ. საშახელი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ პრაქტიკა თეორიის ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ამოცანები, რომლებიც დგას საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მეცნიერებისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირის პირობებში. სქოლასტიკურ თეორეტიზირებას შეუძლია მხოლოდ დაამუხრუჭოს ჩვენი წინსვლა. მხოლოდ პრაქტიკასთან კავშირს შეუძლია აამაღლოს მეცნიერების ეფექტურობა, ეს უკანასკნელი კი — დღეს ცენტრალურ პრობლემათაგანია<sup>1</sup>.

საბჭოთა იურიდიული მეცნიერება სახელმწიფოსა და სამართლის საკანონო, კარდინალურ საკითხებს ყოველთვის აყენებდა და წყვეტდა მატერიალისტური პოზიციებიდან. მიუხედავად ამისა, ისეთ ზედმიწევნით მატერიალისტურ პრობლემას როგორც მართლწესრიგია, აშკარად ბედმა არ გაუღიმა, საბჭოთა მეცნიერებმა ფართოდ გამოიკვლიეს სოციალისტური სამართლისა და კანონიერების პრობლემა, ღრმად შეისწავლეს სამართლის განხორციელების ფორმები, ყოველმხრივ დაამუშავეს სამართლებრივი ურთიერთობის თეორია, მაშინ, როდესაც მართლწესრიგი, რომელშიც, სხვათა შორის, ხდება ზემოაღნიშნული მოვლენების ტრანსფორმაცია, ათეული წლები ჩრდილში იმყოფებოდა. ამის დადასტურებაა — პრობლემის დღევანდელი მდგომარეობა: თემას მიეძღვნა მხოლოდ ერთი მონოგრაფია და რამდენიმე წერილი<sup>2</sup>, არ არის დადგენილი მართლწესრიგის არსებითი სპეციფიკური ნიშანი, მართლწესრიგი არსებითად გაიგივებულია ან სამართალთან ან კანონიერებასთან ან სამართლებრივ ურთიერთობასთან ან სამართლის შეფარდებასთან.

ბ. ალექსანდროვის აზრით — „კანონიერება და მართლწესრიგი გამოხატავენ არსებითად ერთი და იგივე მოვლენის ორ სხვადასხვა ასპექტს, სამართლის ორ ასპექტს — სამართალს ობიექტური გავებით და სამართალს სუბიექტური გავებით. ის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც კანონებთან (ნორმებთან) მიმართებაში გამოიხატება კანონიერებაში, სამართლით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან კავშირში წარმოადგენს მართლწესრიგს...

მართლწესრიგი არის წესრიგი — სამართლებრივი ნორმებით რეგულირებულ ნებით ურთიერთობებში, რომელიც მყარდება კანონების ზუსტი შესრულების უზრუნველყოფის გზით და გამოიხატება იმაში, რომ ჯერ ერთი,

<sup>1</sup> Материалы XXV съезда КПСС, М., 1976, с. 72—73.

<sup>2</sup> См. Борисов В. В. Правовой порядок развитого социализма. Саратов, 1977; Границкий, П. С., Некоторые вопросы теории социалистического правопорядка — «Труды Университета дружбы народов им. Патриса Лумумбы», т. 20. вып. 2, М., 1967; Котлярский, Г. С. Правопорядок в советском обществе. Автореферат канд. дис., М., 1966; ცალკეულ, მეტად ზოგად, დებულებებს ჩვენ გხვდებით სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში.

ზოგადი სამართლებრივი აკრძალვები არ ირღვევიან, მეორეც, მოქალაქეთა და ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი დაცულია და მათი უფლებათშარანობა შეიძლება განხორციელებულ იქნეს დაუბრკოლებლად; მესამე — სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი განუხრელად ასრულებენ მათზე დაკისრებულ იურიდიულ მოვალეობებს და რეალურად აქვთ უზრუნველყოფილი მათი უფლებების განხორციელება<sup>3</sup>.

ნ. ალექსანდროვის ამ ნააზრევთან გამომდინარეობს, რომ მართლწესრიგი განეკუთვნება სამართალს სუბიექტური აზრით, მართლწესრიგი არის სამართლებრივი რეჟიმი სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მართლწესრიგი არის წესრიგი ნებით ურთიერთობებში, მართლწესრიგის პირობებში მთელი სისრულით ხორციელდება კანონიერება.

ჯერ ერთი, სწორი არ არის მართლწესრიგის შინაარსის ასეთი გაღარბება. მართლწესრიგს აქვს უფრო ღრმა და ფართო შინაარსი, რადგან მართლწესრიგი არას სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმის კონცენტრირებული გამოხატულება, და არა მხოლოდ სამართლისა — სუბიექტური გაგებით.

მეორეც, ნ. ალექსანდროვი მართლწესრიგის არსებობას უკავშირებს კანონიერების სრულ განხორციელებას. ნ. გ. ალექსანდროვს თუ დაუვჯრებთ გამოდის, რომ თუ კი არ არსებობს კანონიერების სრული განხორციელება — არ არსებობს მართლწესრიგი. მაგრამ ასეთი იდეალური მდგომარეობა კლასობრივ საზოგადოებაში შეუძლებელია. და საერთოდ, ასეთ კატეგორიულ და უპირობო ურთიერთობას კანონიერებასა და მართლწესრიგს შორის პრაქტიკაში ადგილი არა აქვს. კანონიერებასა და მართლწესრიგს შორის ურთიერთობის მექანიზმი გაპირობებულია იმდენი სოციალური ფაქტორით, რომ მათ შორის უშუალო „ავტომატური“ ურთიერთდამოკიდებულება პრაქტიკულად გამოირიცხულია.

მესამე, მართლწესრიგის გაიგივება სამართლებრივი ნორმების ზუსტ და განუხრელ განხორციელებასთან<sup>4</sup>, არ არის სწორი არამარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. სამართალმა იცის არაერთი დისპოზიციური ნორმა, რომლის ფარგლებში შეიძლება მრავალი მოქმედების შესრულება და თითოეული ეს მოქმედება თანაბრად „კანონიერი“ იქნება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთა მონაწილენი არ შედიან იმ საკითხის სპეციალურ განსჯაში თუ რამდენად ზუსტად და განუხრელად ასრულებენ ისინი კანონებს. ასეთი მტკიცება ეფუძნება განსხვავებას სამართლის ნორმის შეფარდებასა და უფლების (მოვალეობის) განხორციელებას შორის.

ზოგიერთი ავტორი არსებითად აიგივებს სამართალს და მართლწესრიგს. მაგალითად, სახელმწიფოს და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის კურსის ავტორების აზრით: „მართლწესრიგი გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის შეცვლისა და შეწყვეტის მკაცრად განსაზღვრულ წესრიგს, კანონის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თანმიმდევრობას იურიდიუ-

<sup>3</sup> Александров Н. Г. Законность и правоотношения в советском обществе, М., 1955, с. 122, 126.

<sup>4</sup> Явич Л. С. Государство и социалистический правопорядок. М., 1967, с. 8. Алексеев С. С. Проблемы теории права. Курс лекции в 2-х томах, т. 1, Свердловск, 1972, с. 124—125.



ლად ღირებული მოქმედების, სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მიერ უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების წესს... მართლწესრიგს კანონი იცავს იმ აზრით, რომ მართლწესრიგის დარღვევას მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა<sup>5</sup>.

ჯერ ერთი, ზემოთმოყვანილი დებულებები გამორიცხავს სამართლით მოწესრიგებულ საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა მოქმედების ნებით ხასიათს, მათში არ არის გათვალისწინებული სამართლის შემფარდებელი ორგანოების სამართლის ნორმების დამაკონკრეტებელი საქმიანობა, რითაც იქმნება სამართლის ნორმების ავტომატური განხორციელების ილუზია.

მეორე, „კურსის“ ავტორები არ უწყვეტ ანგარიშს იმას, რომ სამართალი და მართლწესრიგი არიან სხვადასხვა სოციალური რიგის მოვლენები. თუ კი სამართალი მიუთითებს იმას, თუ როგორი უნდა იყოს მართლწესრიგი (სამართალი განეკუთვნება „ჯერარსობის“ სფეროს), მართლწესრიგი მიანაზნებს იმაზე თუ როგორი არის სინამდვილეში ის წესრიგი, რომელიც უნდა იყოს სამართლის აზრით (მართლწესრიგი განეკუთვნება „არსის“ სფეროს), მართლწესრიგი ხსნის სამართლისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალურ ურთიერთობას, მაშინ როდესაც სამართლიდან შეიძლება დედუციურებულ იქნეს მათი ურთიერთობის მხოლოდ იდეალური მოდელი<sup>6</sup>. ამ მიმართებით უნდა დავეთანხმეთ ვ. ვ. ბორისოვს, რომელიც სწორად აღნიშნავს: „სოციალისტური სამართლის სისტემა ტრანსფორმირდება მართლწესრიგის სისტემაში. განსხვავება ისაა, რომ სამართლის არა ყველა ინსტიტუტი სორციელდება თანაბრად, რადგან ყველა მათგანი არ არის სიცოცხლისუნარიანი და გავრცელებული. რეალურ სინამდვილეში შეიძლება წარმოიშვას ან არ წარმოიშვას კანონით გათვალისწინებული ცხოვრებისეული გარემოებები. და პირიქით, ცხოვრებაში შეიძლება წარმოიშვას ისეთი ურთიერთობანი, რომლებიც კანონით არ არიან გათვალისწინებული, მაგრამ ითხოვენ სამართლებრივ მოწესრიგებას. ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია კანონის და სამართლის ანალოგიით. სამართლის სისტემა და მართლწესრიგის სისტემა — მონათესავე, მაგრამ არა იგივეობრივი კატეგორიებია“<sup>7</sup>.

სამართლის ნორმებს წინასწარ არ შეუძლიათ გამოითვალონ იურიდიული ფაქტების მრავალრიცხოვანი კომბინაციები, რის გამოც საზოგადოებრივ ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების მოცულობა დამოკიდებულია იურიდიული ფაქტების შემადგენლობისაგან. უმრავლეს შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს არა ერთი რომელიმე ფაქტი, არამედ იურიდიული ფაქტების შემადგენლობა.

<sup>5</sup> Марксистско-ленинская общая теория государства и права, т. I, М., 1970, с. 533, 536.

<sup>6</sup> მართლწესრიგი, განსხვავებით სამართლისაგან, საზოგადოებრივი ყოფის ელემენტია. „სამართალი არის ძალა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის მოქმედებაში აუცილებლობის ერთი ტენდენციის გამოვლენას და უპირისპირდება აუცილებლობის გამოვლენის სხვა ტენდენციებს. ასეთი დაპირისპირების შედეგად საზოგადოებაში მყარდება განსაზღვრული მართლწესრიგი. მართლწესრიგი საზოგადოებრივი ცხოვრების სინთეზური სფეროა, სადაც ადამიანთა მოქმედებებში სამართლის ნორმებით გამოხატული აუცილებლობის გამოვლენის ერთი ტენდენცია — აუცილებლობის გამოვლენის სხვა ტენდენციებთან დაპირისპირება ხდება“. იხ. ჩვენი წერილი — ბ. ფხალაძე, სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის შესახებ. „საბჭოთა სამართალი“ 1973, № 4, გვ. 58, 64.

<sup>7</sup> Борисов В. В. Правовой порядок. с. 232—233.

მესამე, — ძნელი წარმოსადგენია მართლწესრიგის დარღვევა; თუკი იგი გულისხმობთ, რომ იგი „სამართლით მოწესრიგებული ნებითი საზოგადოებრივი ურთიერთობებია“<sup>8</sup>. პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას არა საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარღვევის შედეგად, არამედ იმ ნორმების დარღვევის შედეგად, რომლებიც ამ საზოგადოებრივ ურთიერთობებს იცავს. ამ დროს მართლწესრიგი კი არ ირღვევა, არამედ ნორმები, რომლებიც იცავს მას. მართლწესრიგს სამართალდაცვითი ნორმები იცავს.

სამართლისა და მართლწესრიგის გაიგივების ცდუნებას ვერც ვ. ვ. ბორისოვი აცდა. მისი აზრით: „მართლწესრიგი სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი. მას აქვს საჯარო ხასიათი. ხელისუფლება განსაზღვრავს მის სფეროს, განხორციელების პროცედურას, მის მონაწილეებს და მათი ურთიერთობის რეგულაციებს, დადგენილი წესის დარღვევის შედეგებს, სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის განხორციელებას და ბევრ სხვა რამეს, რისგანაც განპირობებულია მისი სახელმწიფო — ნებითი ხასიათი“<sup>9</sup>. საქმარცხია მოყვანილ ციტატაში სიტყვა „მართლწესრიგის“ ნაცვლად ვიხმაროთ სიტყვა „სამართალი“ და ჩვენ მივიღებთ სამართლის აღიარებულ განსაზღვრებას.

ზოგიერთი ავტორი არსებითად აიგივებს სამართალს და სამართლებრივ ურთიერთობას. პ. გ. ნედბაილს, ი. ფ. რიბაკოს, ი. ა. სოკოლოვის აზრით მართლწესრიგი არის სამართლის ნორმებით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების შედეგი, რეზულტატი. მათი აზრით მართლწესრიგი გამოიხატება უფლებაუნარიანობის განხორციელებაში, სამართლებრივი სტატუსის დაცვაში, უფლებებისა და მოვალეობების არსებობაში<sup>10</sup>.

არ შეიძლება მართლწესრიგის გაიგივება სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობასთან. მართლწესრიგი არ არის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების უბრალო ჯამი. ამ მიმართებით უნდა დავეთანხმოთ ვ. ვ. ბორისოვის შემდეგ ფორმულას: „მართლწესრიგი არის ყველა სამართლებრივი პროცესისა და პროცედურის დამამთავრებელი ეტაპი... ყველა სამართლებრივი კატეგორია და ინსტიტუტი ტრანსფორმირდება მართლწესრიგში. ასეთი ტრანსფორმაციის შედეგად ისინი კარგავენ თავიანთ თვისებებს, გადასცემენ რა მართლწესრიგს ზოგიერთ მათგანს, რომელთა ურთიერთმიქმედების ერთობლიობა ქმნის ახალ თვისებას. აღნიშნული გარემოება ნიმუშა რაოდენობრივი მახასიათებლების გადასვლისა თვისობრივში, რაც განპირობებს მართლწესრიგის რთულ სისტემურ ხასიათს“<sup>11</sup>.

მართლწესრიგი განსახიერებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტატიკას, იმ ზოგადს, სტაბილურს და მდგრადს, რაც ახასიათებს მრავალფეროვან კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

აქ სანიმუშოდ მოყვანილი შეხედულებები გამოხატავენ იმ აზრთა სხვადასხვაობას, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. მართლწესრიგის შესახებ საბჭოთა მეცნიერ-იურისტთა შეხედულებების სისტემატიზაციის და მათი ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ავტორები, რომლებიც მართლწესრიგს განსაზღვრავენ, როგორც სამართლებრივ რეჟიმს, როგორც კანონიერების განხორციელებას, როგორც კანონიერ-

<sup>8</sup> «Курс», т. I, с. 536.

<sup>9</sup> Борисов В. В. Правовой порядок..., с. 67.

<sup>10</sup> «Курс», т. I, с. 541.

<sup>11</sup> Борисов В. В. Правовой порядок..., с. 68—69.

რების რეჟიმს მოქმედებაში, როგორც დისციპლინას, არსებითად მართლწესრიგს აიგივებენ კანონიერებასთან.

ავტორები, რომლებიც მართლწესრიგს განსაზღვრავენ, როგორც სამართლის მიერ ასახულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობას, როგორც ადამიანის მოქმედების წესს, როგორც სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეთა სამართლის ნორმებისადმი დაქვემდებარებას, არსებითად მართლწესრიგს აიგივებენ სამართალთან.

ავტორები, რომლებიც მართლწესრიგს განსაზღვრავენ, როგორც სამართლებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას, როგორც უფლება-უნარიანობის განხორციელებას, როგორც სამართლის ნორმის განხორციელებას, როგორც სამართლით და კანონიერებით უზრუნველყოფილ ადამიანთა მოქმედებებს, არსებითად მართლწესრიგს აიგივებენ სამართლებრივ ურთიერთობებთან.

მართლწესრიგის სხვა იურიდიული კატეგორიების მეშვეობით განსაზღვრება მას უკარგავს თვისებრივ განსაზღვრულობას. ჩვენ არ უარყოფთ, რომ მართლწესრიგს მკიდრო კავშირურთიერთობა აქვს სხვა სამართლებრივ კატეგორიებთან, მაგრამ იმავდროულად ვაყენებთ საკითხს, რომ მოიძებნოს მისი თვისებრივი მახასიათებელი.

ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ახლოს პრობლემის არსს მიუახლოვდა ბ. ს. ვრაციანსკი, რომელიც მართლწესრიგს განსაზღვრავს, როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის შემოქმედების შედეგს, რეზულტატს“<sup>12</sup>. მაგრამ ასეთი მტკიცება ცალმხრივია და ამიტომ არასრული. ამ განსაზღვრებაში საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოდგენილია როგორც პასიური ფენომენი, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ურთიერთობა გაცილებით დინამიურია, ვიდრე სამართალი.

მართლ სამართალი კი არ შემოქმედებს საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობაც შემოქმედებს სამართალზე. მართლწესრიგი კი სამართლისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ურთიერთმოქმედების შედეგია. სხვა მხრივ, მართლწესრიგი იქცევა სამართლის ადექვატური განხორციელების შედეგად, რაც პრაქტიკაში არ ხდება. სამართლისა და მართლწესრიგის განსხვავება, ჩვენი აზრით, ეფუძნება ფილოსოფიური კატეგორიების — მიზნის, საშუალებისა და შედეგის დიალექტიკურ ურთიერთობას<sup>13</sup>.

სოციოლოგიურ ასპექტში სამართლისა და მართლწესრიგის განსხვავება, ჩვენი აზრით, ემყარება სამართლის მოდელირების პრობლემას, განსხვავებას მყარად დეტერმინირებულ და ალბათობრივად დეტერმინირებულ სისტემებს შორის<sup>14</sup>.

მართლწესრიგის შესწავლას ზედმიწევნით დიდი შემეცნებითი და, რაც მთავარია, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სამართლის განხორციელების სოციალური შედეგი ნააღდ გვიჩვენებს კანონმდებლობის და კანონიერების ფაქტობრივად განხორციელების დონეს, სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების ეფექტურობის ხარისხს.

<sup>12</sup> Грацианский С. упот. работа, с. 36.

<sup>13</sup> См. Трубников Н. Н. О категориях «цель», «средство», «результат», М., 1968, с. 70 — 36.

<sup>14</sup> Стафорд Бир, Кибернетика и управление производством. М., 1965, с. 34 (перевод с английского).

# მოკალეუკი ზიანის ჰკომბემა სამოქალაქო სამართალში

თ. ნინიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

განსხვავებენ ზიანის ორ სახეს, მატერიალურს ანუ ქონებრივს და მორალურს ანუ არაქონებრივს.

წარმოშობის წყაროების მიხედვით მატერიალური და მორალური ზიანი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. სიკეთე, რომლის ვნებასაც ქონებრივი ზიანი მოჰყვება, შეიძლება ქონება არ იყოს, ამ ტერმინის იურიდიული გაგებით. შესაძლოა მორალური სიკეთის ხელყოფამ ქონებრივი ზიანი გამოიწვიოს (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად შრომისუნარიანობის დაქვეითება და შრომითი შემოსავლის შემცირება), ან პირიქით, მატერიალური სიკეთის ხელყოფას მორალური ზიანის დადგომა მოჰყვებს (მაგალითად, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის დაზიანებით ან დაღუპვით გამოწვეული წყენა და ჯავრი).

დროის გარკვეულ მონაკვეთში ზიანს შეიძლება მხოლოდ მორალური ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ შემდეგში მან ქონებრივი სახეც მიიღოს (მაგალითად, მცირეწლოვანი შვილის დაღუპვა დედისთვის დიდი სულიერი ტრავმის მიზეზია, დროის გასვლის შემდეგ ეს ფაქტი ქონებრივ შედეგსაც იღებს, შრომისუნაროდ დედა ვეღარ მიიღებს შვილისაგან მატერიალურ დახმარებას).

ამდენად, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ზიანის ბუნება იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რა ხასიათისა იყო სიკეთე, რომელიც ხელყოფის საგანი გახდა, არამედ იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ქონებრივი, ფულადი ექვივალენტი.

მორალური ზიანის შინაარსია ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრავმა, რომელსაც ფულადი ექვივალენტი არ მოეძებნება.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“\* და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი მორალური ზიანის შესახებ უშუალო მითითებას არ იძლევა. კერძოდ, ტერმინი „მორალური ზიანი“ არსად არ არის ნახსენები, მაგრამ იგი იგულისხმება „საფუძვლების“ და სამოქალაქო სამართლის კოდექსების მე-7 მუხლში, სადაც ლაპარაკია პატივისა და ღირსების დაცვაზე.

„საფუძვლების“ 88-ე მუხლსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 457-ე მუხლში ხაზგასმით არის ლაპარაკი მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების შესახებ. პიროვნებისათვის მიყენებული ზიანის შინაარსში უნდა იგულისხმებოდეს რო-

\* შემდეგში — „საფუძვლები“.

ვორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანიც, რადგან პიროვნება სოციალური მოვლენაა და ეს ცნება უპირველესად ადამიანის სულიერ სფეროს მოიცავს. მაგრამ, სამოქალაქო კანონმდებლობის სხვა ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ნორმაც მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლში კონკრეტულადაა ნათქვამი: „დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების შემთხვევაში მიყენებული ვნებისათვის პასუხისმგებელი ორგანიზაცია ან მოქალაქე მოვალეა აუნაზღაუროს დაზარალებულს ის შემოსავალი, რაც მას დააკლდა შრომის უნარის დაკარგვის ან შემცირების შედეგად და აგრეთვე მისი ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები (გაძლიერებული კვება, პროტეზი, მუღმივი მოვლა და მისთ.)“ ამდენად ეს ნორმა ითვალისწინებს დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების შემთხვევაში მიყენებულ მხოლოდ ქონებრივი და არა მორალური ზიანის ანაზღაურებას.

პიროვნების ან ორგანიზაციის შესახებ გამაწბილებელი ცნობების გავრცელებისას საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა დაზარალებულის რეაბილიტაციას ახდენს არა მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურებით, არამედ სხვა ხერხით; კერძოდ, მოქალაქის ან ორგანიზაციის მოთხოვნით სასამართლო ასეთი ცნობების გამავრცელებელს ავალებს უარყოფის ისინი. თუ ცნობები პრესაშია გავრცელებული, უარყოფა პრესის საშუალებითვე ხდება. გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს დააჯარიმოს დამრღვევი. მისი გადახდევინება ხდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით. ჯარიმა, ამ შემთხვევაში, პირს იმის გამო კი არ ეკისრება, რომ მან გამაწბილებელი ცნობები გაავრცელა, არამედ იმიტომ, რომ არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება. ჯარიმა გადაირიცხება არა დაზარალებულის, არამედ სახელმწიფოს შემოსავალში.

ამგვარად, საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით ანაზღაურებას ექვემდებარება ქონებრივი ზიანი, მორალური ზიანი კი არ ანაზღაურდება. ეს დებულება გაზიარებულია არა მხოლოდ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, არამედ სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ მონოგრაფიებში. პარალელურად არსებობდა განსხვავებული შეხედულებებიც, რომლებიც უდავოდ იძახებდნენ ობიექტურ მეცნიერულ ანალიზს.

მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს ჩვეულებრივ ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკისათვის დამახასიათებელ ინსტიტუტად თვლიან.

ბურჟუაზიულ სამოქალაქო კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში მორალური ზიანის ანაზღაურება უნივერსალურ პრინციპად აღიარებული არ არის, ხოლო თეორეტიკოს ცივილისტებს შორის მას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენიც.

ისტორიულად ეს ინსტიტუტი შედარებით უფრო ადრე ინგლის-ამერიკის სამოქალაქო სამართალში აითვისა.<sup>1</sup> მაგრამ სამართლის ამ სისტემისათვის ქონებრივი შედეგის დაწესება მორალური ზიანის არსებობის ყველა შემთხვევაში აღიარებული არ არის. მოკასუხეს სასამართლოს მეშვეობით მორალური ზიანის

<sup>1</sup> С. Велядкин. Возмещение морального (неимущественного) вреда, Право, 1911, № 29.

ფულადი ანაზღაურება შეუძლია მოითხოვოს ცილისწამების, საცოლის მოტყუების ან ცოლად შერთვის თაობაზე უარის, ან ისეთი სულიერი ტანჯვის დროს, რომელმაც შეარყია დაზარალებულის კანონთაღიერება.<sup>2</sup> არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ხდება აგრეთვე პიროვნების ანტიმთრეოლოგიური ცხოვრების განხორციელების შემთხვევებში.<sup>3</sup> მაგრამ მორალური ზიანის გავრცელებული შემთხვევა, — საწარმოში მუშაკის დასახიჩრება კანონმდებელსა და სასამართლო პრაქტიკას უყურადღებოდ რჩება.<sup>4</sup>

მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებას ყველა შემთხვევაში არც საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს უშუალოდ მითითებას მორალური ზიანის შესახებ, მაგრამ § 1382 ითვალისწინებს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, როგორც ქონებრივ, ასევე არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში და ამ გავებით იგი ფართოდ გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში.

ფრანგი იურისტის ჟ. ვედელის განმარტებით, ტერმინი „მორალური ზიანი“ გავრცელებულ უნდა იქნეს ორგვარად: ერთი, როდესაც ვნება ადგება არაქონებრივ სიკეთეს და მას ქონებრივი შედეგი მოჰყვება (მაგალითად სავაჭრო ფირმისათვის მიყენებული ზიანი, რომელსაც კლიენტურის დაკარგვა მოჰყვება). ამ შემთხვევაში, ავტორის აზრით, ზიანი ფიზიკურად ხელშესახები არ არის, მაგრამ აშკარაა ქონებრივი სარგებლის შემცირება და მეორე, როცა არაქონებრივი სიკეთის ვნებას შედეგად სულიერი ტანჯვა და შრომისუნარიანობის შემცირება მოჰყვება. ამდენად, ავტორის აზრით, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების მიზანშეწონილება სადავო არ არის იმ შემთხვევებში, როცა არაქონებრივი ზიანი თავისუფალი არ არის ე. წ. ქონებრივი მიხარეულებისაგან. ხოლო რაც შეეხება წმინდა არაქონებრივი ხასიათის ზიანს, უმთავრეს შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა მას არ ითვალისწინებს. ავტორის აზრით სადავო საკითხი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანშეწონილების შესახებ ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხს დაზარალებულის სასარგებლოდ წყვეტს.

ფრანგულ ლიტერატურაში ყურადღებას იქცევს უკანონოდ განთავსილ ფულადი მუშაკის კარიერისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. ჟ. ვედელის მიერ მოტანილი მასალა და დებულებები ადმინისტრაციული იუსტიციის პრაქტიკას ეხება, მაგრამ ჩვენ ის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გვაძლევს წარმოდგენას, რადგან, ავტორის მითითების თანახმად, ადმინისტრაციული სასამართლოების პრაქტიკა მორალური ზიანის საქმეებზე საერთო სასამართლოების ანალოგიურია.<sup>5</sup>

გერმანიაში მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს ჰყავდა მოწიწად აღმდგენებიც და მომხრენიც.<sup>6</sup> სამოქალაქო კანონმდებლობამ ეს საკითხი

<sup>2</sup> Ю. Г. Матвеев, Англо-Американское деликтное право, М., Юр. лит.; 1973, стр. 50.

<sup>3</sup> М. Е. Патросян, США: Правовая защита от вторжения в «личную сферу»; Ученые записки ВНИИСЗ, вып. 30, 54; 1974, стр. 174.

<sup>4</sup> Ю. Г. Матвеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

<sup>5</sup> Ж. Ведель, Административное право Франции, Изд-во «Прогресс», М., 1973, стр. 247.

<sup>6</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Е. В. Пасек, Неприимущественный интерес в обязательстве, Юрьев, 1893г. стр. 37—42.



მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის სასარგებლოდ გადაწყვიტა გერმანიის ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია სამი სპეციალური პარაგრაფი, რომელიც აწესრიგებს მორალური ზიანის ანაზღაურებას (§ § 253, 847, 1300). § 253 იძლევა ზოგად მითითებას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. § 847 კონკრეტულად აღნიშნავს, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის მოშლის, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოთხოვნის საზღაური მიყენებული ზიანისათვის, რომელიც ქონებრივ ზარალს წარმოადგენს. ეს მოთხოვნა არ გადაიცემა ხელშეკრულებით ან მემკვიდრეობით. ასეთვე მოთხოვნის უფლება აქვს ქალს, რომლის მიმართ ჩადენილას დასაშუი ან უზნეო საქციელით, ან თუ მისი სქესობრივ კავშირზე დაკოლება შესძლეს მოტყუებით, მუქარით ან მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით. § 1300-ი ზიანის ანაზღაურების მოვალეობას აკისრებს საქმროს, რომელმაც უმწიველო საცოლესთან სქესობრივი კავშირის შემდეგ უარი განაცხადა მის ცოლად შერთვანზე<sup>7</sup>.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა. კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის § 355-ში ნათქვამია, რომ სახის წარუშლელი დამახინჯების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი ვალდებულია გარდა შრომითი შემოსავლისა და მკურნალობის ხარჯებისა დაზარალებულს გადაუხადოს საზღაური იმ ფიზიკური და მორალური ტანჯვისათვის, რაც მას ხელს უშლის აღიდგინოს დაკარგული საზოგადოებრივი მდგომარეობა. დასახინჯებასა და პროფესიული დაავადების კომპენსაციის შესახებ 1961 წლის 21 დეკემბრის კანონში ნათქვამია, რომ საწარმო ვალდებულია მუშაკს გადაუხადოს სათანადო კომპენსაცია დასახინჯებისათვის და იმ ტკივილებისათვის, რომელიც მან საწარმოში ტრავმის შედეგად მიიღო<sup>8</sup>.

პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 445-ე მუხლი ავალებს ზიანის მიმყენებელს პერიოდულად გადაუხადოს დაზარალებულს სათანადო საზღაური თუ მან შრომისუნარიანობა დაკარგა, ან „შეუმცირდა შესაძლებლობა წარმატებას მიაღწიოს მომავალში“.

მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს იცნობს ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის „კანონი ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების შესახებ“, რომელიც 1950 წელს არის მიღებული.

რაც შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალ სამოქალაქო სამართლის კოდექსს, იგი არ იცნობს მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს. § 327-ში ჩანოთვლილია სანქციები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს არაქონებრივ უფლებათა დარღვევისას. ერთ-ერთ ასეთ სანქციაში მითითებულია ზიანის ანაზღაურებაც. მაგრამ, როგორც კანონმდებლობის ანალიზი ადასტურებს, სანქციის ეს სახე მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც არაქონებრივი უფლებების დარღვევას ქონებრივი შედეგი მოსდევს. ასე იქ-

<sup>7</sup> Гражданское уложение германской империи, с. п. 6; 1898.

<sup>8</sup> «Бюллетень чехословацкого права», 1961 г. № 3—4, стр. 301.

ნა განმარტებული ამ სანქციის მნიშვნელობა კოდექსის პროექტის განხილვის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცივილისტების მიერ.<sup>9</sup>

ამგვარად ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს არა ყველა, არამედ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს იცნობს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის სამოქალაქო კანონმდებლობა, სადაც აღნიშნული ინსტიტუტის არსებობის მიზანშეწონილება დასაბუთებულია დაზარალებულის პიროვნების სოციალური მდგომარეობის აღდგენით.

\* \* \*

მორალური ზიანის პრობლემამ საბჭოთა ცივილისტების ყურადღება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში მიიქცია. ეს ნაკარნახევი იყო პიროვნების უფლებათა დაცვის გარანტიების გაფართოებით, რაც თავიდანვე სოციალისტური სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპად იქცა.

20-იან წლებში მორალური ზიანის რეპარაციის დასაბუთების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ ცივილისტების ბ. ლაპიცის, ი. ბრაუდეს, ბ. უტევსკის და გ. რცხილადის თეორიული არგუმენტები.

ბ. ლაპიცის აზრით, სოციალიზმი სხვა საზოგადოებრივ ფორმაციებთან შედარებით ყველაზე უფრო ფართო გარანტიებს იძლევა პიროვნების ინტერესების დაცვისათვის და რადგანაც მორალური ზიანის რეპარაციის ინსტიტუტი სწორედ ამ მიზნისკენაა მოწოდებული, სოციალისტური სამართლის სისტემაში მან უფრო მყარი ადგილი უნდა ჰპოვოს, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. თავისი ბუნებით მორალური ზიანის ანაზღაურება ბურჟუაზიული ინსტიტუტი არ არის, მისი მიზანი პიროვნების უფლებათა დაცვაა; ხოლო რაც შეეხება ფულს, იგი ამ შემთხვევაში ადამიანის პატივისა და ღირსების ექვივალენტი კი არ არის, არამედ მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად გვევლინება.<sup>10</sup> დაახლოებით ასეთივეა ი. ბრაუდეს არგუმენტები.<sup>11</sup>

ბ. უტევსკის აზრით მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს უკვე იძლეოდა რსფსრ 20-იანი წლების კანონმდებლობა. კერძოდ, ავტორი ეყრდნობოდა რსფსრ-ს 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლს, სადაც ლაპარაკია მსჯავრდებულის ვალდებულებაზე გამოესყიდა ზიანი (Загладить вред) და რსფსრ-ს 1922 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 მუხლს, სადაც არის ზოგადი მითითება პიროვნებისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ავტორი თვლიდა, რომ „პიროვნება“ სოციალური კატეგორიაა და უპირველესად ადამიანის სულიერ სფეროს მოიცავს. აქედან გამომდინარე, 403-ე მუხლის საფუძველზე იგი მიზანშეწონილად თვლიდა, როგორც ქონებრივი ისე არქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.<sup>12</sup>

გ. რცხილადის თვალსაზრისით მორალური ზიანის ინსტიტუტის გამართლებას არავითარი სპეციალური დასაბუთება არ სჭირდება, რადგან მას არსებობის

<sup>9</sup> Wilfried Iohn, Zivilrechtliche Grundsätze des Persönlichkeitsschutzes im ZGB-Entwurf, Staat und Recht, 1975, №2, S. 194.

<sup>10</sup> Б. Лапицкий, Вознаграждение за неимущественный вред, «Сборник Ярославского государственного университета», вып. 1. Ярославль, 1920, стр. 86—88.

<sup>11</sup> И. Брауде, Возмещение неимущественного вреда, «Революционная законность», 1929, 9—10, стр. 55—56.

<sup>12</sup> Б. Утевский, Возмещение неимущественного вреда как мера социальной защиты, Еженедельник советской юстиции, 1927, № 35, стр. 30—32.

ენტივეგ საფუძველი აქვს, როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს: ავტორის თვალსაზრისით, მორალური ზიანის რეპარაციის დასაბუთება გამომდინარეობს თვით სამართლის უძირითადესი დანიშნულებიდან დაიცვას პიროვნების ინტერესები. ამდენად, მისი აზრით, სადავო და საკამათო არა მორალური ზიანის რეპარაციის აუცილებლობა, არამედ რეპარაციის მიღწევის ხერხები სამართლისათვის დამახასიათებელი საშუალებებით.

გ. რცხილასის აზრით, მორალური ზიანის რეპარაციისათვის მთლიანად შესაფერისი საშუალება არ არსებობს. ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო საშუალება. უკეთესი სანქციის უქონლობის გამო სამართალი ფულადი თანხის გადახდევინებით უნდა მფარველობდეს იმ უფლებებს, რომელთა შელახვასაც მორალური ზიანი მოსდევს. ავტორი კონკრეტულად არ გამოჰყოფს შემთხვევებს, რომლის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა იყოს, მაგრამ იძლევა მითითებას არაქონებრივი ინტერესის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში რეპარაციის გამოყენების შესახებ. კერძოდ, იგი წერს: „მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება შემოღებული უნდა იქნას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი უსიამოვნებისათვის ფულადი ანაზღაურების დაწესება მიგვაჩნდეს მიზანშეწონილად. პირიქით, მორალური ზიანის თითოეული ტიპიური შემთხვევა შეფასებული უნდა იქნას სამართლის სისტემის საერთო თვალსაზრისით და ანაზღაურდეს მხოლოდ ისეთი ზიანი, რაც დაცვის ღირსი მორალური სიკეთის შელახვისაგან წარმოდგება“.<sup>13</sup>

30-იან წლებში საბჭოთა კავშირის სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით მ. აგარკოვმა წარმოაყენა დებულება მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანშეწონილების შესახებ. ავტორი მოითხოვდა მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების დაწესებას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, თუ ვნებას დაზარალებულის ხანგრძლივი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა მოჰყვა.<sup>14</sup>

თანამედროვე საბჭოთა ცივილისტებს შორის მორალური ზიანის ანაზღაურებას განსაზღვრული შემთხვევებისათვის ემხრობიან ნ. მალინინი, ვ. ტარზოვი, ე. შიმინოვა. მათი არგუმენტები ძირითადად მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის მოწინააღმდეგეთა მიმართ არის განსაზღვრული და ჩვენც შევეცდებით ისინი მოწინააღმდეგეთა პოზიციებთან შეპირისპირებით განვიხილოთ.

მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის მოწინააღმდეგეებად გვევლინებიან: ა. ზეიცი, კ. ჭარშავსკი, ე. ფლეიშიცი, ს. ბრატუსი და სხვები. მათ თავიანთი პოზიციების დასაცავად მოჰყავთ ორი უცვლელი არგუმენტი: პირველი, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება თავისი სოციალური ბუნებით წინააღმდეგება სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს. მორალურ საკეთეთა ფულადი შეფასება ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ჩვეული მოკლენაა და შესაბამისად, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია.

<sup>13</sup> გ. რცხილასე, მორალური ზიანის ანაზღაურება, „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ. № 4 33. 81.

<sup>14</sup> М. М. Агарров, Обязательства из причинения вреда (Действующее право и задачи ГК СССР), «Проблемы социалистического права», 1939, № 1;

მეორე, შეუძლებელია მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება. რადგან შეუძლებელია მორალური ზიანის ფულადი ექვივალენტით გამოთვლა.<sup>15</sup>

პირველი არგუმენტის საპასუხოდ უკვე იქცა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება არ არის მხოლოდ ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტს სოციალისტურა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაც იცნობს. რაც შეეხება ბურჟუაზიული ქვეყნების თეორიულ ლიტერატურას, აქ ის არ სარგებლობს მტკიცე მხარდაჭერით, ე. ი. ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენიც.

მორალური ზიანის ქონებრივი კომპენსაციის პრობლემის დასაბუთებისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობისათვის უცხო არ არის შემთხვევები, როდესაც მორალურ მომენტებს ქონებრივი შედეგები უკავშირდება ან არაქონებრივი სიკეთის ფულადი შეფასება ხდება.

მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 543-ე მუხლი მემკვიდრეობის უფლებას ართმევს პირებს, რომლებმაც ამორალური მოქმედებით ხელი შეუწყვეს თავიანთ მოწოდებას მემკვიდრეებად.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 524-ე მუხლი მიგვანიშნებს შემთხვევაზე, როდესაც მხარეებს ეძლევათ უფლება ფულადი სახით შეაფასონ არაქონებრივი სიკეთე. „სახვითი ხელოვნების ისეთი ნაწარმოების გამოქვეყნება, რეპროდუქცია და გავრცელება, რომელშიც სხვა პირია გამოსახული, შეიძლება მხოლოდ ამ პირის თანხმობით, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისი შვილების და ქვრივის თანხმობით. ასეთი თანხმობა საჭირო არ არის, როცა გამოქვეყნება ხდება სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესებისათვის, ან თუ გამოსახული პირი პოზირებისათვის ავტორისაგან სასყიდელს იღებდა“.

პირის უფლება, აუკრძალოს მხატვარს იმ სურათის გამოქვეყნება, სადაც მისი პორტრეტია გამოსახული, არაქონებრივი უფლებაა. მაგრამ როცა მოდელიორს სასყიდელს უხდიან, გამოქვეყნების დროს თანხმობა საჭირო აღარ არის; იგულისხმება, რომ — არაქონებრივი სიკეთე — პირის გარეგნობა და მისივე ქონებრივი სიკეთე — პოზირებისათვის გაწეული შრომა — იქცა ხელშეკრულების საგნად.<sup>16</sup>

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა ზოგჯერ მორალური ზიანის ქონებრივ კომპენსაციაზედაც კი მიგვანიშნებს. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებაში:

«О судебной практике по искам о возмещении вреда» ნათქვამია: «В особо исключительных случаях, когда по заключению ВТЭК потерпевший будет признан не поддающимся каким-либо видам протезирования, суд может обязать причинителя вреда возместить потерпевшему расходы понесенные им на приобретение мотоколяски»<sup>17</sup>.

<sup>15</sup> А. Зеиц, Возмещение морального вреда по советскому праву, «Еженедельник советской юстиции», 1927, № 47. К. В. Варшавский, Обязательства возникающие вследствие причинения другому вреда, М.: 1929, Е. А. Флейшиц, Обязательства из причинения вреда и из неосновательного обогащения, М.: 1952, стр. 20. С. Н. Братусь, Предмет и система советского гражданского права, «Юр. лит. М.», 1963, стр. 75.

<sup>16</sup> ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესის მნიშვნელობაზე პოზირების ხელშეკრულებაში სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას ვდრ-ის ცივილისტები. об. Н. Püschel, Zum Charakter und Schutz des Rechts am eigenen Bild, Neue Iustiz, 1963, №2, S. 63.

<sup>17</sup> «Бюллетень Верховного суда СССР», 1963, № 6, стр. 13.

ამ შემთხვევაში ზიანის მიმყენებლის ვალდებულება ანაზღაუროს მოტოციკლის შეძენის ხარჯები, არ წარმოადგენს მხოლოდ ქონებრივი ზიანის კომპენსაციას. თავისი არსებით იგი მორალური ზიანის კომპენსაციის საშუალებაა. ქონებრივი ზიანი ამ შემთხვევაში პენსიის, მკურნალობის, გაძლიერებული კვების ხარჯების გადახდით ანაზღაურდება. მოტოციკლზე გაწეული ხარჯები უშუალოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისათვის არ არის გათვალისწინებული. მოტოციკლეტის შეძენა დაზარალებულს ეხმარება აღიდგინოს საზოგადოებასთან ურთიერთობა, რომელიც მან დაკარგა და შესაბამისად დიდი მორალური ტკივილი განიცადა.

იძლევა რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნულ დადგენილებების ანალიზს, მ. შიმიწოვა სამართლიანად შენიშნავს, რომ ზოგჯერ დაზარალებულმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შეიძლება ვერ შესძლოს მოტოციკლით სარგებლობა. ასეთ ვითარებაში დაზარალებულის არაქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილების საშუალებას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნული დადგენილება ვერ იძლევა. ამ დროს მიზანშეწონილი იქნებოდა დაზარალებულის ფულადი კომპენსირება, რომ მას შესაძლებლობა მისცემოდა შეეძინა სხვა ნივთები, მაგ., ტელევიზორი და ა. შ. (მხედველობაშია ყველა ის სიკეთე, რაც დაზარალებულის მორალურ ზიანს ასე თუ ისე შეამსუბუქებს).<sup>18</sup>

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება «О судебной практике по искам о возмещении вреда» ძირითადად დაზარალებულის არაქონებრივი ზიანის სატისფაქციისაკენაა მიმართული. მართალია, ის ამ მიზანს სრულყოფილად ვერ აღწევს, მაგრამ თეორიული თვალსაზრისით ჩაგვაფიქრებს მორალური ზიანის ანაზღაურების ხერხების განვითარებაზე.

მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის მოწინააღმდეგეთა პირველი არგუმენტის საპირისპიროდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალისტური სამოქალაქო სამართლისათვის უცხო არ არის არაქონებრივ სიკეთეთა ქონებრივი ექვივალენტობის და მორალური ზიანის ქონებრივი კომპენსაციის შემთხვევები.


მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის მოწინააღმდეგეთა მეორე არგუმენტის თანახმად მორალური ზიანი არ შეიძლება შეფასდეს და ანაზღაურდეს ფულადი სახით.

საბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში აღიარებულია დებულება, რომლის თანახმად ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში განსაკუთრებით სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ ზიანის გამოთვლა ზუსტ შედეგებს იწვევს და იძლევა. როგორც მართებულად მიუთითებს ნ. მალეინი, ყოველთვის, როცა სხეულის ორგანოს ან ფუნქციის დაზიანება იზომება პროცენტებით და შემდეგ ფულადი სახით, ადგილი აქვს უზუსტობას, პირობითობას ზიანის ანაზღაურებაში.<sup>19</sup>

პირობითია და, ცხადია, არ არის ზუსტი ზიანის ანაზღაურება ქონებრივი თუ პირადი დაზღვევის შემთხვევაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩვენს საზოგადოე-

<sup>18</sup> М. Я. Шиминова, Имущественная ответственность за «моральный вред», Советское государство и право, 1970, № 1, стр. 121.

<sup>19</sup> Н. С. Малеин, Возмещение вреда, причиненного личности, «Юр. лит», М.; стр. 20.



ბაში დაზღვევის როლის უგულვებელყოფის სისწორეს. პირადი დაზღვევის დროს ხორციელდება მოქალაქეთა არაქონებრივი სიკეთის — სიცოცხლისა და ჯანმრთელობის პირობითი შეფასება ფულად. ამას ზუსტი ქონებრივი ექვივალენტი არ შეიძლება მოეძებნოს.

ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურებისას ზუსტი ფულადი ექვივალენტის გამონახვა არც არის არსებითი. სამართლიანად აღნიშნავდა გ. რცხილაძე: მატერიალური ზიანის რეპერაციის საფუძველს იძლევა არა ობიექტური არსებობა ქონების, ე. ი. საბოლოო ანგარიშით იმ ნივთების, რომლებითაც ადამიანს თავისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი შეუძლიან დაიკმაყოფილოს, არამედ ამ ნივთების კუთვნილება პირისათვის. გამართლება მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა მდგომარეობს არა ნივთებში, არა ქონებაში თავის თავად, არამედ პიროვნებაში, პირისათვის ნივთების კუთვნილებაში. გამოსავალი წერტილი მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის არის არა ნივთი, არამედ პირი. ვინაიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს შეადგენს პირისთვის სიკეთეთა კუთვნილება, ამიტომ სრულაიდ ინდიფერენტული გარემოება ის, თუ რა ხასიათი აქვს სიკეთეს; რომლის წართმევა ან შელახვაც წარმოადგენს ზიანს, ისე როგორც ინდიფერენტულია ის, თუ რა სპეციალური თვისებები აქვს სიკეთის შელახვით პირის მიერ განციდილ ზიანს. მატერიალურია თუ იმმატერიალური სიკეთე და ზიანი, სამართალი თავის დანიშნულებას უღალატებს, თუ არ დაიფარავს პირს იმ სიკეთეთა მფლობელობის მდგომარეობაში, რომლებითაც ადამიანი ჰქმნის და ამტკიცებს ადამიანურ ბედნიერებას<sup>20</sup>.

მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემა პრაქტიკული თვალსაზრისით ვანსაკუთრებით საინტერესო გახდა საბჭოთა კავშირის უცხოეთის სახელმწიფოებთან კულტურულ-სამეცნიერო, ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან ერთად. სასამართლოებში გაიზარდა რიცხვი სარჩელებისა ისეთ საქმეებზე, სადაც ზიანის მიმყენებლად ან დაზარალებულად უცხოელი მოქალაქეები გვევლინებიან.

უცხოელებს, ისე როგორც საბჭოთა მოქალაქეებს, ზიანის მიყენების შემთხვევაში აუნაზღაურდებათ მატერიალური ზიანი, ხოლო რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, იგი არ ანაზღაურდება. ხოლო მაშინ, როდესაც საბჭოთა მოქალაქეს უცხოეთის ტერიტორიაზე მიადგება მორალური ზიანი, ეროვნული რეჟიმის თანახმად, მას იგი უნდა აუნაზღაურდეს. უარი, იმ საბაბით, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, აქნებოდა დაუსაბუთებელი საერთაშორისო კერძო სამართლის თვალსაზრისით, რადგან ნაციონალური რეჟიმის მიხედვით უცხოელი მოქალაქე ზიანის ანაზღაურების დროს სარგებლობს ადგილობრივი მოქალაქეების თანაბარი უფლებებით.<sup>21</sup>

ამრიგად, მორალური ზიანის მოწინააღმდეგეთა მეორე არგუმენტი, რომელიც მორალური ზიანის ანაზღაურებას მიზანშეწონილად თვლის მორალურ ზიანის ფულადი ექვივალენტის დადგენის შეუძლებლობის გამო, საკითხის ასხნას ვერ იძლევა, რადგანაც საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა ზუსტა

<sup>20</sup> გ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, „საბჭოთა სამართალი, 1928 წ. № 4, 33. 81.

<sup>21</sup> В. П. Звекон, Очерки международного частного права. Обязательства из причинения вреда в международном частном праве, М., Юр. лит., 1963, стр. 131.

ფულადი ექვივალენტის დადგენას არც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას ითხოვს. ზიანის ანაზღაურება ხშირად არა რესტიტუციური, არამედ კომპენსაციური ბუნებისაა. კომპენსაციური ხასიათის იქნება ყოველთვის მორალური ზიანის რეპარაცია. მორალური ზიანის პრობლემის დადებითად გადაჭრას ითხოვს საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპებიც.

ვფიქრობთ, მორალური ზიანის ანაზღაურების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები, დამაჯერებლად გააყრიტიკეს ცივილისტურ ლიტერატურაში. ამჯერად ყურადღება სხვა მომენტებზე უნდა მიექცოდეს; კერძოდ, მორალური ზიანის ფაქტებზე (რომელთაც შეიძლება ანაზღაურება დაუკავშირდეს, როგორც სანქცია) და ანაზღაურების ხერხებზე.

მორალური ზიანი ხშირ შემთხვევაშია მოსალოდნელი. იგი შეიძლება შედეგად მოჰყვეს როგორც ქონებრივი, ასევე სულიერი სიკეთის ხელყოფას, შეიძლება დადგეს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის, ასევე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში მიყენებული ვნების შედეგად, ამასთან მეტ-ნაკლები მასშტაბებით. ცხადია, მასშტაბებზე ლაპარაკი აქ მეტად ძნელია, მაგრამ გარკვეული გრადაცია აქაც არსებობს, ცნობრებისეული კრიტერიუმებით განსაზღვრული. ყოველგვარი ქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება ანუ მორალური ზიანის ანაზღაურების დაწესება უნივერსალური პრინციპის სახით გამართლებული არ არის. საკითხის ასეთ გადაწყვეტას არასდროს არცერთი კანონმდებელი ან თეორეტიკოსი არ ითხოვდა. საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობამ მოქალაქის ან ორგანიზაციის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების შემთხვევაში მიმართა სასამართლოს ზემოქმედების ისეთ ხერხს, როგორიცაა პირის იძულება უარყოფად ინონიშული ხასიათის ცნობები, თუ ისინი სინამდვილეს არ შეესაბამება. აქ გათვალისწინებული მორალური ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების დაწესებზე ცხადია თავის მიზანს ვერ უპასუხებდა. არაქონებრივი ზიანის არსებობისას ძირითადად სამოქალაქო უფლებათა დაცვის ის ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული, რაზედაც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, კერძოდ „უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და უფლების დამრღვევი მოქმედებების აღკვეთა“. ამ სანქციის გამოყენება მიზანშეწონილია არაქონებრივი ზიანის არსებობის ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა პატივის, ღირსების, სახელის, ავტორობის, პირადი ფოტო და ფონოგამოსახულების ხელყოფა. იგივე სანქცია ზოგჯერ შეიძლება გამოყენებულ იქნას პირადი საიდუმლოების ხელყოფის დროსაც.

მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია მიზანშეწონილი უნდა იყოს ადამიანის დასახიჩრების, სახის წარუშლელი დამახინჯების, საერთო და პროფესიული შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის შემთხვევებში. ასეთ ვითარებაში პიროვნებას მინიმუმამდე ეზღუდება თავისი სოციალური მდგომარეობის აღდგენისა და განვითარების შესაძლებლობა.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხეულის მიმედ დაზიანებისათვის, მაგრამ სოციალისტური სამართლის მიზნების თვალსაზრისით დაზარალებულის ინტერესების დაცვის მხრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეაგირება ამომწურავად ვერ ჩაითვლება. მორალური ზიანი დასახიჩრების, სახის წარუშლელი დამახინჯების, საერთო და პროფესიული შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის შემთხვევაში შეიძ-

ლება იყოს ზიანის მიმყენებლის როგორც ბრალეული, ასევე არაბრალეული მოქმედების შედეგად. არაბრალეული მოქმედების დროს კი არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, მორალური ზიანის დროს მთავარი და ძირითადი ხომ დაზარალებულის მდგომარეობის რეაბილიტაციაა, რომელიც ძირითადად სამოქალაქო სამართლებრივი მეთოდებით უნდა გახდეს შესაძლებელი.

მოქალაქის დასახიჩრების, სახის წარუხოცელი დამახინჯების, საერთო და პროფესიული შრომისუნარის სრული დაკარგვის შემთხვევებში დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურება კომპენსაციური ბუნებისაა. დაზარალებულს მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სატისფაქციური მოთხოვნაა, მისი დაკმაყოფილების შემდგომ დაზარალებულს ექმნება შესაძლებლობა სხვა სულიერი თუ ქონებრივი ინტერესები დაიკმაყოფილოს. რესტიტუცია, რომელიც ვნების მიყენებამდე არსებული მდგომარეობის სრულ აღდგენას გულისხმობს, ზემოთ გათვალისწინებულ შემთხვევებში მიუღწეველია.

მორალური ზიანის ანაზღაურება ასეთ შემთხვევებში წარმოგვიდგება დაზარალებულის დარღვეული უფლების აღიარების ერთ-ერთ საშუალებად. სამოქალაქო სამართლის ინდიფერენტული დამოკიდებულება მორალურ ზიანთან ზოგჯერ დარღვეული უფლების სრული იგნორირების შთაბეჭდილებას ქმნის. სანქციის გარეშე რაიმე უფლების დარღვევის დატოვება ხომ ფაქტიურად თვით ამ უფლების უარყოფას უდრის.

სადავო არ უნდა იყოს ასეთი სახის სანქციის პრევენციული დანიშნულება როგორც საკუთრივ ზიანის მიმყენებლისათვის, ისევე ზოგადად; განსაკუთრებით ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ადამიანის სულიერი მყუდროება განსაკუთრებული ყურადღების საგნად არის ქცეული.

ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების დაწესება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეასრულებს მიყენებული ზიანის კომპენსაციის, დაზარალებულის შელახული უფლების აღიარების, კერძო და ზოგადი პრევენციის ფუნქციებს.



# მექრთამეობის კვალიფიკაციის ზოგიაერთი საკითხი საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში

## ა. კვალიფიკაცია

მექრთამეობა, ე. ი. ქრთამის აღებ-მიცემა და მექრთამეობაში შეუამავლო-ბა ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია, რომელიც ხელყოფს საბჭოთა სახელმწი-ფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას. ვ. ი. ლენინი ამის თაობაზე ამბობდა: „თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებე-ლია, მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლიტიკაზე, აქ ჯერ კიდევ პოლიტიკის ნასახიც არ არის, აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ, რომ ყოველგვარი ზო-მები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მო-იტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება, თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელების პირობებში“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინის ეს დებულება დღევანდელ პირობებშიც სავსებით ინარჩუ-ნებს თავის მნიშვნელობას და მიუთითებს მექრთამეობის აღმოფხვრის აუცი-ლებლობაზე.

მექრთამეობის, ჩვენი დროის ამ სამარცხვინო მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ბევრი ითქვა და კვლავაც ბევრი ითქმება. ამ წერი-ლის მიზანია გააშუქოს ქრთამის აღება-მიცემის მხოლოდ ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ქონების გატაცებასთან, როცა იგი ჩადენილია უსაქონლო ოპერაციების გაფორმების გზით ინდივიდუალური ჩამბარებლებისაგან, აგრეთვე კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობისაგან ჩაის ფოთლის ჩაბარებისას. ჩვენი აზრით, საგამოძიებო-სასამართლო ორგა-ნოები ცდებიან, როცა ამ შემთხვევებში ვერ ხედავენ ქრთამის აღებ-მიცემის ფაქტებს.

მაგალითად, ო. ფ.-ს და სხვათა მიმართ აღძრული სისხლის სიმართლის საქმის მიხედვით დადგენილია, რომ კოლმეურნეობის ბრიგადირმა ც.-მ, რო-მელიც დაინტერესებული იყო ბრიგადის მიერ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების შთაბეჭდილების შექმნით, ბრიგადის წევრებს წინადადება მისცა შეეკრიბათ ფული ცენტრალური მიმღები პუნქტის გამგისა და ფაბრიკის დირექტორისათვის გადასაცემად, რათა დირექტორს ნება დაერ-თო, ხოლო პუნქტის გამგეს გაეფორმებინა უსაქონლო ოპერაციები ამ ბრიგა-დიდან ხარისხოვანი ნედლეულის მიღების შესახებ. ბრიგადის 6 წევრმა შეაგ-როვა და ბრიგადირს გადასცა 2000 მანეთი<sup>2</sup>.

ც.-მ ეს ფული გადასცა პუნქტის გამგეს რ.-ს, რომელმაც იგი დირექტორს გაუწაწილა და მისი თანხმობით გააფორმა უსაქონლო ოპერაცია 4.531 კგ ხა-რისხოვანი ნედლეულის მიღების შესახებ. ამის შედეგად კოლმეურნეობას გა-დაერიცხა 4.259 მანეთი. ბრიგადის წევრები, რომლებმაც 2.000 მანეთი შეაგ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 72-73.

2 სისხლის სამართლის საქმე № 172-47324, ტ. 5, აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს

როგეს, ვარაუდობდნენ, რომ მიიღებდნენ დიდ თანხას, მაგრამ მათ მხოლოდ 2.600 მანეთის მიღება შეძლეს, ე. ი. 600 მანეთით მეტის, ვიდრე მათ გაიღეს.

ამ ქმედობაში უთუოდ იყო მექრთამეობის შემადგენლობის ნიშნები, მაგრამ მექრთამეობის მუხლებით საქმე არ აღძრულა. მართალია, იქ მოხდა სოციალისტური ქონების გატაცება, მაგრამ მას თან ერთვოდა აგრეთვე მექრთამეობა, რომელმაც არსებითად განაპირობა ქონების გატაცება. ფული მიიღეს თანამდებობის პირებმა და შემდეგ შეასრულეს ისეთი მოქმედება, რომლითაც ქრთამის მიმცემნი იყვნენ დაინტერესებული.

ჩვენი აზრით, არ არის სწორი საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში მორალური მტკიცება, თითქოს ჩაის ჩამბარებლებსაგან წინასწარ ფულის მიღება, ხოლო შემდეგ ამ ფულის უკანვე დაბრუნება თანამდებობის პირების მიერ უსაქონლო ოპერაციების გაფორმების გზით სოციალისტური ქონების გატაცება იყოს და მეტი არაფერი. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ის ითქვას, რომ გატაცებულის განაწილება ხდება მხოლოდ ქონების გატაცების შემდეგ, ამ შემთხვევაში კი ბრიგადის წევრებმა თავიანთი საკუთარი ფული მისცეს თანამდებობის პირებს სახელმწიფო ფულის გატაცებად. ამიტომ ეს ფული ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება გატაცებული ფულის ნაწილად. ერთი სიტყვით, ზემოთ აღწერილი ქმედობა მექრთამეობად უნდა ყოფილიყო დაკვალიფიცირებული.

მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ისიც, რომ ერთმანეთს განაპირობებენ არა მხოლოდ ქრთამის მიცემის და აღების დასრულებული შემადგენლობები, არამედ ის, რომ მათი ურთიერთგანმაპირობებელი ზოგიერთი ელემენტი მოცემული გვაქვს ამ ქმედობათა ჩადენის უფრო აღრეულ სტადიაში.

ქრთამის აღება და მიცემა, როგორც ყველა განზრახი დანაშაული, ჩვენი აზრით, გაივლის მომზადების სტადიას. თუმცა ამ დანაშაულთა მომზადების საწყისი და საბოლოო მომენტები ერთმანეთს შეიძლება არ დაემთხვეს, მაგრამ მათი დამთავრების მომენტები ყოველთვის ემთხვევა. ქრთამის აღების დასრულებული შემადგენლობა არ გვექნება, თუ ქრთამის მიცემის შემადგენლობაც არ არის დასრულებული და პირიქით, არ გვექნება დასრულებული ქრთამის მიცემა, თუ ქრთამის აღება არ დასრულდა. ამავე დროს კანონი (საქართველოს სსრ სსკ 189-ე, 190-ე და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები) აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღებისათვის (რასაკვირველია, მექრთამეობაში შუამავლობისათვისაც), ხოლო შეასრულა თუ არ შეასრულა ქრთამის ამღებმა დაპირებული მოქმედება, ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. თუკი ქრთამის ამღები ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ შეასრულებს დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას, პასუხისმგებლობა უნდა დადგინდეს დანაშაულთა ერთობლიობით (საქართველოს სსრ სსკ 40 მ). მაშასადამე, პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას ქრთამის აღება-მიცემის, აგრეთვე მექრთამეობაში შუამავლობისათვის. ეს სხვადასხვა დანაშაულებებია ჩადენილი და ამიტომ პასუხისმგებლობაც მათი ჩადენისათვის სხვადასხვა მუხლებშია გათვალისწინებული.

ამიტომაც, ჩვენი აზრით, სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკამ მხედვე-



ლობაში უნდა მიიღოს ის, რომ ფულის ან სხვა ფასეულობის გადაცემა ფაბრიკის თანამდებობის პირებისათვის უსაქონლო ოპერაციებს გასაფორმებლად გეგმის შესრულებისა და გადაჭარბების, წამატებების, სამსახურებრივი სიყალბის და სახელმწიფო ქონების გატაცების თუ სხვა დანაშაულთა ჩადენის მიზნით მოიცავს აგრეთვე ქრთამის აღებ-მიცემასაც. იმ შემთხვევაში კი, როცა რაიმე ფასეულობის გადაცემა ხდება სხვა მიზნით, რომელიც თავისთავად არ არის დანაშაულებრივი ქმედობა, იგი წარმოადგენს მხოლოდ ქრთამის აღებ-მიცემას.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების და მექრთამეობის ობიექტები და ობიექტური მხარეები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ არ მიმაჩნია აუცილებლად მათ შორის არსებულ განსხვავებაზე შეჩერება. უფრო რთული ჩანს ამ დანაშაულთა სუბიექტის და სუბიექტური მხარის განსაზღვრა.

დნელია, მაგალითად, უტყუარად გააანალიზო საქმის ფაქტიური გარემოებები და სწორად შეაფასო იურიდიულად მეჩაიეობის იმ ბრიგადირის მოქმედება, რომელიც დაინტერესებულია შექმნას ბრიგადის მიერ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების შთაბეჭდილება, რისთვისაც იგი აგროვებს ფულს ბრიგადის წევრებისაგან ფაბრიკის მუშაკებისათვის გადასაცემად, რათა უსაქონლო ოპერაციის შესრულებაზე დაიყოლიოს ისინი, რამაც სახელმწიფო სახსრების გატაცება გამოიწვია.

ის გარემოება, რომ ბრიგადირი დაინტერესებულია შექმნას გეგმის შესრულების შთაბეჭდილება და ამ მიზნით აძლევს ფულს ან სხვა ფასეულობას ფაბრიკის თანამდებობის პირებს, მის მიერ ქრთამის მიცემაზე მიგვანიშნებს. ის, რომ იგი ამ ფულს ბრიგადის წევრებისაგან იღებს და გადასცემს თანამდებობის პირებს, მოწმობს მის შუამავლობას მექრთამეობაში. მაგრამ ამ შემთხვევაში ბრიგადირის დაინტერესება მისი ქმედობის სამართლებრივი შეფასების გარეშე რჩება, რაც არ შეესაბამება პრინციპს, რომლის მიხედვითაც აუცილებელია დანაშაულებრივი ქმედობის ყველა ფაქტიური ნიშნის ყოველმხრივი და სრული გამოკვლევა და მათი შეჭერება კანონით აღწერილ ნიშნებთან. ამ დანაშაულის ობიექტური მხარის და სხვა ელემენტთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბრიგადირის მიერ ფაბრიკის თანამდებობის პირებისათვის ბრიგადის წევრების კუთვნილი ფულის გადაცემა მათივე ინტერესებისათვის თანამდებობის პირთა დასაყოლიებლად უსაქონლო ოპერაციების და გატაცების ჩადენაზე, ჩვენი აზრით, უნდა შეფასდეს ქონების გატაცებისა და სამსახურებრივი სიყალბის წაქეზებად და, ამავე დროს, მექრთამეობაში შუამავლობად (საქართველოს სსრ სსკ 189<sup>1</sup>, 19, 94, 19, 191 მუხლები). ანალოგიურ თვალსაზრისს იზიარებს სასამართლო პრაქტიკა და საბჭოური სისხლის სამართლის თეორია<sup>3</sup>. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ვკითხულობთ: „სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ქრთამის აღება-მიცემისათვის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ერთდროულად სისხლისსასამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემას იმ მოქმედებისათვის, რომელიც თუმცა დაკავშირებულია მექრთამეობასთან, მაგრამ ქმნის დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას: სახელმწიფო

<sup>3</sup> Комм. к уч. код. РСФСР, М. 1971, с. 375; В. Д. Меньшагин. Сов. уг. право, ч. особенная, МГУ, 1964 с. 279. он же, Сов. уг. право, ч. особенная, М. 1971, с. 300. В. Ф. Кириченко, курс сов. уг. права. М., 1971, т. VI, с. 51.

და საზოგადო. ქონების გატაცება, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თანამდებობრივი სიყალბე, ყალბი დოკუმენტის დამზადება და ა. შ. ამ შემთხვევებში ჩადენილი ქმედობები უნდა დაკვალიფიცირდნენ დანაშაულთა ერთობლიობით“ (პ. 9).

სხვა საკითხია, როცა ფაბრიკის მუშები თვითონ ეძებენ კლიენტებს მათთან უსაქონლო ოპერაციების გაფორმების მიზნით. თვითონ სთავაზობენ წინადადებას მსგავსი ოპერაციის გასაფორმებლად, ხოლო თანხმობის მიღების შემდეგ, აფორმებენ ყალბ დოკუმენტებს და გატაცებულ თანხებს ინაწილებენ. ამ შემთხვევაში არა გვაქვს მექრთამეობა, რადგანაც არ არის თანამდებობის პირის მოსყიდვის განზრახვა. მაშასადამე, აქ არც ქრთამის აღებაა და არც ქრთამის საგანი. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი არც ქრთამის მიცემასზე და არც მექრთამეობაში შუამავლობაზე. როცა ჩაის მკრეფავები უსაქონლო ოპერაციების გაფორმების გზით იღებენ სახელმწიფო სახსრებს და ამას აღწევენ თანამდებობის პირებისათვის გასამრჯელოს მიცემით, საქმე გვაქვს სამსახურებრივ სიყალბესთან, გატაცებასა და ქრთამის აღებ-მიცემასთან (საქართველოს სსრ სსკ 191, 94, 189 და 190 მუხლები) და, ამავე დროს, შეიძლება იყოს მექრთამეობაში შუამავლობა (საქართველოს სსრ სსკ 189<sup>1</sup> მ).

თანაც თანამდებობის პირისათვის ფულის ან სხვა ფასეულობის გადაცემა ქრთამის აღებ-მიცემად არ ჩაითვლება, თუკი ეს ჩადენილი არ არის ფასეულობის მიმცემის ინტერესების განხორციელების მიზნით მისი ამღების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ან შეუსრულებლობისათვის.

ჩვენი აზრით, ძლიერ აფართოებენ ქრთამის აღება-მიცემის ცნებას ის ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს თანამდებობის პირის მოქმედება შეიძლება სრულდებოდეს არა მარტო ქრთამის მიმცემის, არამედ მშობლების, ახლობლების, ნაცნობების, სხვა პირთა, აგრეთვე ორგანიზაციის, დაწესებულების და ა. შ. ინტერესებისათვის<sup>4</sup>.

საქმე ის არის, რომ თუკი ინდივიდი, რომელიც მატერიალურ ღირებულებას აძლევს თანამდებობის პირს, არ არის დაინტერესებული თანამდებობის პირის რაიმე მოქმედების ჩადენით, რაც მას შეეძლო შეესრულებინა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით (საქართველოს სსრ სსკ 189 მ.), ქრთამის აღება არ გვექნება. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში არ იქნება არც ქრთამის მიცემა და არც შუამავლობა მექრთამეობაში. ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, ქრთამის მიმცემი, ე. ი. ის, ვინც რაიმე მატერიალურ სიკეთეს აძლევს თანამდებობის პირს, რომელსაც შეგნებული აქვს საზოგადოებრივი საშიშროება ამ ქმედობისა, არ შეიძლება, რომ არ ისახავდეს რაიმე პირად მიზანს და არ იყოს დაინტერესებული ამ მიზნის განხორციელებით.

თანაც ამ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ პირთა და ორგანიზაციათა დაინტერესებას, რომლებმაც უნდა ისარგებლონ ქრთამის მიცემით. მაშასადამე კვალიფიკაციისათვის სხვა ნიშნებთან ერთად, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ქრთამის მიმცემის დაინტერესებას. მაგალითად, თუ მამა სამსახურში შვილის მისაღებად აძლევს ქრთამს თანამდებობის პირს, კვალიფიკაციისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის პირად დაინ-

<sup>4</sup> Комментарий к УК РСФСР, ю. л., М., 1971, с. 375—376, 378. В. Ф. Кириченко, курс. сов. уг. права, п. VI, наука, М., 1971, с. 63.

ტერესებას შვილის სამსახურში მოწყობით. რაც შეეხება შვილის დაინტერესებას სამსახურში მიღებით, ეს ფაქტი კვალიფიკაციაზე ვერ იმოქმედებს. იმ შემთხვევაში, როცა ქართამის მიცემა ხდება იმისათვის, რათა თანამდებობის პირმა (ქრთამის მიმღებმა) მიიღოს გადაწყვეტილება ორგანიზაციის, დაწესებულების და ა. შ. სასარგებლოდ, საჭიროა დადგინდეს არა მარტო ქრთამის ამღების, არამედ ქრთამის მიმცემის პირადი დაინტერესებაც. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ქმედობები, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ, არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად, თუკი ისინი არ არიან დაკავშირებული კერძო პირთა ინტერესებთან.

საბჭოური სისტემის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ქმედობანი, რომლებიც არ არიან საზოგადოებრივად საშიში, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. მაშასადამე, არა სხვა პირთა და ორგანიზაციათა ინტერესები, არამედ ქრთამის მიმცემის ინტერესები უნდა იქნეს მიხედული ქრთამის აღება-მიცემის ნიშნად, რაც მითითებულია კანონში.

ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების ინტერესების სხვა პირთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ინტერესებთან და მიზნებთან დამთხვევას ვალიფიკაციისათვის, ჩვენის აზრით, მნიშვნელობა არა აქვს.

# რუსულენოვანი იუსტიციის ორგანიზაციის აღმასრულებლის თანაშრომლის მეთოდური მითითების გამოყენების შესახებ

## 3. დროშისა და,

ოსტრალიის დამსახურების სოციოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელი

დამსახურებასთან ბრძოლის იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რაც დასახულია სკკპ პროგრამით, აუცილებელია დამსახურების მიზნებისა და ხელშემწყობი პირობების, სტრუქტურისა და დინამიკის უფრო საფუძვლიანი ანალიზი, რის საშუალებასაც იძლევა სასამართლო სტატისტიკის ფართოდ გამოყენება.

დამსახურების პროფილაქტიკაში სასამართლო სტატისტიკის რაციონალური გამოყენება მეტად რთული და მრავალსაქეტოვანია. წინამდებარე სტატიაში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ იუსტიციის ორგანიზაციაში მარტივი გამოთვლითი ტექნიკის, აგრეთვე ინფორმაციის შენახვისა და შედარებით მარტივი საშუალებებით დამუშავების ზოგიერთ ასპექტს. კერძოდ, შევჩერდებით იუსტიციის ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში მარტივი და იაფი საშუალებების — ხელით დასამუშავებელი პერფორაციის, პერფორაციული საანგარიშო მანქანების გამოყენებაზე.

იუსტიციის ორგანიზაციაში ტექნიკის საშუალებათა დანერგვა პირველ რიგში მიზნად იმას ისახავს, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს სტატისტიკური გამოთვლებისათვის და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებისათვის საჭირო დრო, ამასთანავე უფრო გაღრმავდეს სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, შეიქმნას საინფორმაციო საძიებო სისტემები და ა. შ.

სახალხო სასამართლოებში საქმის წარმოების სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის რეგისტრაციის, დამუშავებისა და შენახვის საქმეში მკირე მექანიზაციის საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას. მაგრამ სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, რამდენიმე არსებითი შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ სტატისტიკური ანგარიშების არსებული ფორმების შესახებ.

ყოველგვარო სააღრიცხვო სამუშაოს შესრულების პირველი სტადიაა სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წერილობითი რეგისტრაცია ანუ სტატისტიკური დაკვირვება. სასამართლო სტატისტიკაში იგი წარმოებს ძირითადად სტატისტიკური ანგარიშის ფორმით, ხოლო დაკვირვების პროგრამა ფიქსირდება შესაბამის პირველად სტატისტიკურ ბარათებში. ექვს არ იწვევს, რომ ვიდრე საბოლოოდ დაფიქსირდება ამ პროგრამის ნიშნები, აუცილებელია გავითვალისწინოთ ანალიზის მთელი შემდგომი სქემა, დაჯგუფების მოდელის მთელი სტატისტიკური დამუშავება, ცხრილების მაკეტები, განმარტავადებული ნაჩვენებლების სისტემა და სხვ.

სასამართლო სტატისტიკაში ამჟამად სტატისტიკური სამუშაოების სტადიებს შორის არ არის ასეთი ლოგიკური კავშირი, რაც საგრძნობლად ართულებს აღრიცხვის მთელ სისტემას. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ სასამართლო სტატისტიკის წამყვანი სპეციალისტები.

მაგალითისათვის ავიღოთ დამნაშავეის პიროვნების შესახებ არსებული ინფორმაციის განზოგადება, რაც სასამართლო სტატისტიკის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ამოცანაა, ვინაიდან დამნაშავეის პიროვნების დანახასიათებელი ნიშნების სწორ და სრულყოფილ განზოგადებაზე ბევრად არის დამოკიდებული პროფილაქტიკური მუშაობის მიზანდასახულად წარმართვა.

ერთი შეხედვით პროგრამა, რომელიც მოცემულია სხვადასხვა უწყებებს მიერ დამნაშავეზე შედგენილ სტატისტიკურ ბარათებში, ძირითადად შეესაბამება საბოლოო სტატისტიკურ, სამართლებრივ და კრიმინოლოგიურ მიზნებს, ნაგრამ ყოველთვის ეს ასე არ არის.

მონაცემების ურთიერთშეპირისპირების უზრუნველსაყოფად, ძირითადი საკითხები, რომლებიც ახასიათებს დამნაშავეის პიროვნებას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში, უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, რაც იწვევს მნიშვნელოვან სხვაობას სტატისტიკურ ანგარიშებში.

მოვიყვანოთ ზოგიერთ მაგალითს:

პიროვნების დანახასიათებელი მნიშვნელოვანი ნიშნის — წლოვანების ფიქსირებისას არ არის დაცული სტანდარტიზაციის პრინციპი. კერძოდ სასამართლო ორგანოების სტატისტიკურ ბარათებში სულ სხვა დაჯგუფებაა მოცემული ასაკობრივი ნიშნით, ვიდრე საგამოძიებო ორგანოების ბარათებში, რის გამოც შეუძლებელია ამ ინფორმაციის ურთიერთშეპირისპირება. დამნაშავეის პიროვნების დანახასიათებლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია აგრეთვე მისი განათლების ცენზი. ამიტომ აუცილებელია სტატისტიკურ ბარათებში მოცემული იყოს ამ მახასიათებლის დაწვრილებითი და ზუსტი გრადაცია, მაგრამ სასამართლო და საგამოძიებო სტატისტიკურ ბარათებში ეს საკითხი არაერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი. ყოველივე ეს გამოირიცხავს სტატისტიკურა ინფორმაციის ანალიზის პროცესში მონაცემების სრული შეპირისპირების საშუალებას.

მსგავსი შეუსაბამობის მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთ განსხვავებებს სასამართლო სტატისტიკის მონაცემების გამოყენების დროს მივყავართ მთელ რიგ სიძნელეებამდე, რომელთა გადალახვა შეუძლებელი ხდება.

სტატისტიკური სამუშაოების მეორე ეტაპია სტატისტიკური დაკვირვების შედეგად შეგროვებული მონაცემების შეჯამება და დაჯგუფება, რაც ასახავს პოულობს სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში.

სტატისტიკურ ანგარიშში, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოთა მუშაობის შესახებ სისხლის სამართლის საქმეებზე დგება, ასახულია სასამართლო მოდერწივების სხვადასხვა მხარე, ხოლო ანგარიშის ფორმაში სრულდება დაჯგუფების მხოლოდ ინფორმაციული ამოცანა. ეს ფორმები არ შეიცავს რთულ კომბინაციურ ცხრილებს და ანალიტიკურ დაჯგუფებებს, ნაშინ როდესაც, ჩვენი აზრით, დამნაშავეობის წინააღმდეგ სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისათვის აუცილებელია პირველადი მასალის დამატებითი დაჯგუფება და ხელახალი გადაჯგუფება.

დამნაშავეობის მიზეზების შესწავლის, აგრეთვე სასამართლოების შესახებ მონაცემების ანალიზისათვის, ჩვენი აზრით, ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს სასამართლო სტატისტიკის იმ მონაცემების შეჯამება და დაჯგუფება, რომლებიც მოცემულია ანგარიშების შემდეგ ფორმებში: №№ 10, 11, 11-ა,

12, 16, რომლებსაც სასამართლოები ადგენენ კვარტალურად. ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლით უფრო დაწვრილებით შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

დავიწყოთ ფორმა № 11-ით, რომელიც ახასიათებს ჩადენილი დანაშაულის ადგილს, დროსა და დანაშავეთა სოციალურ შენადგენლობას. ამ ფორმის შევსება წარმოებს სტატისტიკურ ბარათებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, იგი არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ ბრალდებულთა ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა, რადგან შეუძლებელი ხდება დემოგრაფიული მონაცემების კომბინირება მათი იზოლირებული დაჯგუფების გამო.

ფორმა № 11 დასათაურებულია — „დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი“, თუმცა მასში ძალზე ცოტაა დაჯგუფებები ან ნიშნების მიხედვით. კერძოდ, დანაშავენი დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით მხოლოდ ორ კატეგორიად არიან დაყოფილნი. ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში დანაშაულის ჩამდენი პირები პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან, ვინც დანაშაული სოფელში ჩაიდინა მეორეს. რაც შეეხება დანაშაულის ადგილის დროს, აქ გამოყოფილია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის წელი, რაც აშკარად არასაკმარისია მასალის ანალიზის თვალსაზრისით. ფორმა № 11-ის ნაკლოვანი მხარეა აგრეთვე საქმიანობის მიხედვით ჯგუფების უქონლობა. იგი არ შეიცავს საქმიანობის შესახებ არსებული ნონაცემების სქესთან, ასაკთან და განათლების დონესთან კომბინირების შესაძლებლობასაც, რაც საგრძნობლად აღარბეჭდს ინფორმაციას. ამ ფორმაში საკმაოდ მდიდარი ინფორმაციაა დანაშავეთა განათლების დონის შესახებ, მაგრამ მასში გამოყოფილია მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონე და წერაკითხვის უცოდინარ ბრალდებულთა ჯგუფი. ფორმა № 11-ში ყველაზე უფრო საინტერესოა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულთა დახასიათება წარსულში ჩადენილი დანაშაულის მიხედვით, მაგრამ ეს მდიდარი ინფორმაცია არ არის განხილული სქესთან, ასაკთან, საქმიანობასთან კავშირში, რაც აგრეთვე ამ ფორმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

თუ ამჟამად პოზიციებიდან განვიხილავთ მე-12 ფორმას, რომლის სათაურია „ანგარიში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა შესახებ“ დავინახავთ, რომ ინფორმაცია არასრულწლოვანებზე შეიძლებოდა განალიზებულიყო გაცილებით უფრო ღრმად, თუ ცნობების შეგროვების სტადიაზე გამოვიყენებდით დაჯგუფებებს, რომლებიც კომბინირებული იქნებოდა შემდეგ ნიშნების მიხედვით: დანაშაულის სახეობა, სქესი, ასაკი და სხვა. ამჟამად კი მასალის ამგვარი დამუშავება შეუძლებელი ხდება ბრალდებულთა ბარათების გამოუყენებლად, რაც მნიშვნელოვნად ართულებს საქმეს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები ნოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის ორგანოებს კვარტალში ერთხელ უგზავნიან ანგარიშს ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სასამართლო პრაქტიკის შესახებ (ფორმა № 16-ს). აქ ნიშნები არ არის კომბინირებული, თუმცა მონაცემების განზოგადებისათვის ეს საჭიროა. მაგალითად, ჩვენის აზრით, აუცილებელია გამოიყოს შრომისუნარიანი პირები, რომელნიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ, მათი განათლების დონე, წარსულში ნასამართლობა და ა. შ.

ამგვარად, სისხლის სანართლის სტატისტიკა და სახალხო სასამართლოების სტატანგარიშების სისტემა, შეიცავს საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას, მაგრამ მასალის დამუშავებისას ეს ინფორმაცია მნიშვნელოვნად დარბდება სტა-



ტისტიკურ ფორმებში მონაცემთა კომბინირებული დამუშავების სისტემის უქონლობის გამო. აქედან ცხადია თუ როგორ რთულდება იუსტიციის ორგანოებში თავმოყრილი ნასამართლობის მახასიათებელი მდიდარი მონაცემების შემდგომი ანალიზი.

ამ სიძნელეებს ნაწილობრივ შეიძლება თავი დავადწიოთ, თუ იუსტიციის ორგანოების მუშაობაში დავნერგავთ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვისა და ანალიზის თანამედროვე საშუალებებსა და მეთოდებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეამცირებს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და განზოგადებისათვის საჭირო დროს, შეუშუბუქებს შრომას იუსტიციის ორგანოების მუშაეებს, გააღრმავებს სტატისტიკურ დამუშავებას და სხვ.

შემდეგ, როდესაც სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვისა და ანალიზის თანამედროვე საშუალებებზე ვლავარავობთ, მიზანშეწონილად იგეგვანა შევეხთ ინფორმაციული საძიებო სისტემის დანერგვას, როგორც რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების, ისე იუსტიციის სამინისტროს მუშაობის პრაქტიკაში. ეს სისტემა ინფორმაციის ძიების წესებისა და ტექნიკური საშუალებების ერთიანობაა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამუშაოს რაციონალურ წარმართვას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ყოველი საინფორმაციო-საძიებო სისტემა შედგება ერთნაერთან დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული საინფორმაციო ენის ორი მხარისაგან, რომელთაგანაც ერთია სიტყვათა სისტემა, სიმბოლოები, ნიშნები მათი ჩაწერის წესებთან ერთიანობაში, ხოლო მეორეა ამ ინფორმაციის მატერიალური მატარებლები-პერფორმანსები, მაგნიტური ლენტები და ა. შ.

დღეისათვის პრაქტიკაში დანერგილი ინფორმაციული ენებიდან ყველაზე გავრცელებულია დესკრიპტორული, რომლის გამოყენებაც, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მიზანშეწონილია სამართლებრივი ინფორმაციის ფიქსირებისა და დამუშავების დროს. ამიტომ ჩვენ არ შეეჩერდებით სხვა ინფორმაციული საშუალებების აღწერაზე და მოკლედ შევეხებით ზემოაღნიშნული დესკრიპტორული ენის გამოყენების საკითხს სამართლებრივი ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საქმეში.

რაც შეეხება ინფორმაციის მატერიალურ მატარებლებს, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და მოხერხებულია პერფორმანსები. მათი ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ისინი გვაძლევენ მრავალმხრივ ინფორმაციას, რომელიც გვეხმარება ასევე მრავალსაპექტურ ანალიზში, ამიტომ ინფორმაციის მატარებლების სხვა სახეობებს ამ წერილში ჩვენ არ შევეხებით.

პერფორმანსებით სარგებლობა მიზანშეწონილია ყველგან, სადაც კი საჭირო ხდება დიდი რაოდენობის ცნობების შეგროვება და დანუშავება. მათზე გადატანილი ინფორმაცია შედარებით ადვილად მოსაძებნი და დასახარისხებელია მაშინაც კი, თუ ეს ბარათები დიდი რაოდენობითაა. პერფორმანსებში მოცემული ინფორმაცია შეიცავს ერთდროულად ჩვენთვის საინტერესო მრავალ მონაცემს. გარდა ამისა, პერფორმანსები ყოველთვის შეიძლება დავახარისხოთ მასში მოცემული ყველა ნიშნის მიხედვით. პერფორმანსების კიდევ ერთი დიდი უპირატესობა ისიც, რომ საჭირო არ არის მათი სათანადო წესით დალაგება, ვინაიდან საჭირო პერფორმანსების მოძებნისას მათ მდებარეობას მასივში არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. პერფორმანსები, რომლებიც შეიცავს ამა თუ იმ ინფორმაციას, ყოველ მომენტში წინასწარ მოუძნა-

დებლად შეიძლება განოჯყოთ საერთო მასივიდან მექანიკური საშუალებით ან თუნდაც ხელით. ამრიგად, პერფორბარათებისაგან შედგენილი კართოთეკა ყოველთვის მზადაა გამოყენებისათვის.

ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის ფიქსაციისა და ამ ინფორმაციის ძიების პერფორბარათების სისტემა შეიძლება აიგოს ორრიგა განაპირა პერფორაციის ბარათების ან ჩვეულებრივი 80-სვეტიანი პერფორბარათების გამოყენებით. ინფორმაცია პერფორბარათებზე განლაგებული იქნება დამუშავებული მაკეტის შესაბამისად, მაკეტში კი გათვალისწინებული იქნება ინფორმაციის მოძებნისათვის საჭირო ყველა რეკვიზიტი. პერფორბარათების კიდევ ერთი დადებითი მხარეა ის, რომ განაპირა პერფორაციის ბარათებზე საჭიროებისამებრ შეიძლება დავამატოთ ტექსტობრივი ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო ობიექტის შესახებ.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ რაოდენ რაციონალურია ამდაგვარი სისტემა იუსტიციის ორგანოებში აღრიცხვის წარმოების მკვეთრად გაუმჯობესების თვალსაზრისით, საუმარისია ითქვას, რომ იგი საშუალებას იძლევა მექანიკური სელექტორის გამოყენებით ერთ საათში დამუშავდეს 20-30 ათასი პერფორბარათი.

ჩვენის აზრით პერფორბარათები პირველ რიგში შეიძლება მეტად ეფექტურად იქნას გამოყენებული სახალხო სასამართლოების არქივების მუშაობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, პერფორბარათებზე შეიძლება დაფიქსირდეს მონაცემები, რომელთაც შეიცავენ სააღრიცხვო სტატისტიკური ბარათები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

თუ ამ სისტემას დანერგავთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაში, პერფორბარათები შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც პირველადი ინფორმაციის შემცველი, რაც საშუალებას მოგვცემს წლიური ანგარიშის შედგენის პროცესი დავაჩქაროთ 4-ჯერ, ხოლო კვარტალურისა — 6-8-ჯერ.

დღეისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში სტატისტიკური ანგარიშების სისტემა ნახევრად კუსტარულია, ვინაიდან ტაბულაგრაფების გახსნისა და გამომთვლელ-საპერფორაციო მანქანაზე მრავალჯერ დახარისხების წერე სტატისტიკური ანგარიში იყება ხელით, მაშინ, როდესაც უკვე შექმნილია და ექსპლოატაციაშია სტატისტიკური ანგარიშის ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებზე დამუშავების პროგრამები, რომელთა გამოყენება არავითარ პრინციპულ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ არქივში დღემდე ინახება ანგარიშის სტანდარტული ფორმები რამდენიმე ათწლეულზე. ისინი იკავებენ რამდენიმე ოთახს კედლებზე მჭიდროდ განლაგებული თაროებით. ინფორმაციის მოძებნა ასეთ პირობებში შრომატევადი და ხანგრძლივი საქმეა და ამას გარდა მოითხოვს სპეციალურ პროფესიულ მომზადებას. ეს კი, ჩვენ გაუნართლებლად გვეჩვენება თანამედროვე პირობებში, როცა შეიძლება ეს ფორმები შეიცვალოს მცირე პერფორბარათებით, ე. ი. აპერტურული ბარათებით ან განაპირა პერფორაციული ბარათებით, რომლებშიც შეიძლება ჩაერთოს ამ დოკუმენტების მიკროასლები.

ასეთი არქივი შეიძლება მოთავსდეს ერთ პატარა კარადაში, ინფორმაციის მოძებნა და შენახვა კი არ მოითხოვს არქივის მუშაკებისაგან სპეციალურ მომზადებას, საჭირო ინფორმაციის მოძებნა შედარებით იოლდება საპერფო-

რაციო-ანალიზური მანქანის კონსტრუქციის დამხარისხებელი მოწყობილობის ან ელექტრომექანიკური სელექტორის გამოყენებით.

გარდა ამისა, იუსტიციის ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დანერგვა უახლოეს მომავალში შეიძლება მნიშვნელოვნად წინ წავიდეს. სახელდობრ, ამჟამად მოქმედი სტატისტიკური ბარათები მსჯავრდებულზე და მათ მიხედვით შედგენილი სტატისტიკური ანგარიშის ყველა ფორმა შეიძლება შევინახოთ მაგნიტურ ფირზე და მათი გადაშუავებით მივიღოთ ყველა სახის ინფორმაცია ელექტრონულ-განოთვლითი მანქანების საშუალებით, მაგრამ ეს სამუშაო დიდ წინასწარ მომზადებას მოითხოვს, ამიტომ იგი მომავლის ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბარათების სისტემას, იგი შემდეგნაირად უნდა შეიქმნას: აპერტურულ ბარათებზე დაპერფორირდება ინდექსური კოდები, რომლებიც ახასიათებენ ანგარიშის ფორმების მიკროასლების შინაარსს. იმ შემთხვევაში, როცა მოქმენილია საჭირო აპერტურული ბარათი, ჩანაწერი ხელმისაწვდომია. ძირითადი არგუმენტი ნიკროფილმების ამ სისტემის გამოყენების სასარგებლოდ არის აგრეთვე ადგილის და დროის მნიშვნელოვანი ეკონომია.

**რედაქციისათვის:** ვ. ღომორაცვის სტატიაში შემოთავაზებული წინადადებები იუსტიციის ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დანერგვის შესახებ უზრუნველყოფს იმსახურებს. რედაქცია მოელის, რომ მას გამოეხმაურებიან სასამართლო სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში მომუშავე პირები. საინტერესოა ამ საკითხებზე იუსტიციის სამინისტროს სათანადო სამსახურისა და ხელმძღვანელობის მოსაზრებები.

# დოკუმენტური კინო სამართლებრივი

## პროპაგანდის სამსახურში



### ქართვად იუჩისვთა და კინემაგოგაკუისვთა უხეხედეკა

შარშან გაიმართა ქ. თბილისის იურიდიული საზოგადოებრიობის შეხვედრა სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოფილმების სტუდიის შემოქმედებით კოლექტივთან. მოეწყო კინოჟურნალ „ადამიანი და კანონის“ 10 ნომრის გასინჯვა, შემდეგ კი მისი საზოგადოებრივი განხილვა. დამსწრეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, იურისტი გ. ხარატიშვილი. განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების გამგე კ. ნარმანია, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთ. რედაქტორი თ. კაციტაძე, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ქურდაძე, ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჟვანია, კინოჟურნალ „ადამიანი და კანონის“ რედაქტორი ლ. ცინცაძე, თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოფილმების სტუდიის დირექტორი ზ. ყუფარაძე. გამოთქმული იქნა საინტერესო წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები, რაც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი მკითხველებისათვის. ვებტყდავთ ამ შეხვედრის შემოკლებულ სტენოგრამას.

მ. პაციტაძე: ამ რამდენიმე წლის წინ საფუძველი ჩაეყარა კარგ, სასარგებლო საქმეს. მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლების სამსახურში ჩადგა მასებზე ზემოქმედების მძლავრი საშუალება—კინო საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია უკვე საკმაო რაოდენობით გამოიშვა კინოჟურნალი „ადამიანი და კანონის“ და უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის იურიდიულმა საზოგადოებამ დღემდე სათანადოდ ვერ შეაფასა ამ დიდი ღონისძიების მნიშვნელობა საბჭოთა სამართლის პროპაგანდის თვალსაზრისით ყოველ ახალ წამოწყებას კი, როგორც მოგეხსენებათ, სჭირდება სათანადო რეკლამა, ამ სიტყვის კარგი გაგებით რესპუბლიკურ პრესას ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, არაფერი გაუკეთებია, კინოჟურნალს რეკლამა

არ ეწევა იმ კინოთეატრებშიც, სადაც მათი დემონსტრირება ხდება. ვფიქრობ, სცოდავენ კინოგაქირავეების ორგანოებიც.

დღემდე შექმნილი არ არის საზოგადოებრივი აზრი კინოჟურნალის „ადამიანი და კანონის“ შესახებ. ეს საქმე მინდობილი აქვს თავისი საქმის მოყვარულ რამდენიმე ერთუზიასტს, რომლებსაც, თუ იურიდიული საზოგადოებრიობა არ დაეხმარება, გაუჭირდებათ შესაფერის დონეზე წარმართონ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე.

კინოჟურნალის შესახებ დღევანდელი საუბარი ალბათ ბევრ საჭირობოროტო საკითხს წამოჭრის, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს „ადამიანი და კანონის“ იდეურ-პროფესიული დონის ამაღლებას. ჩვენთან დღეს არის სტუდიის ხელმძღვანელობა და კინოჟურნალის მეტად მცირერიცხოვანი კო-



ლექტივი. ისინიც ალბათ გვეტყვიან მათ წინაშე მდგომ სიძნელეებზე და წამოაყენებენ თავიანთ წინადადებებს. გვესწრებიან აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები და ქ. თბილისის სახალხო სასამართლოების წარმომადგენლები, რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები. როგორც ვხედავთ, აუდიტორია საკმაოდ კვალიფიციურია და უნდა ვიფიქროთ, ბევრ საინტერესო რამეს მტყვის კინოსტუდიის მუშაკებს ამ ყურანლის შესახებ.

ახლა ჩვენ გავსინჯავთ 10 კინოჟურნალს, დანარჩენი აღრვევ გვაქვს ნანახი, შემდეგ კი გამოვთქვამთ ჩვენს აზრს.

ჟურნალის დემონსტრირების შემდეგ ო. კაციტაძე სიტყვას მოხსენებისათვის აძლევს იურისტს, ხელოვნებათმცოდნე გიორგი ხარატიშვილს.

**ბ. ხარატიშვილი:** სკკ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრუქნევის საანგარიშო მოხსენებაში და ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა ადამიანის კომუნისტური სულიკვებით აღზრდის საკითხებს. იგი რთული პრობლემაა და მისი გადაწყვეტა მოითხოვს მთელი რიგი კომპლექსური დონის-ძიებების განხორციელებას. განსაკუთრებული როლი ამაში უნდა შეასრულოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებამ, აგრეთვე, მხატვრულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. საბჭოთა მოქალაქის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია მისი სამართლებრივი აღზრდის გარეშე. მოქალაქეს, პირველ რიგში კი ახალგაზრდას, არამარტო უნდა ვასწავლოთ მოქმედი კანონმდებლობა, არამედ უნდა ჩავუნერგოთ სამართლისა და კანონისადმი ღრმა პატივისცემა. თანამედროვე ეტაპზე ეს არის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომლის განხორციელებისათვის, იუსტიციის ორგანოებთან ერთად, უნდა იბრძოდეს ყოველი განათლებული ადამიანი, ნამდვილი ინტელიგენტი. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა საბჭოთა კანონების პროპაგანდა. დღეს საბჭოთა კავშირის ყოველ უმაღლეს სასწავლებელში იკითხება სპეციალური კურსი—„საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“. ასეთივე კურსი 1976 წლიდან შემოღებულია საშუალო სკოლებშიც და პროფტექნიკურ სასწავლებლებში. სამართლის პროპაგანდისათვის დაარსდა სპეციალური სახალხო უნივერსიტეტები, საზოგა-

დოებრივი იურიდიული კონსულტაციები და სხვა.

როგორც უკვე ვთქვით, სამართლის პროპაგანდაში დიდაა მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების, კონკრეტულად კი კანონის როლი. ვ. ი. ლენინმა ჭერ კიდევ 1922 წელს თქვა, რომ „უკველა ხელოვნებას შორის ჩვენთვის უკველაზე მნიშვნელოვანია კინოხელოვნება“-ო. ვ. ი. ლენინის ეს გამოთქმა დღეს კიდევ უფრო აქტუალურად უდერს, რადგან ხელოვნების დარგთა შორის, თუ შეიძლება ასე თქვას, კინო უკველაზე ელასტიურია, მას თავისუფლად შეუძლია შეიჭრას საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროში, კუნჭულში, რომელიც ხელოვნების სხვა დარგისათვის მიუწვდომელია.

საბჭოთა სამართლის პროპაგანდაში კინოს გამოყენებისათვის ჩვენთან ბევრი რამ გაკეთდა. თბილისის დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიამ ჭერ კიდევ 1970 წელს, დაიწყო დოკუმენტური კინოფილმის ახალი უარის კინოჟურნალ „ადამიანი და კანონის“ გამოშვება.

უთუოდ სასიამოვნო ფაქტია, რომ „ადამიანი და კანონი“ პირველად ჩვენს რესპუბლიკაში, თბილისის დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში იქნა გამოშვებული. 1973 წლიდან ასეთივე უარის ფილმების წარმოება დაიწყო მოსკოვის დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში, შემდეგ კი სხვა რესპუბლიკების სტუდიებშიც.

ამ წამოწყების ინიციატორები გახდნენ კინოსტუდიის დირექტორი ზურაბ ყუფარაძე, სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი, მსოფლიოში სახელმწიფო კინოდოკუმენტალისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გიორგი ასათიანი, მთავარი რედაქტორი ლევან ცინცაძე და სტუდიის სხვა თანამშრომლები, რომელთაც აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

1970 წლიდან დღემდე სტუდიამ „ადამიანი და კანონის“ 24 ნომერი გამოუშვა, რომლებიც სხვადასხვა დროს ნაჩვენები იყო რესპუბლიკის კინოთეატრების ეკრანებზე. მაყურებელმა ისინი მოიწონა, რაც დასტურდება იმ წერილებით კინოსტუდიის ხელმძღვანელობა მაყურებლებისაგან რომ დებულობს. იყო შემთხვევები, როცა სტუდიაში თხოვნით მოდიოდნენ მშრომელები, რათა ეკრანზე გადაეღოთ და საჯაროდ ემზილათ

უმსგავსობანი, რასაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში.

ახე რომ, ვაკეთდა ძალზე სასარგებლო საქმე, რისთვისაც სტუდიის ხელმძღვანელობას და მთელ შემოქმედების კოლექტივს მხოლოდ მაღლობა ეკუთვნის.

გადარებული 24 ფილმიდან ჩვენ შევარჩიეთ და სადემონსტრაციოდ მოვატანეთ მხოლოდ ათი. ეს, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ 24 ფილმის ნახვა ერთ დღეს შეუძლებელია, დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფილმები თავიანთი სიუჟეტებით, თემატიკის ხასიათით ერთმანეთს გვანან და პრობლემის თვალსაზრისით ყოველთვის სინახლით არ გამოირჩევიან. ჩვენ შევეცადეთ გვეპოვნა საერთო, დამახასიათებელი და შევარჩიეთ ათი ნომერი, რომლებიც დანარჩენ ფილმებზე სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს.

რა შეიძლება ითქვას ამ ფილმებზე, დღეს რომ ვნახეთ?

მე ასეთ დასკვნას ვაკეთებ:

როგორც ჩანს, სტუდია ამ მეტად საქარო და საპატო საქმეს მთელი გულისყურით და მონდომებით მოეკიდა და შექმნა ჩვენი უფის ნეგატიური მოვლენების ამსახველი კინოლოკუმიენტური ფილმები. რასაც პრაქტიკული შედეგებიც კი მოჰყვა. მათ გამოეხმაურნენ ადგილობრივი ორგანოები და უმეტეს შემთხვევაში მდგომარეობა გამოსწორდა. მე მხედველობაში მაქვს ფილმები, თბილისის ზოგიერთ უბანში უსუფთაობის თუ სხვა უწყსარიობის შესახებ.

ფილმები გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით. კინოაპარატი მოქმედებს დაკვირვებულად, იჭერს საყურადღებო ფაქტებს და ქმნის შთაბეჭდილებას. მაგალითად, ფილმებში, რომელთაც ჩვენ ვუწოდეთ „რეპორტაჟი სასამართლოს დარბაზიდან“, ისე კარგადაა დაჭერილი სასამართლო პროცესის საყურადღებო მომენტები, ისე კარგადაა გამოყენებული მსხვილი პლანები (ბრაღდე-ბულთა აღიარება-მონანიება, პროკურორის სიტყვა და სხვა), რომ ისინი ნამდვილად ემსახურებიან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანას.

ფრიად საინტერესო და მისასალმებელია ისეთი ფილმის შექმნა, 1978 წელს რომ არის გადაღებული. ეს არის „აღამიანი და კანონის“ № 10 პროფესიული მსახობების მონაწილეობით.

მართალია ამ ფილმში სტუდიის მუშაკები ერთგვარად დაცოდნენ დოკუმენტურ უნარს, მაგრამ ის, რაც ვნახეთ, ცხოვრებისე-


ულია და შეიძლება თითოეულ ჩვენგანს უნახავს კიდევ საკუთარი თვალით. სტუდიის მუშაკები გიჩვენებენ თავიანთ დაინტერესებას ცხოვრების მსვლელობით, მყუდრობელს უჩვენებენ არამარტო იმ უმსგავსობას, რასაც ჩვენი ახალგაზრდობა ჩადის ხოლმე, არამედ მოსახლეობის გულგრილობასაც ასეთი მოვლენების მიმართ. ამ ფილმით სტუდია აუწყებს საკითხს, თუ რატომ ხდება ასეთი ამბები დღეს თბილისში. მათ აქ წამოჭრეს ისეთი პრობლემა, რითაც უნდა დაინტერესდნენ არამარტო დამინისტრაციული ორგანოები, არამედ პედაგოგებიც, ფსიქოლოგებიც, სოციოლოგებიც, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც.

მთხედვად ზემოთქმულისა, „აღამიანი და კანონი“ ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ასრულებს თავის ძირითად დანიშნულებას, სოციალისტური კანონიერების პროპაგანდას და ამდენად მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდას. ფილმების სიუჟეტები უფრო მამხილებელი და გამკიცხავია ვინემ აღმზრდელითი. საჭიროა ძიება, რათა გამოინახოს უფრო კონკრეტული ფორმა, რომელიც უკეთ შეასრულებს სამართლის პროპაგანდის როლს. ასეთი ფორმების მოძებნა, (ფორმაში გვულისხმობ რა თქმა უნდა თემასაც) კინოსტუდიის ოპერატორებს ადამინისტრაციული ორგანოების მუშაკებისაგან დამოუკიდებლად, მათ დაუხმარებლად არ შეუძლიათ. პროკურატურის, სასამართლოს, ოუსტიციის მუშაკებმა, უნდა მიაწოდონ მასალა სტუდიას. სამწუხაროდ ამ ხნის მანძილზე ჩვენ მუშაკებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ დიდ საქმეში.

საბოლოოდ, ყველას სახელით, მაღლობა მინდა მოვასხნო კინოსტუდიის შემოქმედებით კოლექტივს და გამოვთქვა რწმენა, რომ დღევანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს, რათა „აღამიანი და კანონი“ უფრო დაუახლოვდეს თავის მოწოდებას.

მ. პანცინძამ: სიტყვა ეძლევა ვ. ყვანიალი—კიროვის სახელობის რიონის სახალხო მსამართლებს. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩვენს რესპუბლიკაში სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელიც ქმნის პოპულარულ-დოკუმენტურ ფილმებს — „აღამიანი და კანონი“, უდავოდ დიდი მოვლენაა და მნიშვნელოვან შედეგს მოიტანს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. აგრეთვე დანაშაულის პროფილაქტიკაში. ეს ფილმები საზოგადოებაში უკვე პოპულარობით ხარგებლობენ და მყუდრობელთა მოწონებას იმ-



სახურებენ. ამაზე გ. ხარატიშვილმა საქმაოდ დამაჭერებლად ილაპარაკა და ამის გამეორება ვფიქრობ საჭირო არ არის.

ჩვენ დღეს მეტად საქმიანი შეკრება გვაქვს და მიზანი ის კი არ არის, რომ მხოლოდ კარგი ვაქოთ და დავიშალოთ, არამედ ღრმა ანალიზი უნდა გავუკეთოთ იმას, რაც ხელთ გვაქვს, ობიექტური კრიტიკის თვლით შევხედოთ ყოველივეს და დავსახოთ შემდგომი მუშაობის კონკრეტული ღონისძიებები.

აქ უკვე ითქვა, რომ ეს ფილმები ძალიან გვანან ერთმანეთს თავისი სიუჟეტებით და ფორმით. მეტად სწორი და დამაფიქრებელი შენიშვნაა, რადგან ერთფეროვნება უზრუნველ უკარგავს სათანადო ბრძოლისუნარიანობას, ანელეებს ამ ფილმებისადმი ინტერესს. დავიწყოთ სათაურიდან. რამდენად შეეფერება სათაურს ის სიუჟეტები, რომელიც ჩვენ აქ ვნახეთ? გ. ხარატიშვილმა სრულიად სამართლიანად ბრძანა, რომ აქ არის გათიშვა, მისი მიზანდასახულება ბოლომდე არ არის გააზრებული. ეს დაფიქრებას მოითხოვს. წლების განმავლობაში სახალხო უნივერსიტეტს ვხელმძღვანელობ და ლექციურ პროპაგანდაში ვცდილობთ ამ ფილმების გამოყენებას, ეს სასწავლო წელიც ასე დავიწყეთ, მაგრამ 12 ფილმიდან მხოლოდ სამი ამოვარჩიეთ, რომლებიც ერთმანეთს არ წააგავდა.

რაცა ასეთი სერიოზული აუდიტორია შეიკრიბა ფილმების განსახილველად, მე მინდა უფრო მეტი შედეგი ჰქონდეს ჩვენ შეხვედრას და ამიტომ უურადლებას გავამახვილებ იმ უარყოფითზე, რაც თვალნათლივ ჩანს. სასამართლო პროცესზე ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. ამიტომ მე მინდა ვუსაყვედურო ჩემს კოლეგას, მოსამართლეს იმას გამო, რომ იგი სასამართლო პროცესზე უპიჯაკოდ კითხულობს განაჩენს. საინტერესოა, ოპერატორმა ან რეჟისორმა რატომ არ უთხრეს მას ამის შესახებ. ეს ისტორიულად შეიქმენტიური ფილმია. უზრუნველს მომავალ-შეიც ნახვენ. გავა წლები და რას იტყვიან? მოსამართლე მოსამართლეს არ გავდა. გარეგნულ ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამისი გაუბრალოება დაუშვებელია. რეჟისორმა ასეთი „წვრილმანიც“ უნდა გაითვალისწინოს.

**ბ. სბრატნიშვილი:** ეს მან თვითონ უნდა იცოდეს — კადრი ფარული კამერით არ არის გადაღებული.

**ბ. შხანდია:** რეჟლიკა სწორი არ არის, სასამართლოს პროცესის გადაღება მოსამართლესთან შეუთანხმებლად არ ხდება. პირი-

ქით, ამას დიდი ორგანიზაციული მოსამზადებელი მუშაობა უძღვის წინ და ამიტომ ყოველივე დაწვრილებით და ბოლომდე უნდა იქნეს გააზრებული.

ზოგიერთ ფილმში გაშუქებულია მოქალაქეობრივი და ზნეობრივი საკითხები, მაგრამ ეს არ არის „ადამიანი და კანონის“ თემა. ჩვენ სოციოლოგიური გამოკვლევების დიდი ტრადიციები გვაქვს. ჩვენთან შეიქმნა რიგი სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც დანაშაულის სოციოლოგიას სწავლობენ და თემის შესატყვისი მასალა ყოველთვის მოიხებენ. სასამართლოშიც ნახავთ საინტერესო თემას არამარტო სისხლის სამართლის საქმეებზე, არამედ სამოქალაქო საქმეებზეც. ჩვენთვის მტკივნეულია ისეთი საკითხი, როგორცაა ახალგაზრდა ასაკში ქორწინება. არის წრე მოსახლეობისა, 14-15 წლის ასაკში რომ ათხოვებენ გოგონებს, მაშინ, როდესაც ეს ეწინააღმდეგება კანონს და ჩვენ მათ ვასამართლებთ. კინოურნალი ჩვენ დავგეხმარება ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის აღმოფხვრაში და იმის განმარტებაში, თუ როგორია სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნა, აგრეთვე, როგორია დღევანდელი ზნეობრივი ნორმები. არის შემთხვევა, რომ ქალი გათხოვდება, მიიყვანენ ოჯახში, ბავშვი უჩნდება და შემდეგ, რადგან ქმარი ეყრება, დგება მისი ბინიდან გამოსახლების საკითხი. არის კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ ადამიანი ცხოვრობს ოჯახში, მაგრამ საბინაო დავთარსი ჩაწერილი არ არის, ოჯახის წევრების უთანხმოების გამო, შეიძლება გამოსახლებულ იქნეს, რადგან ფართობზე უფლება არ აქვს. საჭიროა საოჯახო სამართლის კანონები ყველამ იცოდეს და მისი პოპულარიზაცია შეიძლება ამ უზრუნველს მემშვეობით.

მკვლევლობებს რაც ნაკლებად ვაჩვენებთ, უკეთესი იქნება. ჩვენ ვერსოთხით სიუჟეტის სიმწვავეთ, მაგრამ ამას აქვს თავისი უარყოფითი მხარეც და იგი აღმწრდელიობის შეგავლენას ვერ ახდენს. ჩვენ დოკუმენტურ ფილმს იმასვე ვთხოვთ, რასაც მხატვრულ ფილმს. ეს ფილმები ისე უნდა იყოს გააზრებული, ისე უნდა მივიღეს მაყურებლამდე, რომ მისი ნახვის შემდეგ გამოიტანოს დასკვნა, რათა მას არ დავმართოს ისეთი რამ, რაც აქ ნახა. მხატვრული ფილმი შეიძლება ვნახოთ, გავიცინოთ და წაავიდეთ, მაგრამ ეს ფილმი ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მან აღზარდოს ახალგაზრდები. ამიტომ სიუჟეტება უფრო ღრმად უნდა იყოს გააზრებული და წარმოდგენილი ისე, რომ მაყუ-

რებელმა ამ ფილმის ნახვის შემდეგ იფიქროს და სათანადო დასკვნა გამოიტანოს.

ფილმების ერთი თვალის გადავლებით არ შეიძლება სრულყოფილი აზრის ჩამოყალიბება. ვფიქრობ, რომ საქიროს ოუსციაციის მუშაკები უფრო მეტ დახმარებას უწყვიდენ კინოსტუდიის კოლექტივს რჩევით, კონსულტაციით. აუცილებელია კინოსცენარების უფრო მეტი დახვეწა, ვიდრე აქამდე იყო. კიდევ ერთი, ამჟამად უკვე ბევრი სხვა კოლექტივი აკეთებს ასეთ ფილმებს და იხიონ ძალიან გვანან ერთმანეთს. „ოქროვირი“ აქვს ტელევიზიის და მსგავს სიუჟეტებს გაწვდის. რუსი კინოლოკუმენტალისტები გვთავაზობენ ამ სახის საუკეთესო ფაქტებს საერთო სათაურით „ჩელოვკი ზაკონ“ და „ფიტილი“.

ჩვენ მათგან უფრო მეტი უნდა გადმოვიღოთ. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ მოვხდინოთ დუბლირება. აუცილებელია შემოქმედებითი ძიება და მიგნება. მაშინ შედეგაც უკეთესს მივიღებთ.

კინოსტუდიის კოლექტივის ვუსურვებ შემდგომ შემოქმედების წარმატებას. იმედია ეს შენიშვნები გაზიარებული იქნება.

მ. ძუბრაძე: თავიდანვე მინდა განაცხადო, რომ ჩემს თავს არ ვვგლი კომპეტენტურად, რათა შევაფასო შურნალი — „ადამიანი და კანონი“, როგორც კინოხელოვნების ნაწარმოები. მე მხოლოდ, როგორც იურისტი, გამოვთქვამ ჩემს აზრს ამ შურნალზე საერთოდ და მის ცალკეულ სიუჟეტებზე.

შურნალის მიზანი მეტად კეთილშობილურია, თემატიკა აქტუალურია და ამიტომ იწვევს დიდ რეზონანსს არამარტო აქ დამსწრეთა შორის, არამედ უფრო ფართო აუდიტორიებში და სპეციალისტებშიც. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნაბიჯი, რომელიც გადადგეს კინოს მუშაკებმა, როცა ამგვარი შურნალი შესთავაზეს მაყურებლებს, დროულად იყო და სავსებით გამართლებულიც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მის წინაშე დახმული პრობლემები და ამოცანები ყოველთვის ზუსტად, ჭეროვნად არ არის გადაწყვეტილი.

შურნალის გამოცემის სირთულე ის არის, რომ რამდენიმეწუთიან ფილმში ოთხი-ხუთი სიუჟეტი, რომლებშიც თითქმის ამდენივე პრობლემა დახმული. ყველა ის მაყურებელს აღელვებს. ეს განსაკუთრებით თქმის კინოკლუბ სიუჟეტებზე. ისინი შეიძლება ხალხს მივაწოდოთ გაზეთისა და შურნალის საშუალებითაც. მაგრამ კინო ამ მხრივ მაინც შეუდარებელია. კინემატოგრაფს უფრო სრულყოფილად შეუძლია ზეგავლენის მოხდენა,

მიუთმეტეს, თუ ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ პუბლიცისტიკასთან და ხელოვნებასთან.


ადამიანი და კანონი, ადამიანის დამოკიდებულება კანონისადმი, თავისთავად ვრცელი, დიდი, ამოუწურავი თემაა. კანონს წყორედ ადამიანი ქმნის, ადამიანისათვის იწერება და ამ სახელწოდების შურნალი მოვალეა პრობაგანდა გაუწიოს იმას, ზუსტად ხორციელდება თუ არა იგი ცხოვრებაში.

ამისათვის შურნალის კოლექტივს, უპირველესად, მაღალი პროფესიული დონე, საბჭოთა სამართლის ერთგვარი მინიმუმის ცოდნა მოეთხოვება. ცოდნა მათ დაეხმარება წინ წამოსწიონ საზოგადოებისათვის მტკიცენულ საკითხები, ჩვენი საქმიანობის ხარვეზები, ცალკეული პრობლემები, უფრო ღრმად ჩასწვდენ დანაშაულის არსს, აჩვენონ მათი გამომწვევი მიზეზები და თავიდან აცილების გზები. ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში ჩვენ, აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, მხარში უნდა ვუდგეთ მათ და ყოველნაირად ვეხმარებოდეთ.

ზ. უშვარაძე: დიდი მაძლობა მინდა გადავუხადო შეხვედრის ინიციატორებს, დამსწრე საზოგადოებას, კინოშურნალის გახიზნვისათვის და საუბრადღებო შენიშვნების გამოტყობისათვის. ვფიქრობ, დღევანდელი შეხვედრა დაეხმარება კინოშურნალ „ადამიანი და კანონის“ შემოქმედებითს ჭეუფს ამაღლოს შურნალის იდეურ-პროფესიული დონე, უფრო საინტერესო გახადოს იგი ხანაზობრივად. შურნალის კოლექტივი, როგორც მოგხსენებთ, მეტად მცირერიცხოვანია: რედაქტორი — ლევან ცინცაძე, რეჟისორი — სერგეი სტრანოვი, ფილმის დირექტორი — რევაზ ჭიჭინაძე, რომელიც ერთერთ სიუჟეტში მსახიობადაც მოგვევლინა, ოპერატორია ნოდარ ჭუმბურიძე.

ბევრი შენიშვნა სამართლიანი იყო. მრავალი გასათვალისწინებელი რამ ითქვა დასაწყისში ჩვენ კარგი კონტაქტი გვქონდა ხანმართლადამცველ ორგანოებთან. კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტთან შექმნილი იყო სამხატვრო საბჭო, რომელიც ერთთანება პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების, რესპუბლიკის ოლტიციის სამინისტროს, პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს წარმომადგენლებს. თანდათანობით ეს ურთიერთობა შენედა და საბი-ოთხი წელი იქნება, სულ შეწყდა. ამის შემდეგ ჩვენ საკუთარი თავის ანაბარა ვართ შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობა დამკაპულოვებულია რომ უოფლიყო, ალბათ დღეს ნაკლები შენიშვნები გამოითქმებოდა შურნალისა და შემო-





ქმედებითი კოლექტივის, აგრეთვე სტუდიის მიმართ.

კინო დინამიკა. ტელევიზიაში შეიძლება ერთი რომელიმე ფრაგმენტი ან დოკუმენტი გაჩეროთ და ნახევარი საათი ილაპარაკოთ. კინო ამას ვერ იტანს. აქ საჭიროა ფორმისა და შინაარსის ცოცხალ-გამოსახულებრივად შერწყმა.

ჩვენს ეურნალს რაკი „ადამიანი და კანონი“ ჰქვია, მისი მიზანდასახულებაა აუცილებლად ეწეოდეს საბჭოთა სამართლისა და კანონიერების პროპაგანდას, მაგრამ ამ პროპაგანდას, უპირველეს ყოვლისა, კინოს, დოკუმენტური კინოს ენით უნდა ვეწეოდეთ.

ვღებთ აქ გამოთქმულ შენიშვნებს და აუცილებლად გავითვალისწინებთ შემდგომ მუშაობაში. ეს შეხვედრა სარგებლობას მოუტანს ჩვენს კოლექტივს. აუცილებელია დავაშუროთ მტკიცე კავშირი არა მარტო იუსტიციის სამინისტროსთან, არამედ სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან.

ვფიქრობთ, ამ ეურნალის ზოგიერთი ნომრის შექმნაში თუ თქვენნი წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას, ეს თავიდან აგვაცილებს ეურნალში დაშვებულ შეცდომებს.

რა თქმა უნდა, ძნელია ეურნალის ათი ნომრის ერთად განხილვა, მაგრამ იგი მაინც დამაკაყოფილებლად ჩატარდა. მე მინდა კიდევ ერთხელ მადლობა მოგახსენოთ ეურნალის ესოდენ საქმიანი განხილვისათვის. ვფიქრობ, ჩვენი თანამშრომლობა აუცილებელია და მინდა რწმენა გამოვთქვა, რომ ეს შეხვედრა ბევრი კარგი წამოწყების საწინდარი გახდება.

**ლ. ცინცაძე:** დღევანდელი შეხვედრა, უპირველეს ყოვლისა, იმით არის სასარგებლო, რომ ის ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული ორგანოების და კინოს მუშაობა შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ამასთან აქ გამოთქმული საქმიანი შენიშვნები და წინადადებები საშუალებას მოგვცემს კრიტიკულად შევაფასოთ და გავაანალიზოთ ჩვენი საქმიანობა, დავუხსლოთ ერთმანეთს იურისპრუდენციისა და დოკუმენტური კინოხელოვნების მიხედვით.

რამდენიმე სიტყვა კინოეურნალ „ადამიანი და კანონის“ შექმნაზე. მისი გამოცემა 1971 წელს დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით. დღეისათვის კინოეურნალის 25 ნომერია გამოსული. მოკლე დროში მან მაყურებლის, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ეს ალბათ იმიტომ აიხსნება, რომ კინოეურნალი დაუფარავ, მართლად

ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ძვრებზე. ეურნალის სიუჟეტების მეშვეობით მოსახლეობა მნიშვნელოვანი მოვლენების უშუალო თანამონაწილე ხდება, ინფორმირებულია ქველადერში, ხედავს ვინ იხვება და რატომ იხვება, რატომ გვიხდება. მკაცრი ღონისძიებების განხორციელება ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

თუ როგორ აფასებს და უჭერს მხარს მოსახლეობა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლას, ამაზე ნათლად მეტყველებს ის დიდი ინტერესი, რასაც მაყურებელი იჩენს კინოეურნალის ყოველი ახალი ნომრისადმი. ეურნალზე დიდი მოთხოვნაობაა მთელს რესპუბლიკაში. ამას ადასტურებს ასეთი ფაქტი: როდესაც კინოგაქირავების კანტორა კინოთეატრებს ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული ეურნალის ასლებით, კინოთეატრების დირექტორები პირდაპირ სტუდიაში მოდიან და ერთადერთ ასლს თხოულობენ დროებითი სარგებლობისათვის. ისინი ამბობენ, მაყურებელთა დიდი ნაწილი კინოში ხშირად მხოლოდ ეურნალ „ადამიანი და კანონის“ ხანახავად დადის.

ეს დოკუმენტური კინოს დიდი გამარჯვებაა და იმას მოწმობს, რომ დოკუმენტური ფილმი მხატვრული ფილმის უბრალო „დამატიებიდან“ დამოუკიდებელ ღირებულებად იქცა. გამოდის, რომ დოკუმენტური კინოს 10 წლით იხეთივე სინტერესს და აუცილებელი ხდება ფართო აუდიტორიისათვის, როგორც მხატვრული ფილმის ვრცელი, ორსაათიანი პროგრამები. ასე მოწყურებულია მაყურებელი მართლად, შეუფერადებელ ინფორმაციას.

დღეს ჩვენ გიჩვენებთ დიდი ნაწილი სამი წლის პროგრამისა, ათი კინოეურნალი, რომელსაც ორი საათი დასჭირდა. ე. ი. ჩვენი სამი წლის პროგრამა ერთ, მოზრდილ სრულმეტრაჟიან ფილმს, 12 ნაწილად შეადგენს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ აქ გამოსულთავე ზოგიერთმა სურვილი გამოთქვა, რომ მაყურებლის წინაშე ვრცელი, სამართლებრივ-პროპაგანდისტული ნასიათის მასლით წარვსდგეთ. ჩვენ არ შეგვიძლია გავაიგივოთ იურიდიული და მხატვრული აზროვნება.

ჩვენი კინოეურნალი ხელოვნების სფეროს მიეკუთვნება და მას ისე არ უნდა შევხედოთ, როგორც იურიდიულ დოკუმენტს, აქ გამოთქმული შენიშვნების უმრავლესობა სწორედ იმის შედეგია, რომ იურისტები ფაქტის აღწერისას იურიდიული სიზუსტის დაცვას, იურიდიულ აზროვნებას გვთხოვენ და ავიწყდებათ, რომ ჩვენ მხატვრულ აზროვნებასთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტთან ურ-

თიერთობის, ფაქტის აღნიშვნის ორი სხვადასხვა ხერხია. პირველი ფაქტს მხოლოდ კინოს მოთხოვნათა სიბრტყეზე ხედავს, ხოლო მეორე — ხელოვნება, იმავე ფაქტს სხვა „ენით“, სხვა საშუალებებით გადმოსცხს. სწორედ ამიტომ, აქ გამოსულ ზოგიერთ ორატორს ჩვენს კინოურნალტაში სასამართლო პროცესის თემაზე აგებულ სიუჟეტებში პროცესული თანამიმდევრობის დაუცველი შემოქმედებითი კოლექტივის უნებლიე „შეცდომა“ მიაჩნია. ეს, ჩვენი აზრით, „შეცდომა“ არ უნდა ჩაგვეთვალოს. ამასთან, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი სამი წლის პროგრამა სულ ორ საათს შეადგენს, ყოველი ცალკეული ურნალი 8-10 წუთიანია, ურნალის თითო სიუჟეტი კი ერთსახევიარ-ობა შემოქმედებითი კოლექტივით, რომ ამ მცირე დროში ძნელა ვრცელი მსჯელობა და ისიც იურისპრუდენციის მკაცრი დოგმების დაცვით. ასე რომ მოვიქცეთ, კინოურნალი ყოველგვარ ინტერესს დაკარგავს და არც მაყურებელი ეცოდება.

აქ გამოითქვა შენიშვნა, რომ ხშირად სასამართლო პროცესებზე ცუდად ჩაცმულ, წვერაუპარსავ, ცუდად მოლაპარაკე მოსამართლეებსა და პროკურორებს ვიღებთ. მოგვიწოდეს, რომ გამოვასწოროთ ეს შეცდომა. ჭერ ერთი, ეს ფაქტის დამახინჯება, დოკუმენტის „მხატვრული“, „პავლიონური“ გათამაშება იქნებოდა, რაც იმთავითვე მოსპობდა სიმართლეს, ანა წარმოიადგინეთ, რა იქნებოდა გაუმართლებელი მოსამართლის მიერ „გამოტანილი“, „პავლიონში“ დადგმული განაჩენი. სწორედ ეს იქნებოდა კანონის „დარღვევა“. მაყურებლის მოტყუება დოკუმენტის ფაქტობრივად. სწორ განაჩენს ჩვენ გათამაშებულ, გამოკონილ სამოსელში მოვამკვდებით და მაყურებლის ნდობას დავკარგავთ. ისიც ხომ უნებრხელია, რომ სასამართლოს შემადგენლობას, რომელიც ხალხის ზნეობრივი, მორალური და იურიდიული უფლებების სადარაჯოზე დგას, პროცესზე შემთხვევით მოსულმა კინოოპერატორმა ახწავლოს როგორ უნდა იცვამდეს აქვე დღეს.

აქ ბევრი სამართლიანი შენიშვნა გამოითქვა. ჩვენ მათ შევისწავლით, გავანალიზებთ და გავითვალისწინებთ მომავალში. აუცილებელია უფრო ანდო, მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ სასამართლო-პროკურატურის ორგანოებთან. სწორედ ამ ურთიერთობას შეუწყობს ხელს დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც, რისთვისაც სტუდიისა და კინოურნალის „ადამიანი და კანონის“ მთელი კოლექ-

ტივის სახელით დიდ მადლობას ვუხდით ამ შეხვედრის ინიციატორებს.

ზ. რაბინანი: მე, სამასხურებრივად მომეოხვება საქმიანი კონტაქტი მქონდეს სტუდიის ხელმძღვანელობასთან და ურნალის მესვეურებთან. მინდა მოგახსენოთ ჩემი დამოკიდებულება დღევანდელი შეხვედრის თაობაზე, აქ ითქვა, თუ ვინ იყო იმ კარგი და დიდი საჭირო წამოწყების ინიციატორი, როგორც არის სამართლებრივი პროპაგანდის სამასხურში კინოხელოვნების ჩაყენება. კინოურნალმა მოკლე ხანში მაყურებლის აღიარება მპოვა. საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ამ ხასიათის ურნალის დაარსება ითავა. დაახლოებით ხუთი წლის წინათ, საკავშირო მასშტაბის ერთ-ერთ ფორუმში, სადაც სამართლებრივი პროპაგანდის და სამართლებრივი აღზრდის საკითხები იხილებოდა, დემონსტრირებული იქნა ჩვენი კინოურნალის ზოგიერთი ნომერი. ფილმებმა ინტერესი გამოიწვია და მოწონებაც დაიმსახურა.

აღრევ და აქ, დღეს გამოთქმული შენიშვნების მთხვედრად, საერთოდ ურნალი, ცალკეული სიუჟეტური მხატვრულ-პროცესული თვალსაზრისით დადებით შეფასებას იმსახურებს.

ამასთან, სამართლებრივ პროპაგანდაში კინოს უფრო სრულყოფილად გამოყენებებისთვის, საჭირო იქნება არსებული გამოცდილების გაღრმავება, უფრო ხანგრძლივი სიუჟეტების შერჩევა, სცენარის თემათ, ფაბულა და ტიპური მოვლენების მნიშვნელოვანი ფაქტების ძიება, მასალის მაღალი, სათანადო რეჟისორული გააზრება, დიალოგების დახვეწა და სხვა.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ურნალს ვუყენებთ იმავე მოთხოვნებს, რასაც სრულმეტრაჟიანი და მხატვრული ფილმებს. კარგად მესმის, რომ შენიშვნების გამოთქმა გაცილებით ადვილია, ვიდრე თვით ფილმის შექმნა. ისიც ვიცი, თუ რა სიმძნელებებთანაა დაკავშირებული ამ ურნალის შექმნა. მაგალითად ის, რომ აქ, დროის ფაქტორთან გვაქვს საქმე, რომ სიუჟეტი უნდა იყოს ლაკონური, განმასახიერებელი მოქმედების არე შეზღუდულია და სხვა. მაგრამ, სწორედ ამ სირთულეების დაძლევა საჭირო. ზოგიერთი თვლის, რომ ვინაიდან კინოურნალი თავისი ფორმით და მოხანმარებთი ქრონიკის, დოკუმენტური ფილმის ხასიათს ატარებს და ამით უფრო უშუალოა, გაცილებით ადვილად აღწევს მაყურებელამდე. მე ვიტყვოდი, ასეთი შეხედულება არ უნდა იყოს მართებული, რამდენადაც, ჩემის



აზრით, ფაქტების ქრონიკის, შიშველი სახით მიტანა მაყურებელამდე ვერ შექმნის ემოციურ გარემოს და ამდენად ვერც სათანადოდ დამკვიდრდება. ამის გარეშე კი მიზანი მიუღწეველი დარჩება. ზოგჯერ შეიძლება უსუფემოქმედებაც კი გამოიწვიოს. ფილმმა მაყურებელი მართლწესრიგის დაცვის იდეით უნდა განსმკვალოს. მას ფილმის მენეჯერობით გარკვეული წარმოდგენა უნდა შეექმნას კანონის მოთხოვნათა შინაარსზე და უნდა დარწმუნდეს კანონის სისწორეში, მის აუცილებლობასა და ძალაში. ერთი სიტყვით, საჭიროა ჩვენი ფილმები, მოუთხრობდნენ მაყურებელს იმის თაობაზე, თუ რა შედეგები მოჰყვება აღამიანების კანონთან კონფლიქტში შესვლას, როგორ უნდა იქნეს აცილებული ასეთი კონფლიქტი. საბოლოო ჩაშლი იეს კინოჟურნალები უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის მართლმწიგნების ამაღლებას, ზრდიდეს მასებს კანონის სრული პატივისცემის სულიკვეთებით და აქცევდეს მათ კანონის თავგამოდებულ ქომაგებად. ჭერ-ჭერობით კი ჩვენი მიერ შექმნილი ზოგიერთი ფილმი, მიუხედავად მათი დადებითი მნიშვნელობისა, ამ ამოცანას ვერ წყვეტს. მაგალითად, ერთ-ერთ ფილმში წარმოდგენილია შემწარავი ანტიანატარული სიტუაცია. ჭერ ერთი, ეს ფილმი მეტად შემაწუხებელია მისი არაესთეტიური გარემოთი, რომელსაც მოსახლეობა კი არ ქმნის, არამედ გამოწვეულია სამეურნეო დაწესებულებათა ცალკეული ხელმძღვანელების უბასუხისმგებლობით. ამდენად, იგი მაყურებლის სამართლებრივი აღზრდის ფუნქციას სრულიადაც არ ემსახურება, პირიქით, კონფლიქტურადაც კი განაწყოებს მას იმ ორგანოების მიმართ, ვისაც ევალება სანატარული წესრიგის დაცვა. მეორეც, ეს არ არის აღამიანის და კანონის (მე კვლავ შურნალის სახელწოდებიდან გამოვდივარ) ურთიერთობა. უკეთეს შემთხვევაში და ალბათ, სწორედ ასეცაა, ასეთი სიუჟეტი ცალკეულ მესვეურთა უუნარობის, გულგრილობის, უღარდებლობის, ე. წ. მამილებელ საშუალებათა სფეროს მიეკუთვნება და ტენეჟურნალ „ოქრობის“ სიუჟეტად უფრო გამოდგება.

დღეს აქ ისეთი გულახდილი საუბარი გაიმართა, რომ, მე ვფიქრობ, იგი ალბათ სახარგებლო აღმოჩნდება ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის. სრულ იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში უკეთეს ფილმებს მივაწვდით მაყურებელს, ამასთან საჭირო იქნება სამართალდამცველ ორგანოებთან, შემოქმედებით ორგანიზაციებთან კონტაქტების გაძლიერება

და საბჭოს წევრების მიმართ მომთხოვნელობის გაზრდა.

მ. პატინაძე: დღეს კინოჟურნალის — „აღამიანი და კანონის“ მაყურებლები და შემფასებლები ყველაზე მკაცრი მსაჯულება — იურისტები იყვნენ. მოგესხენებოთ, რომ იგი პროფესიონალებისათვის კი არ არის გამიზნული, არამედ მასობრივი მაყურებლისთვის. ამდენად, ზოგიერთი ის შეცდომა თუ შეცოდება, რაც ჩვენმა აუდიტორიამ მსწრაფლ აღიქვა, შესაძლოა სხვებს ვერც შეენიშნათ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ შურნალის შემოქმედებითა ჩვეუფმა ყურადღება არ მიაქციოს დეტალებს, ვინაიდან უმინიშნელო შეცდომაც კი, რომელიც კანონის განმარტებასა და აღამიანის კანონთან კონფლიქტს შეეხება, არ არის საბატიებელი.

სიუჟეტების შერჩევის დროს უნდა ვავითვალისწინოთ, თუ რომელი დანაშაულია ყველაზე მეტად გავრცელებული რესპუბლიკაში უბირველესად ასეთი მასალის გაღება უნდა დაიგეგმოს. მაგალითად, ბოლო ხანებში ჩვენში გავრცელდა ბარბაროსული დანაშაული — ვაჟის აჩეხვა. ავიღოთ ღვინის და სხვა მაგარი სასმელების ფალსიფიკაცია, რაც მასობრივი ხდება. ვაჟისა და ღვინის კულტურის უძველეს ქვეყანაში ეს ყოველად მოუთმენელი დანაშაულია. სამწუხაროდ, 23 შურნალში ამ თემებს არცერთი სიუჟეტი არ დაეთმო.

საინტერესოა სიუჟეტი უხარისხო მშენებლობის შესახებ. კარგი იყო, შურნალის მენეჟერებს აქვე ეთქვათ, რომ ძალაშია ნორმა, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის იმ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინც დამნაშავეა უხარისხო მშენებლობისათვის. კინოჟურნალში ბევრი კრიტიკული სიუჟეტია. უნდა ვიფიქროთ, რომ სათანადო ორგანიზაციების ამ კრიტიკას იღებენ და ახორციელებენ ზომებს მდგომარეობის გამოსწორებლად. იქნებ საჭიროა ახალი სიუჟეტები, რომლებშიც ნაჩვენებია იქნება, თუ რა გამოსწორდა და რას არ მიექცა ყურადღება. ამას ყველაფერს მოვხატება უნდა. საქმე ისე უნდა გაკეთდეს, რომ არ დაიარღვეს შურნალის მსვლელობის დინამიურობა და საყურებლად უფრო საინტერესო გახდეს.

ყველამ, ვინც აქ გამოვიდა, კმაყოფილება გამოთქვა დღევანდელი შეხვედრის გამო. მეც ვუერთდები მათ. იმედია ეს შეხვედრა მართლაც სარგებლობას მოუტანს კინოსტუდიის და შურნალის ხელმძღვანელობას და საერთოდ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას.



# სოცსფესი

## ფოროს მაჟინარაჟული

(დასასრული) \*

ყურყუმელა, ყურყუმელა... რამდენი ხანია ეძებდნენ ამ გამოჩაგულ მკვლელს! ფაქრობდნენ ცოცხალი აღარ არისო, და აი ისევ ამოიყურყუმელავა ფედაია კაშღევმა, რომელიც ჭერ კიდეც ნებმანებს ასაღებდა! პატიმრობა — გაქცევა, პატიმრობა — გაქცევა, რამდენჯერმე, ბოლო ათი წელი კი აღარაფერი ისმოდა მასზე, თითქოს არასდროს არც არსებულყო განთქმული ყურყუმელა.

— რა ღონეს ხმარობთ დაძებნისთვის? — იკითხა კორნილოვმა.

— ყველანი ფეხზე დავაყენეთ, იგორ ვასილის ძე. ფედაია ვერ დაგვისხლტება ხელიდან... ჩიბუხის თამბაქო, სხვათა შორის, ვიპოვეთ... „ამფორა“. ზოლანდიური თამბაქოა; სურნელოვანი. რამდენიმე ჩიბუხიც.

— არქივში მისი ფოტოსურათია... სასწრაფოთ გამარავლეთ! წვერიანი ფოტორობოტიც გააკეთონ. შეიძლება მოიპარსა, შეიძლება არც მოიპარსა... — ცოტა ხანს გაჩუმდა. — დაე ბიჭებმა შეამოწმონ — ქალაქში ხომ არ ცხოვრობენ ისინი, ვინც ყურყუმელასთან ერთად გადიოდა ძველ საქმეებში და ყველას გავსაუბრონ.

ბელიანნიკოვმა ყურმილი დადო, მაგრამ მაშინვე ხელახლა დარეკა.

— იგორ ვასილის ძე, როგორ გრძნობ თავს?

— საზიზღრად, — ჩაიბურღელუნა კორნილოვმა. — სიცხე ამივარდა. — მერე საათს დახედა — უკვე სამი ხდებოდა.

იგი ისევ სიჩუმეში იწვა და ფედაია კაშღევზე ფიქრობდა. ბელიანნიკოვის ტუჩიდან კი არ უხაროდა ამ მხეცის კვალს რომ წაწყდნენ. არა უშავს, რომ უცბაო ვერ დაიჭირეს, ეს ახლა ტექნიკის საქმეა, შორს ვერ წავიღოდა. მაგრამ ფედაია რატომღაც უკანა პლანზე გადაიღოდა და ისევ ელანდებოდა ტყის ვიწრო ბილიკი და ზედ გაშნარათული ცოლის სხეული.

ეს მოგონებები ყოველთვის მოეძალებო-

და ხოლმე იგორ ვასილის ძეს, როცა ავად იყო და ნებისყოფა არ ყოფნიდა თავიდან მოეშორებინა იმ შორეული დამის კომპარტბი, როცა ერთმა გამხეცებულმა, ვინც სასწაულით დაუსხლტა სისხლის სამართლის სამძებროს ახალგაზრდა ინსპექტორს კორნილოვს, აგარაკის მახლობლად, ტყის ვიწრო ბილიკზე ჩაუსაფრდა კორნილოვის ცოლს და შური იძია განსასჯელის სკამზე მყოფი ძმაკაცებისათვის.

გამთენიას იგორ ვასილის ძემ ძალზე ცუდად იგრძნო თავი. დედა განუწყვეტლივ უცვლიდა სველ ტილოს შუბლზე, ის კი თვალმხეც ვერ ახელდა, და დაბინდული გონებიდან ვერ იშორებდა საზიზღარ აზრს სიკვდილზე.

— ნუთუ შეიძლება ასე უგუნურად სიკვდილი? — გაიფიქრა მან, — რაღაც ტუტუტური სიცხის გამო მოკვდე და აღარ გამოხვიდე შეხუთული ოთახიდან, რათა ჩაისუნთქო ნევის გრილი ნიავი, აღარ მიხვიდე ფანჯარასთან, რომლის იქით ასეთი მახლობელი ქალაქია... როგორ არ მინდა სიკვდილი.


იგი გამოაფხიზლა ხელის შეხებამ. ვილაცამ შუბლზე ხელი დაადო. დედა არ იყო. პატარა გრილ ხელს სუნამოს სურნელება დაჰკარავდა. შემდეგ იგივე ხელი მზრუნველობით შეეხო მის ხელს.

— ექიმი ქალია, — მისვდა კორნილოვი. — რა ალერსიანი ხელი აქვს.

— ვერა ნიკოლოვის ასული — ძალზე დაბალი ხმით თქვა ექიმმა. — ნუ წუხარო. ახლა გამოეთუბისკენ შებრუნდა საქმე...

იგორ ვასილის ძემ თვალები გაანთლია ოთახში სანახევროდ ბნელოდა, მხოლოდ მზის სხივი იჭრებოდა შტორებში, და ერთი მათგანი ექიმს პირდაპირ სახეზე მოსვდა. ეს ოლია იყო. ასეთი დაინახა კორნილოვმა იგი ვალაამზე, როცა ქალი ტყიდან გამოდიოდა — დიდთვალემა და საოცრად ნაწი. მხოლოდ ახლა შეწყუბებული სახე ჰქონდა. უნ-

\* დასაწყისი იხ. „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის № 5, 1976 წ. №2, №3, № 4, № 5, № 6; 1977 წ. № 1, № 2, № 3, № 4, № 5, № 6, 1978 წ. № 1.



დოდა ეთქვა ოლიასთვის: „თქვენ კეთილი ფერიასავითა ხართ, ყოველთვის მოულოდნელად ჩნდებით“, მაგრამ შეეშინდა, სიტყვები ბანალური არ გამოსულიყო და მხოლოდ გაიღიმა. და დანახა, როგორ გარდაიქმნა ოლიას ხასე, როგორ გაუბრწყინდა თვალები და ნაზ ხასეზე წუხილი გაუქრა,

— გამოიღვიძეთ, ავადმყოფო? — ჰკითხა ექიმმა და წინ ჩამოუჭდა სკამზე. — რა სუსტები ხართ მძებრები, ორპირი ქარის გეშინიათ.

— გვეშინია, — დაბალი ხმით წარმოთქვა კორნილოვმა. — ნემსებს გამოკეთებთ? ჰკითხა მან და გაიხსენა საუბარი კუნძულზე. — ორი კვირაც არ გასულა და მომავლით.

— შეგეშალათ, იგორ ვახილის ძეგ. უკვე მეტცრამეტე დღეა, თქვა ექიმმა — გაწითლდა და დედას შეხედა.

\* \* \*

თედორე კაშლევნი დიდხანს იდგა კართან ყურს უგდებდა, ხომ არავინ ამოდის კიბეზეო. მაგრამ სრული სიჩუმე იყო — არც ფეხის ხმა ისმოდა, არც კარის ჭახუნი. წუთები გადიოდა, მას კი ვერ გადაეწყვიტა კარის გაღება. მკვეთრად აწკარუნდა ტელეფონი. კაშლევნი შეკრთა. ტელეფონი დიდხანს გულის წამღებად წკარუნებდა. ბოლოს, როცა ჩაჩუმდა, თედორემ კარი გააღო და კიბესთან გამოძვრა. კარი მსუბუქად გაჩაქუნდა და მიიკეტა. გამოსულმა თავისუფლად ამოისუნთქა. მკვლარი სილკოვი, მოპარული მანქანები, ბანქოს მოთამაშეები — ყოველივე ეს კარს უკან დარჩა, ისეთივე უსიცოცხლო და ახლა უკვე სრულიად გამოუსადეგარი მისთვის — თედორე კაშლევნისათვის. იგი ნელა დაეშვა კიბეზე. შერეულ ხართულზე ბირველი უსიამოვნება ელოდა. სილკოვის ბინის ქვეშ მდებარე ოთახიდან კაცი გამოვიდა, რომელსაც მცირე ზომის ჩემოდანი ეკავა ხელში. იგი კართან შეჩერდა და თვალი შეავლო კაშლევნს. ეტყობოდა ვიღაცას ელოდებოდა. ბირველ სართულზე კი კაშლევნი პატარა ფოსტალიონ ქალს შეეფეთა. მან უზარმაზარი ჩანთა კედელთან დადო და გაზეთების ჩაწყობა დაიწყო ყუთებში.

„რა ეშმაკმა მოათრია!“ — შეიგინა კაშლევნი. მან იგრძნო, რომ გული შა და შა ამოუფარდებოდა საგულეიდან. სუნთქვა შეეკრა, თავბრუ დაესხა; მოეჩვენა, რომ ერთ ნახევარს ველარ გადადგამდა. აღარ ემორჩილებოდა ფეხები, სწორედ ის ფეხები, რომლებსაც ამდენჯერ გადაურჩენია თავისი პატრონა უბედურებისაგან. კაშლევნი კბილების ღრქე-

ნით მაინც ვადადგა ერთი ნახევარი, შემდგომში ორე. „შორს, რაც შეიძლება შორს ამ სახლიდან! ისედაც უკვე ორ აღამიანს შევეფეთე“.

აღარ ახსოვს, რამდენი იარა. ბოლოს მაინც შეჩერდა და კედელს მიეყრდნო. არასდროს ასე ცუდად არ უგრძვნია თავი. ვერც ხშირი სმა, ვერც მთელი ღამე ბანქოს თამაში, ვერც გოგონები — ვერაფერი ვერ ამოგადებდა ხოლმე მას კალაპოტიდან. ახლა კი... ერთი გასროლა და შიშმა აიტანა. გასროლა ხომ უფლებლო ყოფილა მის ცხოვრებაში!

ვიღაც ქალიშვილი შეჩერდა მის წინ და რაღაცა ჰკითხა. კაშლევნი ესმოდა სიტყვები, მაგრამ აზრი ვერ გაიგო. ქალიშვილი ხელახლა შეეკითხა:

— ბაბუა, ცუდადა ხართ? იქნებ „სასწრაფოს“ გამოვუძახო?

ბოლოს და ბოლოს, გაიგო შეკითხვა, სიძულვილით შეხედა ქალიშვილს და ბინძურად შეიგინა. ქალიშვილი უკან დაიწია, თითქოს დაარტყესო, გაშორდა, თან რამდენჯერმე უკან მოახედა.

ბოლოს გული დაუწყწნარდა. კაშლევნი გაემართა მოსკოვის სადგურისკენ. ტაქსის გაჩერებასთან დიდი რიგი არ იდგა.

შინ რომ მივიდა, გულმოდგინედ ჩაეკტა კა-



რი. ერბო-კვერცი შეიწვა, ზედ მოაყარა წვრილად დაჭრილი სოსისი და მწვანე ხახვი. მაცივრიდან არაყი გამოიღო. „ის ჩემოდანიანს სულელი და ფოსტალიონი რომ არ შემხვედ-

როდენ — გაიფიქრა სინანულით, — არავითარი კვალი არ დარჩებოდა! „კიდევ ერთხელ გაიხსენა დაწვრილებით ყველაფერი, რაც ხილკოვის ბინაში მოიმოქმედა. „არა, კვალი არ უნდა დარჩინილიყო. — რა გაუყვირდა საცოდავს როცა კარზე დაკრეკი! ისე კი სანდო ბიჭი იყო. არც გამოუცდელი. ფულს მამღვედა — არ ჯანჯლობდა. აცხონე ღმერთო რა უნდა მექნა? მას შემდეგ, რაც სულელი მაქლაჩუნა ჩავარდა, ყოველ წუთს შეეძლოთ ხილკოვის კვალს წაყვდომოდენ, ხილკოვთან კი მე მომადგებოდნენ“...

მან გაიფიქრა, რა სწორად მოვიქცევი, რომ საქმე მხოლოდ ხილკოვთან მქონდაო. მას შემდეგ რაც ფედია ნიკოლაევი მიიმალა, თედორე კაშლევს მხოლოდ ხილკოვი იცნობდა. იცნობდა როგორც მემიწუნესა და უფროსს ავტომობილების საქმეში. ბანქოს თამაში სახტუმროში? ყველა ბაია—ყვავილით იყვნენ! ბანქოს მოთამაშეებასთვის მამა თედორე მხოლოდ იღბლიანი პარტნიორი იყო, ინტელიგენტი. მერე, სამძებრო არც დაიწყებს ბანქოს მოთამაშეთა ძებნას. ხილკოვს კი! ხილკოვს კი დაიჭერდნენ, და, ცხაღზე-ცხადია, თედორე კაშლევსაც, რატომ უნდა იღვევოს? რაში სჭირდება საიქიოსაკენ მიმავალი გზა? რა საჭიროა სიბერეში წარსულის გამოქვეყნა? სამძებრო კი გამოუტყვევდა. ექს! გამოუტყვევდა! რაც იყო, იყო, ხილკოვი ახლა კრინტს ვეღარ დამრავს. ფულიც ბლომად დააგროვა. ბაქიობდა კიდევ. „ოჰ, მამაძალი, — დაარტყა მაგდას მუშტი კაშლევმა. ბოთლი აწკრიოდა. — სად დამალა ის ფული?“

კაშლევს არ უნდოდა თავის თავს გამოტყდომოდა, რომ ფულმა, სწორედ ამ ფულმა მიიყვანა იგი დილით ადრე ხილკოვთან. ფულმა. კი, შეიძლება ხილკოვი დაეჭირათ, შეიძლება ავტომობილების საქმეც ამოტოვტივებულიყო, კი, შეიძლება! მაგრამ ხომ შეეძლო უსისხლოდ გაპარულიყო ქალაქიდან, წასულიყო თბილ მხარეში, რასაც დიდი ხანია უკვე აპირებდა და სიცოცხლის ბოლო წლები იქ გაეტარებინა. დიდი ხანია ახალი დოკუმენტებიც გაიკეთა, მაგრამ ფული, ფული ჰქონდა ცოტა. ხილკოვის ათი-თხუთმეტი ათასი სწორედ მისწირება იქნებოდა...

იგი სვამდა და გრძნობდა, როგორ თვრებოდა თანდათან უფრო ბრავდებოდა ამ ძუნწ ხილკოვზე. როგორ დამალა ტუგრაკები. დამალვაც ამას ჰქვია.

შემდეგ, მაგრამ რომ გამოთვრა, ტანსაცმელგაუხდელია მიწვა ლოკიანზე და გვიან საღამომდე ეძინა. გაშლივდივდილს თავის ტყვიელი აჭყვა. ფული ისე მძლავრად უცემ-

და, ამოვარდნას ლამობდა. და ვერ მიხვდა, საიდან შეეპარა შიში. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ძალზე წინდაუხედავად მოიქცა, მაგრამ ვერ მიხვდა სად და რატომ.

„ხვალვე მოვუხვამ აქედან, — მტკიცედ გადაწყვიტა კაშლევმა, შემოვითებულმა გადახედა გამოღებულ ფანჯარაში და დაკვირვებით დააცქერდა შეთხლებულ ქუჩას. — არა უგვიანეს, ვიდრე ხვალ! ხილკოვს ხვალ საღამოზე უფრო ადრე არავის გაახსენდება. სამსახურში გადაწყვეტენ, სადმე ქეიფს გადაჭყვავო. მის დაცხადს გაუყვირდება მოულოდნელი წახვლა. რამდენჯერმე დაურეკავს ტელეფონზე და მოეშვება. მაგრამ ვაი თუ ბინის გასაღები აქვს?“

მან ამოაძრო პლანთუსის ქვეშა სამალავიდან ცელოფანის მომცრო პაკეტი. ამოიღო იქიდან ფული და პასპორტი, პასპორტი თუმცა ოდნავ იყო გაცრეცილი, მაგრამ საცხებით საიმედო გახლდათ. იგი თედორე თედორეს-ძე ზაინცესის სახელზე იყო გამოწერილი.

ფოტოსურათზე უწვერო იყო და თავმომწონედ იცქირებოდა. აპრეხილი ცხვირი, თავხედური ღიმილი! სურათი ათი წლის წინათ იყო გადაღებულია. კაშლევმა ამოიხრა და პასპორტი ჯიბეში ჩაიღო. ფული გადათვალა. არა უშავს, სუთითოდ წელს ეყოფა. მერე... მერე ალბათ უკვე აღარაფერი დასკირდება.

ფული ლამაზ დიდ საფულეში ჩატენა და საფულე ჩემოდანში ჩააგდო. ვალუტის მალაზიაში ნაყიდი ორი კოსტუმი აურატულად დაკეცა და ისიც ჩემოდანში ჩაღო. „თითქმის ახალია, დიდხანს შეიძლება ჩაცმას“, გაიფიქრა კმაყოფილებით. კიდევ ორი ბერანგა ჩაღო. ჩემოდანი დიდი არ იყო და კაშლევმა ინანა, რომ მთელ ავლადიდებს შიგ ვერ ჩატევდა.

ჩემოდნის ჩალაგება რომ დაამთვრა, საბაზანოში შევიდა და ფრთხილად დაიწყო წვერის გაპარსვა. სარკეში დიდხანს თვალჩაყვებით ათვალიერებდა საკუთარ თავს. არ ესამოვნა, რომ სულ არ ჰგავდა პასპორტის პატარა ფოტოსურათზე აღბეჭდილ ფედიაში კაშლევს. მიწისფერი ჰქონდა სახე და ლოყები ბებრული, დანაოკებული... უცებ გაუღელვას უსამოვნო. ფიქრმა: რამდენიმე დღის წინ, ჯერ კიდევ კარგად გრძნობდა თავს, თავდაჯერებული და ძალღონით იყო სახსე. მთელი დამე შეეძლო ექვიდნა გოგობთან, ფული ეყვანა, არავისი არ ეშინოდა... ნეტავი ახლა რა მოხდა? ხომ არაფერი შეიცვალა მის ბედობაში? ხილკოვი მოკლდა? კვლავ უნდა მიიშალოს? კი მაგრამ, განა მთელი ცხოვრება ასე არ განვლო? და მას არახსოვს



ემსონდა მომავლისა... მომავლისა. დახ, წინათ ჰქონდა მომავალი, ახლა კი იგი აღარ არსებობს. ახლა ნამ ვეღარ შეხსენებ წელში გაიმართოს, ვეღარ შეძლებს ჩაითროს საქმეში ხილკოვები და მაჯლაჭუნები — ეს გონებაჩლუნგი და მორჩილი დამქაშება, რომლებთანაც განსაზღვრულ დრომდე შეიძლება გქონდეს საქმე. მას დრო აღარ ჰყოფნის, რომ წელში გაიმართოს.

კაშლევმა ფრთხილად ჩარეცხა ნაპარსი ბაქნიდან, გულმოდგინედ გაწმინდა იგი და საბაზანოს მთელი იატაკი, ჩვარი კი სანავგეში ჩააგდო.

სულაც არ იყო აუცილებელი, იმას ვინც მის შემდეგ შემოვიდოდა ამ ბინაში სცოდნოდა, რომ აქ წვეროსანი ცხოვრობდა. მან დაწვა ძველი პასპორტი, ისიც ისეთივე ყალბი, როგორიც ახალი, პენსიონერის წიგნაკი. ბინიდან გამოსვლამდე შეამოწმა ნაგანი. დამე გაატარა მეთევზეთა ქალაქში გადაყრუებულ დედაბერთან, მისი ერთ-ერთი ძმაკაცის ქვრივთან, რომლის ქმარი თხუთმეტი წლის წინათ დახვრატეს. კაშლევს, ხშირად არა, მაგრამ დროდღრო მასთან ფული მიჰქონდა. დედაბერს ეს ახსოვდა და ელემირებოდა.

ღლით დედაბერი სადგურში წავიდა. რამდენიმე საათი რიგში იდგა და კუბირებულო: ვაგონის ბილეთი მოუტანა სიმფეროპოლისა, იგი იმედოვნებდა, რომ ფედიაშა ამჟერადაც მიუღებდა ოცდახუთმეათიანს და ამის გამო თავლებში შესცივინებდა. მაგრამ ვერაფერი მიიღო, გარდა იმ ხარღისა, რაც ბილეთის ყიდვის შემდეგ დასწრა. კაშლევმა გაფიქრა: „არაუშვავს, კუდიანო ბებრუხანავ, ესეც გეყოფა. ახლა თავად უნდა გავწიო ეკონომია“.

იგი სადგურში მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთით აღრე მივიდა, სწორედ იმდენი დრო ჰქონდა, რომ მეცამეტე ვაგონამდე მიედგინა. მაშინვე იგრძნო, სივითი რომ ელოდა. ჩვეულებრივად მძებო მილიციელები ირეოლდნენ. თუმცა მოწყენილი სახით მიმოდიოდნენ, მაგრამ მაინც ყველას აკვირდებოდნენ. მან აუჩქარა ნაბიჯს, ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად მისულიყო ვაგონამდე, სადაც თავს შეაფარებდა. გამყოლ ქალს ბილეთი ვაი-ვიშით შეაჩერა. მატარებლის გასვლამდე ერთი წუთი რჩებოდა. ტამბურიდან ვაგონში რომ შედიოდა, შეამჩნია, რომ ვიღაცა კაცი ვაგონის სახელურებს მოეჭიდა. კაშლევმა თავის კუბესთან მივიდა და დაელოდა, ვიდრე მსუქანი ხანშიშესული ქალი თავის ბარგს სკამის ქვეშ შეაწყობდა. მატარებელი დაიძრა და ამ დროს ვაგონის ორი-ვე ბოლოდან მისკენ გამოემართნენ მამაკა-

ცები. ერთი სულ ახალგაზრდა იყო, ქერათმიანი, ცისფერი ტენისურა ეცვა. სახე დაძაბვოდა. მეორე უფროსი ჩანდა, ბაცი კოსტუმი ეცვა. იგი თვარუნველოდ, მშვიდად მოდიოდა, თითქოს თავის კუბელში ბრუნდებოდა. მაგრამ კაშლევმა გრძნობდა, რომ მისკენ მოდიოდა. კაშლევმა ჩემოდანი იატაკზე დადო, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ჩვეული მოძრაობით გადასწია დამცველი, სწრაფად ამოიღო ნაგანი და საფეთქელთან მიიტანა. სქელმა ქალმა საზარლად შეჰკივლა. ბოლო წამში მოხუცმა კაშლევმა მხოლოდ იმის გაფიქრებლა მოასწრო, რომ ამით თავს აღწევდა ხანგრძლივ, გულის გამწყალბებელ დაკითხვებს, დაპირისპირებს, თავს აღწევდა თავის წარსულს, და გაბოროტებულმა წაიჩურჩილა: „რაო, ჩამიგდეთ განა ხელში, გველებო“.

\* \* \*

ლენინგრადიდან გამგზავრების წინ ვლასოვმა ბელიანიკოვთან შეიარა და ნახევარი დღე დაკარგა იმისათვის, რომ დაწვრილებით გაეგო, თუ რა კეთებოდა გატაცებული მანქანების დაძინისათვის.

—იცით, რას უწოდებდნენ ავტომანქანების გატაცებას? — ჰკითხა იური ევგენის ძემ. — „ოპერაცია ინფარქტს“. — მან ვლასოვს ქალღლის ფურცელი გაუწოდა. ეს იყო ლიტვიენის ჩვენება: „...საუბარში სიცილით მკითხეს ხილკოვმა და ნიკოლაევმა — თუ იცი რა ჰქვია ამ ოპერაციას? მე ვუთხარი, არ ვიცი მეთქი. მაშინ მათ მითხრეს — „ინფარქტიო“. მე ვკითხე, რატომ მეთქი. მათ ამისხსნეს: როცა პატრონი თავესი მანქანის გატაცებას იგებს, მაშინვე ინფარქტი ემართებაო...“ — და, სხვათა შორის, ორს მართლაც დაემართა ინფარქტი, — თქვა ბელიანიკოვმა. — გამოძიებამ ახლა საბოლოოდ დაადგინა — მათ მოიპარეს ჩვიდმეტი მანქანა. თორმეტი გაყიდეს, ხუთი მიატოვეს, სიმხდალის გამო. იქნებ ვაგონიათ, ნებისყოფიანი აღამიანები არიან, რაინდები? არა, ჩვეულებრივი მხდალი მომხვეკელები. აი, მოიხმინეთ, რას წერს ლიტვიენი „...მე და ხილკოვმა გადაწყვიტეთ მოგვეპარა მანქანა ვასილევის კუნძულის მე-12 ხაზის 43-ე სახლიდან. მანქანით მივედი, კარი გავხსენით სახრახნისისა და გავღებინე მეშვეობით, მოვაბით ტროსი. ხილკოვი გატაცებული მანქანის კაბინაში იჯდა, მე კი ტაქსის საქესთან. მეორე სიჩქარეში ჩავაგდე, მაგრამ ტაქსმა ბუქსაობა დაიწყო, და თუმცა ყოველ ღონეს ვხმარობდი, არაფერი აღარ გამოგვივდა. შემდეგ უნებია გადმოჰდა ტაქსი და შეეცადა ბუქსი-

რით წაეყვანა მობარული ავტომანქანა, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა. მე ვეუბნებოდი ხილკოვს, რომ საჭიროა აქაურობას გავცალდეთ, თორემ შეიძლება ჩავგვადონ მეტოქე. მით უფრო, რომ ერთ-ერთ ფანჯარაში შევნიშნე მამაკაცი, რომელიც პაპიროსს ეწეოდა და ფანჯარაში იცქირებოდა. მე ხილკოვს ვუთხარი, სასწრაფოდ წავიდეთ არ ღირს რისკის გაწევა მეტოქე. მან ლანძღვა და: „შიწყო, მეუბნებოდა მხალხი ხარო, ტყუილად დავგავიშარილო და ამისთანებს. მაგრამ მე ვენდავი, რომ თვითონაც ხელები უკანალებდა. ერთმანეთი დავლანძღეთ და წამოვედით.“ — ბელიანჩიკოვმა ჩაიკითხა და კონსტანტინე პეტრეს ძეს შეხედა. — აი, ხედავთ — ამ ჭგუფში მხოლოდ ფედია ყურყუმელა იყო გამოჩაგული ბანდიტი. გამოცდილი მკვლელი, მაგრამ ის ჩრდილში იდგას. ისეთ კაცუნებს, როგორც ლიტკინ-მაკლაჟუნა, წარმოადგენდა კი არ ჰქონდათ, თუ ვინ იყო იგი.

ვლასოვს ადრე უკვე მოუყვანენ, რომ ფედიაში ყურყუმელამ იმავე ნაგანი მოიკლა თავი, რომლითაც ხილკოვი მოკლა. თავი მოიკლა მატარებლის ვაგონში, როცა დაინახა, რომ გასაქცევი გზა აღარ ჰქონდა. ჯიბეში უპოვნეს ბილეთი სიმფეროპოლამდე, ხოლო ჩემოდანში ორმოცე ათასი მანეთი.

— კონსტანტინე ნიკოლოზის ძეც, პოდპოდკოვნიკმა დარეკა, გვთხოვა გადმოგვეცა თქვენთვის, თუ კი ისურვებდით შეხვედრას, იგი შინ არის. სვალ შევებულებაში მიდის. ახლავე ვთხოვ და მანქანით მიგიყვანენ.

\* \* \*

...კორნილოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს გაუთხოვდა შეხვედა. ბოდიში მოიხადა, ბიუამო რომ ეცვა.

— იცით, გადაწყვიტე გამგზავრების წინ მივლამ-გოვლაგადი. უკვე მოაგარაკესავით დავდივარ...

ისინი ფანჯარასთან ტყავის დიდ გაცრცილ სავარძლებში ჩასხდნენ. კორნილოვი ცოტა გამხდარიყო, მაგრამ დასვენებული სახე ჰქონდა. თვალები აღარ ჰქონდა შესიებული.

— აბა რას მეტყვი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძეც, ახლა ჩემზე უკეთ იცით ეს საქმე. რომ დამართა ამ გაცხარებულ დროს გრიპი! რაღა ახლა გავხდი ავად! რა უცნაურობა! — შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის დასასრულს ვცნობრობთ და რაღაც გრიპი ვერ დავვიძლევა.

— იგორ ვახილის ძეც, ბელიანჩიკოვმა მართლაც რომ დაწვრილებით მამამო ყველაფერი. მართლაც ის მითხარით, როგორ დაად-

ვინეთ, რომ მკვლელი ჩიბუნს ეწეოდა?

— ასანთი, დამწვარი ასანთი... — კორნილოვმა ამოიღო ბიუამოს ჯიბიდან კოლოფი, ასანთს მოუღია. — ჩიბუნი მოგიწევიათ?

— ხანდახან თავი შემეძვევია.

— მეც. ზოდა, ვიდრე ამ დაწყვეტილს მოეკიდება, ასანთი თითებს მოგწვავს. თანაც ასანთით ყოველთვის ვერ გაჩაღებ. მე, მაგალითად, არ გამომდიოდა... — მან შეუბერა ასანთს და ვლასოვს აჩვენა: — ხედავთ? თითქმის ბოლომდე დაიწვა. მხოლოდ იმ ადგილას დარჩა ხე, სადაც თითებით მეჭირა. თქვენ თვითონ იფიქრეთ — პოულუბ ბინაში ორ ამგვარად დამწვარ ასანთს, ხოლო პატრონს ჩიბუნი არასდროს არ მოუწევია, არც მის ნაცნობებს. სამზარეულოში კიდევ პაპიროსის ნამწვია. — ჩვენს დასარწმუნებლად: ვითომ მკვლელი პაპიროსს ეწევა. ნამწვი კი ძველია... ხოლო სხვა დანარჩენი — ტექნიკის საქმია.

იგი ჩაფიქრდა და მერე თქვა: — ვინ არის ეს თედორე კაშლევი? ერთი დამპალი, ძირს ნაყარი ხილი! ყველგან, სადაც სუსტ ადამიანებს შეხვედებოდა, ახალი სიდამბლე ჩნდებოდა. იცით როგორ ხდება — ვაშლის ხეზე ერთი ვაშლი დაღებება, და თუ დროულად არ ჩამოაგდეს, გვერდითა დაღებება, და ისიც თუ დროულად არ ჩამოაგდეს, მის გვერდითა ვაშლიც იწყებს ლბობას და ძირს ცვივა. დამპალი, ძირს ნაყარი ვაშლები გაგონდება.

თედორე კაშლევი, ფედიაში ყურყუმელა, საშინელი ადამიანი იყო... თუმცა ადამიანს რად ვუწოდებ! იგი ადამიანია მხოლოდ... როგორ ვთქვა? ბიოლოგიური თვალსაზრისით. არავითარი ადამიანური აღარ დარჩენილიყო მასში. რამდენჯერ დააბამირებს, ვერ დაითვლი. ათი წლის წინათ გამოვიდა ციხიდან და დაიკარგა. მხედველობის არედან გაგვიქრა. ისიც კი ვიფიქრეთ, ალბათ მოკვდა სადმე სხვის სახელს ამოფარებულად... თურმე არა! კვლავ ამოტივტივდა.

კორნილოვმა გამოადო ძველებური წიგნების კარდის კარი და სქელი საქალაღე ამოიღო. ერთხანს ფურცლავდა, მერე ვლასოვს გაუწოდა.

— პირველად ჭერ კიდევ ოცდასამ წელს მოიხსენიება. წაიკითხეთ.

ვლასოვმა გამოართვა საქალაღე და გაყვითლებული ფურცელი ჩაიკითხა.

გვერდითანებული პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარეს.

მოსხენებითი ბარათი.

მას შემდეგ, რაც უკრაინაში ძირითადად მოვსპეთ სისხლის სამართლებრივი და პოლიტიკური ბანდიტიზმი, ბ/მ განსაკუთრებულმა





დამკვერთმა ჭგუფმა ბევრი ცნობა მიიღო, რომ ქ. კიევში არის ძალზე საშიში ორგანიზებული ბანდა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დიდ ზიანს აყენებს. ამ ბანდის ასზე მეტმა წევრმა საბჭოთა რესპუბლიკა წააღწია სხვადასხვა ღირებულების ყაღბი ფულითა და უცხოური ვალუტით. ფულს საზღვარგარეთაც კი ჭრიან და ისე შემოაქვთ სსრ კავშირში. ამ აფერისტ-თავდასხმელების ბანდას სათავეში უდგანან ძმები პარსენები და კიევის მელიცის ყოფილი მუსიკა პანარეტოვი.

ბანდა დაკავშირებულია სისხლის სამართლის სამძებროსთან და ინფორმაციას იღებენ ყველა არხიდან. ამიტომ მოუხელთებელია.

საჭიროდ მიმართა გამოიყოს სპეციალური ჭგუფი ამ საშიში ბანდის სალიკვიდაციოდ. საჭიროა ძალზე ფრთხილი და კონსპირაციული მოქმედება. თუ კი მე დამავალდებო, ვფიქრობ, ერთ თვეში ეს ბანდა განადგურებული იქნება.

სპეციალური დამკვერელი ჭგუფის უფროსი ფ. მარტინოვი. 1928 წ. 15 VII.

— რას ნიშნავს ეს ორი ასო ბ/ბ? — და ინტერესდა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე — ბანდიტიზმითან ბრძოლის ჭგუფს.

— ეს პანარეტოვია ყურყუმალა?


— რას ბრძანებთ, — გაიცინა კორნილოვმა. — რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ამ ბანდაში ევსიარა საქმეს. მასაც გამოცდილი მასწავლებლები ჰყავდა. გადაფურცლეთ კადევიქ პანარეტოვის აღიარება. უნდა გითხრათ, რომ ხანტერესო რამეა... მაგრამ ეს სხვა საუბარის თემაა. მთავარი ის არის, რომ ამ აღიარებაში ფედაშა მოიხსენიება...

ვლასოვმა გადაფურცლა გამოსუნებული მელნით დღღაბნილი იყო: „ბანდიტის აღსარება“.

— თქვენ ის ადგილი ვადაშაღდეთ, სადაც სანიშნე დევს, — უთხრა კორნილოვმა. — თორემ კითხვაში გაერთობით, თვალს ვეღარ მოწყვეტთ... აქ კი ორი საათის საკითხავია. ვლასოვმა გადაშალა ადგილი, სადაც სანიშნე იღო და დაიწყო კითხვა.

„1928 წლის გაზაფხულზე კიევიდან მოსკოვში გადავედი. მოსკოვში, მილნიკოვის შესახვევში, მე, ვიქტორ ფოლინი, ბენიკე კიეველი და მიხაილ პეტეცკი დავცით მოქალაქე კამლევის სახლს გვიბიძგა კაშლიცის უმცროსმა ძმაც ფედაშა და დავი, რომელმაც მოგვცა ზუსტი ცნობები, სად იყო ძვირფასეულობა და ფული. ბინაში სხვადასხვა სამალავში, როგორც იყო, მაგალითად, ბუფეტო, ელექტრონათურები, სურათები, ხავარძლები, აგრე-

თვე სხვა ადგილებში ინახებოდა 800 ათასამდე მანეთი ოქროთი. მოგვცა ბინის ზუსტი გეგმა და გვაცნობა, რომ ბინაში ტყუილუბრალოდ არავის უშვებენ. ეტლებით წავიდით. შეიარაღებული ვიყავით. მე—კოლტოვ და ნავანი, დანარჩენები — ნაგებობით. გემის მიხედვით მე და ბენიკე კიეველს უნდა დაგვეკავებინა იქვე მცხოვრები გენერლის კუკოლ-კრავესკის ბინა. ვიყიდეთ ყვავილების კალათი, კარგად ჩაცმული მიხაილ პეტეცკი პირველი შევეუშვიეთ იმ ანგარიშით, რომ სხვებიც შევეცდებოდით იმ მომენტში, როცა კარს გააღებდნენ. შინამოსამსახურებ



კარი ჭერ ოღნავ გახსნა. ჭაჭივ დატოვა, მაგრამ როცა ყვავილები დაინახა, სულ ვაღო შევიდა პეტეცკი, მას მივყვიეთ დანარჩენებიც ყველა ერთ ოთახში შევყარეთ და მათთან მე დავრჩი. კორექტულად გვექცეოდნენ და ჩვენც ვცდილობდით, რომ დაზარალებულები არ აღედგებულებოდნენ. მაგალითად მე გენერალთან ერთად ვკითხულობდი ფრანგულ წიგნს და ვუყვებოდი, რომ მეც ოფიცირი ვარ. ის სულ მეკითხებოდა გვარს. რაზეც მე ვუპასუებდდი, მსგავს ეთარებაში ოფიციალურად არ ეცნობიან ერთმანეთს მეთქი. პეტეცკი სადარბაზოსთან იდგა, დანარჩენები კი ძვირფასეულობას ეძებდნენ. ბინაში დიდხანს არ დავრჩენილვართ. მე გრძობი მეკეთა, სხვებს სახეზე თავსაფრები ჰქონდათ აფარებულნი. დაცემას რომ მოვრჩით ფოლინსა და ბენიკეს გავატანეთ ძვირფასეულობა და გავგზავნეთ სასტუმროში, სადაც განსაკუთრებული ნომერი ავირჩიეთ გასაყოფად. საერთო ჭამში თითოეულს დაახლოე-

ბით 1600 თუმანი გვერგო. წილი მივიღეთ მე, ვიქტორ ფილინმა, ბენჩიკ კიეველმა, მიხაილ პეტეცკიმ და ნახევარი წილი — ფედიაშა კაშლიევმა. ფედიაშამ შემოგვთავაზა დავეცმო- დით კიდეც მაროხეიკას, სადაც მამის ფული იყო... მაგრამ უარი ვუთხარით. ამას შეეძლო ეკვი აღედრა.

ვლასოვმა თვალი მოაშორა ქალაქებს და კითხვის თვლით შეხედა კორნილოვს:

— ნუთუ ეს ის ფედიაშა?

— რა თქმა უნდა, — დაუქნია თავი იგორ ვასილის ძემ. — გვარი რამდენჯერმე გამო- იცვალა, სახელს კი ყოველთვის იბოვებდა. იმ დროს თექვსმეტისა იქნებოდა...

— მამასადამე, ახლა სამოცდაათამდეა? — გოცებით ვაიქნია თავი ვლასოვმა. — ნუთუ ეს შესაძლებელია?.. გულახდილად რომ გითხრათ, მე მეგონა, ხალხი მოხუცებულობაში ბრძენდებოდა... აქ კი — ამ ასაკამდე მოაღწია ბანდიტად. მამასადამე, ცხოვრებისა ვერაფერი გაიგო.

კორნილოვს გაცინა:

— იცით, როგორ გითხრათ... ვერ მიხვდა იქნებ მიხვდა კიდეც, მაგრამ იმას არა, რაც საჭირო იყო?

ვლასოვმა ისევ ჩარგო თავი ქალაქებში. „...სამკერვალო სინდიკატის საქმეშიც ვმო- ნაწილეობდი. დოკუმენტებს ვებუკავდი, და უნდა მიმეღო პროცენტის განსაზღვრული რაოდენობა. ამ საქმეზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია, რადგანაც სრული ჩვენება უკვე მოგცეს უშუალო მონაწილეებმა: ვიქტორ ფილინმა, პეტეცკიმ და სხვებმა. ვიცი, რომ 7000-მდე თუმანის ღირებულების საქონელი უკვე შეფუთული იყო, და მათნი ჩავცივდით, როცა სასაქონლო ბით საწყობიდან ამ საქონლის გამოტანა უნდა დაგვეწყო. ყური მოვკარი, რომ ამ საქმის შემთხვევაში კამეჩო იყო.

1924 წლის 7 მაისს სამკერვალო სინდიკატიდან საქონელი უნდა მიგვეღო, ყველა ფორმალური მხარე დაცული იყო და არავინ ფიქრობდა ჩავარდნაზე.

დღით ქალაქში ჩამოვედი, დაახლოებით შუაღამეს მივედი ნებოლოვის კიდობანთან, რათა შემეტყო, თუ როგორ იყო საქონლის მიღების საქმე. ნებოლოვი ძალზე უგუნებოდ დამხვდა და მითხრა, სამკერვალო სინდიკატი ეს-ეს არის დაპატიმრეს ფილინი, პეტეცკი და უფროსი კაშლიევი. თავად დავინახე, როგორ ჩასვეს ისინი ავტომობილში. მე და ბენჩიკ კიეველი გავვმართეთ სასტუმრო ბალ- ჩუგისაკენ, რათა დანარჩენები გავვეფრთხილებინა და დავინახეთ, რომ ისინი ბარგშეკრულები გამოდიოდნენ. ჩვენთან ერთად იყო

ფედია კაშლიევი. წავედით ტრიუმფული თა- ლისაკენ. მე და ფედიაშა შევედით კაშლიევი- ბის ბინაში, რათა ბარგი წამოგვეღო და ამ ბინიდან წავსულიყავით. მაგიდაზე დავგვხდა უფროსი კაშლიევის ბარათი, ახლახან აქ ვი- ყავიო. ვერაფრით ვერ მიხვდით, როგორ შეეძლო გამოქცეულიყო და პროვოკაციისა შეგვეშინდა. ფედიაშასთან ერთად გავემარ- თე ბინისაკენ ოსტანკინოში. ფედიაშა კაშლიე- ვი ქუჩაში დარჩა, მე ბინაში შევედი. ჩვენ კარი გავხსენით და მე დავინახე, რომ შინა- მოსამსახურის უკან მილიციელი იდგა. რამ- დენი კაცი იყო კორიდორში თავდაპირვე- ლად ვერ გავარჩიე. გავგარდი ქუჩაში და და- ვინახე, რომ ფედიაშა უკვე გაქცეულიყო. მე მარტო დავრჩი. ბინიდან გამომედევნენ. ვი- ანგარიშე, რომ დღისით გაქცევა, როცა რა- მდენიმე ნაბიჯიდან გეხვრიან, უნაყოფო იქ- ნებოდა. სისულელე იყო აგრეთვე თავის და- ცვა პატარა რევოლვერით, რომელიც თან მქონდა და ჭერ არც გამომეძლია. ამიტომ გადაწყვიტე სხვა გზა მომენახა. ჯიბიდან რე- ვოლვერი ამოვიღე, იქვე გვერდით მივაგდე და მივიღე სახე უდანაშაულო კაცისა, რომელიც შემთხვევით მოხვდა ამ ბინაში. თან- დათანობით მოვინადირე აგენტების გული, დავარწმუნე, რომ სრულიად უდანაშაულო პირი ვარ. მოვახერხე ზუფეტადან მართლის გამოღება, ღუმელიდან კი ნაცრისა. ავურიე ერთმანეთში და ფხვნილი შევამზადე. ისე მოხდა, როგორც მე გავიანგარიშე: ჩასაფრე- ბულებთან სადამომდე დავრჩი. ბოლოს ერთ- ერთმა აგენტმა ეტლით წამიყვანა ცენტრა- ლურ სამებროში. გამოსვლის წინ პატარა მაუზერი პატენა და ჩახმანშეყენებული სულ ხელში ეჭირა. მე ვიანგარიშე, პირდაპირ რომ გადავხტე ეტლიდან, თუნდაც თვალეში ფხვნილის შეყრაც მოვასწრო, მაინც დამასწ- რებს სროლას, უკეთეს შემთხვევაში მაუზ- ერს დამასხლის და დამჭრის, მაშინ ვეღარ მო- ვახერხებ გაქცევას მეთქი. ამიტომ შევარჩიე ბნელი შესახვევი, მარცხენა ხელით თვალე- ში შევავსე პარილიან ნაცარი, მარჯვენა კი ხელზე ვტაცე. ამ დროს გაისმა სროლის ხმა, ტყვიამ ლოყა გამიკაწრა. აგენტმა მოასწრო ხელის წაგლეჯა და მეორედ მესროლა. მე ის- ევ მოვასწარი ხელის კვრა და გადავადდე მტ- ლიდან. მაგრამ მასთან ერთად მეც გადავვარ- დი, რადგანაც მაინც მოასწრო და მეორე ხელი მტაცა. მიწაზე კიდეც მოასწრო და მე- სროლა, რის შემდეგ მე ხელში ვიკვდე ლულა და ჩახმანის ფეხი და აღარ მივეცი სროლის სა- შუალებმა. აგენტი მებრძოდა და ყვიროდა მიშველეთო. ხალხმა მოიბრინა და ცენტრა- ლურ სამებროში მიმიყვანეს. ფედიაშა მტ-



ად აღარ მინახავს და არც მისი ადგილსამყოფელი ვიცი.

დაუფიქრდით ჩემს ცხოვრებას და ფსიქიკას და მიხვდებით, რომ, თუ კი გზას ავირჩევ, მტკიცედ ვაღგევიარ ამ გზას და ვერაფერი მაიძულებს გადავუხვიო, ვიდრე არ ვაღაფიქრებ, არ ვარდავიქმნები. ახლა ძალზე ძნელია შინაგან განცდებზე წერა: აზრებს ვერ გასინჯავ მიკროსკოპით, და თქვენ სრულად მართლები იქნებით, თუ არ დამიჭერებთ“.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ საქალაღდე დასურა.

კორნილოვმა ჰკითხა:  
— რას იტყვით, არის რამე დასაფიქრებელი?

ვლასოვმა თავი დაუქნია.  
— საინტერესო რამეა...  
კორნილოვმა ამოიოხრა, დაეჭვებულმა თქვა:

— საინტერესო კია... მწარე ფიქრებს აღძრავს. აი საღ არის სათავე! რა ღრდიდან ფეღიაშა კაშღევი, როგორც იტყვიან, აკვნიდან აზიარეს ძარცვას პანარეტოვმა და ბენჩიკ კიეველმა, ხოლო თვითონ ფეღიაშამ რამდენს მოუწამლა სიცოცხლე? მხოლოდ უკანასკნელი საქმის მიხედვით ერთბაშად ხუთს. ხოლო ადრე? აი საღ არის სათავე! ხოლო ირგვლივ დავადებთ, რომელსაც ვმკურნალობთ, ვმკურნალობთ, მაგრამ ვერ გავციკურნობ... ამ სათავეს უნდა ჩავვიღოთ მაგრად ხელი და მოვსპოთ. და რაც უფრო ადრე ვიზამთ ამას, მით უკეთესი. თუმცა ახლა რაღა ღრღს ამაზე ლპარაკია... — ამოიოხრა მან. — მთავარია, რომ ფეღიაშა კაშღევი უვნებელყოფილია. მაინც აღარსად შეეძლო წასვლა, სულ ერთია დახვრეტა ელოდა. ისეთ ბანდიტებზე, როგორც ის არის, ხანდაშულობა არ ვრცელდება. იმათზეც კი, ვინც მოხუცდა... მაგრამ იცით, კონსტანტინე ნიკოლოზის ძევ, ჭერ საქმის ნახევარია გაკეთებული... — და როცა შენიშნა, ვლასოვი შეპასუხებას აპირებდა, გაიმეორა: — საქმის ნახევარი. დამიჭერეთ. ის წყუთლი ბანქოს მოთამაშეები ღარჩნენ, — კორნილოვი წამოხტა სავარძლიდან და ბოლთისცემა დაიწყო. მაღალი, ოღნავ ბეჭებში მოხრილი, თავის ზოლიან ბიუამოში სასაცილოდ გამოიყურებოდა. — საიდან ჰქონდათ სათამაშო ფული? ფსონს კაპოკობით კი არ ჩადიან! ათასობით მანეთს აგებენ რამდენიმე საათში... ეს ის ხალხია, მოპარული მანქანებს რომ ყიდულობდნენ? თქვენ მეტყვით — ყველამ ხომ არ იცოდა, რომ ავტომანქანები მო-

პარული იყო. გეთანხმებით, მაგრამ უმრავლესობა ხომ ხვდებოდა, რომ სულ წმინდა საქმე არ იყო.

იცით, რამდენს უხდიდნენ უფროს უგოევს „ვოლგაში“? ათ-თორმეტ ათასს! არ გაინტერესებთ, რა აქვს ხელფასი? — იგი ბოლოს ისევ დაჯდა სავარძელში და თქვა:

— იცით თქვენ, ამხანაგო უურნალისტო, რომ მოსკოვში, სამხრეთის პორტში, თავს იყრიან მოპარული ავტომობილების გადამყიდველები და თავის მანქანებს სპეკულაციურ ფასად ჰყიდიან? იყიდის კაცი „ვიგულს“, იქვე ცხელ-ცხელს ხელახლა გაჰყიდის და რამდენიმე ათასს ჩაიჯიბავს.

— საიმოვნებით დავიმკლავებდი ხელებს და დავერეოდი გადამყიდველებსაც და მყიდველებსაც, — თქვა გაბრაზებით კორნილოვმა. ჩემი ღრმა რწმენით, რომ არ იყოს მომხვეჭელობის ეს ბავილა, ნაკლები სამუშაო გვექნებოდა ჩვენ, სისხლის სამართლის სამმეტბროს. მაგრამ ყველას ვეღარ გავწვდით: ფეღიაშა კაშღევისაც, მაჭლაჭუნასაც, ბანქოს მოთამაშეებსაც.

აიღეთ რომელიც გნებავთ სისხლის სამართლის საქმე და ყურადღებით დააკვირდით იმათ, ვინც თქვენი მხედველობის არეში მოხვდება: ყოველთვის შესძლებთ გაავლოთ ხაზი, რომელიც ბოროტმოქმედს ჰყოფს იმათგან, ვინც ჩვენი კანონების თანახმად ციხეში, კოლონიებში უნდა იყვნენ და დაიხვრიტონ კიდევაც, — დანარჩენი გოგო-ბიჭებისაგან, იმათგან, ვისაც ვერ მიუყენებენ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს. და თქვენ გგონიათ ესენი ნაკლებ საშიშნი არიან? ესენი ლოთები, წამგლეჯები, ბანქოს მოთამაშეები, უჩინარი მუქთახორები არიან — მორალურად მახინჯი ხალხი, რომლებსაც არ გადაუბიჭვებიათ საბედისწერო ხაზი. ჭერ არ გადაუბიჭვებიათ!

ყოველ სისხლის სამართლის საქმეს კუდი აქვს. და ეს კუდი — ყოველი ჩვენგანის ტკივილი და საზრუნავია. უურნალისტიბისაც, უპირველესად, კონსტანტინე ნიკოლოზის ძევ. იმაზე წერა, თუ როგორ ეძებდნენ მკვლელს, ადვილია. თქვენ იმაზე დაწერეთ, ჩვენ რომ ჭერ არ მივწვდომივართ, იმათზე, ვინც ხაზს აქვთ ღარჩა. აი პრობლემა!

— დაწერ, — სერიოზულად თქვა ვლასოვმა და წამოდგა. — აუცილებლად დაწერ. მაგრამ, ჩემი წასვლის ღრია. ხვალ გათენებისას წავარახრახებ ჩემს „დედაბერს“ ტლინისაკენ. შევებულებიდა ორი კვირა კიდევ დამარჩა...

— მეც ხვალღან შევებულებაში ვიქნები, — ოცნებით წარმოთქვა კორნილოვმა და მა-

გრად ჩამოართვა ხელი ვლასოვს. — ბებერ ძვლებს მივაფიცებ მზეს, ვიბანავებ...

— კიდევ ჩამოვალ მივლინებით თქვენთან, — თქვა ვლასოვმა. — მხოლოდ, განვედ ჩემგან! — ნუ ამიბნევთ თავგზას თქვენი მოსაწყენი საქმეებითა და ბუღალტერიით. აი რა მხეცვე მიგავაგლო თქვენმა ბუღალტერიამ!

კორნილოვმა გაიცინა:

— თქვენ ახლა ჩვენი კაცი ხართ. ვალერი თომას ძე ხომ ისე შეაშინეთ, რომ საცოდავი თავად მოვარდა ჩასაღლომად.

კორნილოვმა ვლასოვი გააცილა და კარი მიხურა. ოთახში გაიარა.

„რა გეწყობა, ჩემოდანი უნდა ჩავაღაგო, — გაიფიქრა კორნილოვმა. — დილით ჭახჩახის დრო აღარ მექნება.“

რამდენჯერმე აწკარუნდა ტელეფონი, სელივანოვმა კიდევ ერთხელ უსურვა ბედნიერი მგზავრობა. ბელიანიჩოვმა, რომელიც სოჭში გაემგზავრა გამომძიებელ კრასიკოვთან ერთად მოწმეების დასაკითხავად და ახლა დაბრუნდა, მოახსენა, რომ ყველაფერი რიგზეა.

— თავგზას ნუ მიბნევ შენი სისხლის სამართლის დამნაშავეებით, — უთხრა იგორ ვასილის ძემ. — მე შევბუღებებში ვარ. აგარაკი მოუთმენლად მელის. სისხლის სამართლის დამნაშავეებზე კი შეფს მოახსენე, მენს მომხსენე, როგორი ამინდია.

ბელიანიჩოვს გაცივდა.

— ისეთი ამინდია, კაცი ზღვაში ადვილად მოიხარებდა. შენ, იგორ ვასილის ძე, არ დავაიწყედს შევბუღებებიდან დაბრუნება. თორემ ვინ იცის... ქალები, ესაო და ისაო... მართალია, მინერალური წყლები სოჭი არ არის, იქ უფრო მეტად ბებერები ისვენებენ...

— ეჰ, ბელიანიჩოვ, ბელიანიჩოვ, არ შეგიძლია შევბუღების განწყობილება არ გამოიჭუპო... რამდენჯერ ავიხსენი — ახა ეს რა შარგონია სერიოზული მძებრისათვის! რა მოსამზადებელი კლასის მოწაფესავით იქცევი...

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო პოლილოვნიკო, ენად გავიკრიფე, — დანაღვლიანებული ხმით უთხრა ბელიანიჩოვმა. — შენ იქ მაინც მეტისმეტად ნუ... დავიწყებ განყოფილებას.

— ეგრე ადვილია თქვენი დავიწყება? გაიცინა კორნილოვმა. — ვოცნებობ, ისე შორს წავიდე, რომ ტელეგრაფი არ იყოს... ზო, სიტყვამ მოიტანა და, ერთი თხოვნა მაქვს შენთან. მე აქ ოპტიკურ მექანიკურ ქარხანას მოვალაპარაკე ერთი ბიჭის მოწყობის თა-

ბაზე. კოლონიაში ფეხები დაკარგა. რინორი ოვი ალესეი ფედოსეს ძე. 66-ე საამქროში, ჩაიწერე მისამართი და მისი ვაღმოყვანა მოახერხე. რაზე მელოდოს, ვიღერე ჩამოვიღოდე? საერთო საცხოვრებლის საქმეც გაუკეთე და ყველა სხვა სიკეთეც.

— არის, ამხანაგო პოლილოვნიკო. ყველაფერს შევასრულებ. მშვილად დაისვენე.

კორნილოვმა ჩემოდანში ჩადო ორი სქელყლიანი რვეული. ერთი ნახევრად შევსებული იყო, ნაჩქარევად ჩაწერილი შენიშვნებით, მეორე — სუფთა. პირველი კორნილოვს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა თან წაღებული შევბუღებებში სულ აპირებდა, რომ მომცრო წიგნად ექცია თავისი დაკვირვებები არასრულწლოვანთა დანაშაულზე. მაგრამ სამუშაო ნელა მიიწვედა წინ. „იქნებ ამჯერად მოვირიო“, გაიფიქრა იგორ ვასილის ძემ.

კორნილოვმა ის იყო ჩემოდნის დახურვა დააპირა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა.

„ზღუბილზე ინოკენტი იღვა.“

— არ მელოდო? — ჰკითხა მან ოდნავ ჩახლეჩილი ხმით.

იგორ ვასილის ძე უხმოდ გადაა განზე, ძმა ბინაში შემოიშვა.

— გამარჯობა, იგორ — თქვა ინოკენტი, მაგრამ ხელი არ გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, — იგორ ვასილის ძე გაცხებული შეჭურბულად ძმას. ნეტავ რისთვის ჩამოვიდა? შეიტყუე შევბუღებებში რომ მივდივარ და გადაწყვიტა დედის წაყვანა? ყოველივე ეს იმის შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა?

ისინი შევიდნენ სასტუმრო ოთახში. ინოკენტი ჩაქდა სავარძელში და მიიხედ-მოიხედა. კორნილოვმა ყურადღება მიჰქცია იმას, რომ ძმა გასუბუღებულიყო. სახეზე ნამაჟური ისე ჰქონდა გამჭაღარი, როგორც აქვთ ხოლმე სოფლის მცხოვრებთ, რომლებიც სპეციალურად არ ცდილობენ, მაგრამ ჰაერზე განუწყვეტილად ყოფნით მაინც ეკიდებოთ მზე.

გახსნილი ჩემოდანი რომ შენიშნა, ინოკენტიმ ჰკითხა.

— შევბუღებებში მიდიხარ? ყური მოვკარ, ყური მოვკარ! დედამიწაზე არაფერი იმალება. — და მერე შეწუხებულმა ჰკითხა: — დედა სადღაა?

„ჰა, ასეც ვიფიქრე...“ — იგორ ვასილის ძე შეეცადა მშვილად ეთქვა:

— დედა სხვაგან არის. იქ იცხოვრებს, ვიღერე დაგბრუნდებოდე...

— სხვაგან? — საავადმყოფოა? — უხეზად ესროლა სიტყვა ინოკენტიმ. — ეს გინდოდა? დედა ხომ წამოიყვანე. ხომ გინდოდა გეჩვენებინა, როგორი წმინდანი, მოყვარული ვა-



ჟიშვილი ხარ? — იგი გაცხარდა და მისი ოღნავ ჩახლუჩილი ხმა უქმეხი, მყვირალა გახდა. — შენ გგონია კუნძულზე იმიტომ გავგზავნეთ რომ მოხუცი თავიდან მოგვეშორებინა? მისი გულისთვის გავაკეთეთ ყველაფერი, მისი სურვილისამებრ მოვიქცეთ. იქ არცერთხელ არ გამხდარა ავად. ვკითხულობდი ხოლმე მის ამბავს. შენთან კი ჩამოხვალისთანავე ჩიწვა. ესეც კარგად ვიცი. ესლა კიდევ — საავადმყოფოშია.

იგორ ვასილის ძემ მკერდზე ხელები გადაიჭლო და თან თავის თავს უმეორებდა: „მოთმინება, მოთმინება“.

— ვიცი, განაგრძობდა ინოკენტი, — შენ იგი მხოლოდ იმიტომ წამოიყვანე, რომ გეშინოდა, ხალხი რას იტყვისო... ზო, შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ აქ შენთვის საჭმელი ეშვადებინა და პერანგები ერეცხა, ვიდრე შენ შენს სისხლის სამართლის დამნაშავეებს დასდევ..

იგი სულ უფრო და უფრო ყვიროდა, ხოლო იგორ ვასილის ძემ გაიფიქრა: „მას ყველაფერს იმიტომ ამბობს, რომ რცხვენია, რცხვენია და მეტი არაფერი. და თუმცა დახვეწებული სულის პატრონია, მაინც იგრძნო, რომ უნამუსოდ მოიქცა, და ახლა ყვირის. ალბათ მეზობლებისაგან იგებდა, როგორ ვცხოვრობდით აქ, მალულად მოდიოდა და იგებდა...“

— რას გაჩუმებულხარ? — დაიყვირა ინოკენტი.

— შენ გისმენ, — მიუგო წყნარად იგორ ვასილის ძემ. — იმდენი რამე მითხარა... — ცოტა ხანს შეჩერდა და მერე დაუმატა: — და სულ ტყუილები. შენ დედის გულისთვის არ მოსულხარ. შენი საკუთარი თავისთვის მოხვედი. გინდა შეიტყო, რომ დედა აქ ცუდად არის... უნდა გრცხვენოდეს.

— მრცხვენოდეს? — დაიყვირა ინოკენტი. — თავში აზრი მოგივიდათ შემარცხვინოთ, ამხანაგო უფროსო ძმაო? თქვენ თქვენი ხელქვეითები და თადლითები შეარცხვინეთ.

— მე კი არ გარცხვენ.. ეჰ, ნუთუ თავად გესმის, — უთხრა კორნოლოვმა გაცხარებით. — ნუთუ მხოლოდ იმისთვის მოხვედი, რომ ყოველივე ეს გეთქვა?

— აბა შენ ფიქრობ, იმიტომ მოვედი, რომ ვუყავო ხელი ჩამოგართვა? მაშ როგორ იქნება? ამხანაგო პოდოლკოვნიკი შეგებულებაში მიდის. დიდება და პატივისცემა მას. იგი პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. ხოლო მისმა უმცროსმა ძმამ მოინანია ყველა თავისი ცო-

და და ჩამოვიდა ბოდიშის მოსახლეობა იმის გამო, რომ უფროსმა ძმამ სილა გააწნა... შენ ყოველთვის მხოლოდ ლამაზად ლაპარაკობ: — „ჩვენ ვზრდით ახალ ადამიანს!“ და ყველაფერი ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა. ვალაამიდან დედაც მოსახვენებლად წამოიყვანე!


იგორ ვასილის ძემ ნაბიჯი გადადგა ინოკენტისაკენ. ეს უკანასკნელი მოიკარუნხა და შემინებულმა ხელი წინ გამოსწია, თითქმის დარტყმისაგან თავის დაცვას ლამობდა.

— აი, რას გეტყვი საბოლოოდ. დედა ავად არ არის. არც საავადმყოფოშია. ჩემი მეგობრების ოჯახშია, ვიდრე მე შვებულებაში ვიქნები. ჩამოსვლის შემდეგ კი მხოლოდ გრიპით იყო ავად. ისიც სამი დღე. ვერაფრით განუეგებებ, ვერ დაგიმშვიდებ სინდისს. ახლა კი შეგიძლია შენს ტატანასაკენ მოუსვლა... და თავისუფალ ბედს ახალ-ახალი ბოსტნეულით ივაჭრო, რათა „მოსკვიჩის“ მაგივრად „ვოლოგა“ შეიძინო. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. — იგორ ვასილის ძემ ზურგი შეაქცია ინოკენტის, ფანჯარასთან მივიდა. ჩამუქებულ ნევის იქით, ყვითელი პროექტორები რომ ანათებდნენ, მაგალიდ იხანებოდა საზოგადოებრივი ბაღის რიყულები. სანაპიროზე ორიოდ ავტომანქანა მიჰქროდა. ქალაქი დასაძინებლად ეშვადებოდა.

იგორ ვასილის ძეს ესმოდა, თუ რა მძიმედ წამოდგა ძმა სავარძლიდან, ერთხანს იდგა, მერე მძიმე ნაბიჯებით გავიდა წინა ოთახში ჩასაცემლად. გახსნა შემოსასვლელი კარი, მერე დაბრუნდა, კარებში გაჩერდა, თითქმის რაღაცის თქმა უნდაო, მაგრამ არაფერი აღარ თქვა. შემოსასვლელი კარი გაჯახუნდა.

...იგორ ვასილის ძემ საათს შეხედა. თერთმეტი საათი იყო. თვითმფრინავი მინერალურ წყლებში ორზე გადიოდა, მაგრამ აეროდრომამდე მისვლას დიდი დრო სჭირდებოდა. და, საერთოდ იმ იშვიათ მომენტებში, როცა საჩქარო არაფერი ჰქონდა, არავისთვის არ უნდა დაესწრო, კორნოლოვს უყვარდა მოხვენება, ყველაფრის ნელა გაკეთება, სიამოვნებას ჰგვირავდა, რომ სამსახურებრივი ფაციფუსისაგან თავისუფალი იყო. მას უყვარდა სადგურზე ან აეროდრომზე აღრიანად მისვლა, აუჩქარებლად გატარება რეგისტრაციაში, ბარგის ჩაბარება, შემდეგ კაფეში ან ბუფეტში ჭლომა, ყავის დაღვევა და თუ იქნებოდა ღლულისაც, ახმაურებულ მგზავრებზე დაკვირვება.

ბანა უკვე დაკეტა, როცა საფოსტო კუთხი წერილი შეინიშნა. თვითნაკეთი კონვერტი



იყო, დაქმუქნული. იგორ ვასილის ძემ შეხე-  
და უკუშისმართს. ეწერა: „კარელიის ასსრ,  
კუნძული ვალამი...“

„ისევ ლიოზა მწერს... კუნძულიდან ეს  
წერილი ალბათ უკანასკნელი იქნება“, —  
კორნილოვმა იგი ჭიბეში ჩაიდო, არ გაუხს-  
ნია. — „გზაში წავიკითხავ“. გაიფიქრა მან.

ლიოზას საქმეები შევებულების წინ მოა-  
გვარა, ვლასოვი დაენშარა. გაახსენდა, რომ  
ოპტიკურ-მექანიკურ გაერთიანებაში ერთი  
კარგი ნაცნობი ჰყავდა — ამწყობთა ახალ-  
გაზრდული ბრიგადის დამრიგებელი, გადა-  
მდგარი პოლკოვნიკი. ვლასოვმა თავის უუ-  
რნალში ორჯერ მოათავსა ნარკვევი ამ გუ-  
ლისხმიერ, ნათელ აღაშინაზე. კორნილოვსაც  
მაშინვე, პირველი შეხვედრისთანავე მოეწო-  
ნა იგი, სწორედ ამ დამრიგებელმა უშველა —  
გენერალური დირექტორი დაითანხმა ლიოზა-  
კა თავის ბრიგადაში, კონვეიერზე მიეღო.  
სხვა ყველაფერი იგორ ვასილის ძემ თავად  
მოაგვარა.

ქუჩა გაჩახახებული იყო მშით. მთელი  
დილა წვიმდა, და ჰაერი სუფთა და გრილი  
იყო. გახურებულ ასფალტს ოდნავ შესამჩ-  
ნევი აღმური ასდიოდა. „აფსუს, რა ამინდს  
ვტოვებ, — დანანებით გაიფიქრა კორნილო-  
ვმა. — ბიჭები კვირას ალბათ სათევზაოდ წა-  
ვლენ. კარელიის სანაპიროზე... მე კი „ესენ-  
ტუკი“ № 17 უნდა ვსვა... ეჰ!“

ტაქსი მოუახლოვდა. ბაცი-მწვანე ფერის  
„ვოლგა“. კორნილოვმა ნომერს შეხედა და  
გაეცინა „მგ-50 ЖЕ“. ამაზე ხომ ხილკო-  
ვი მუშაობდა. მაშინვე როგორ არ მივაქციე  
ყურადღება, როცა დისბეჩერმა ნომერი და-  
მისახელა? — გოცდა იგორ ვასილის ძე. —  
მოგხუცდი, თუ რა მჭირს?“

კორნილოვი მძღოლს მიუჯდა და სიცილით  
ჰკითხა:

— რასა იქმს კარბურატორი, ხომ არ გლა-  
ტატობს?

მძღოლმა გოცებით შეხედა და არაფერი  
არ უთხრა.

— ხომ ხდება ხოლმე, რომ სწორედ შეუ-  
ფერებელ დროს გივალატებს — და ყვე-  
ლაფერი იღუპება...

— რა იღუპება? — ეჭვით შეეკითხა მძღო-  
ლი.

— თვითმფრინავზე დაგვიანებ...  
— ჰო...ო. — მძღოლმა ირიბად გახედა კო-  
რნილოვს — აეროდრომზე?

— გერცენზე, — მიუგო იგორ ვასილის ძემ.  
გერცენის ქუჩიდან, საქალაქო ავიასალა-  
როდან, აეროპორტამდე ექსპრესი მიდიოდა,  
იგორ ვასილის ძემ სოსოვა მძღოლს კიროვის  
ხილით ევლო, სასახლის სანაპიროზე. თავად  
კი აქეთ-იქით იყურებოდა მანქანიდან, თვალს  
ვერ აშორებდა მშით გაჩახახებულ პეტრო-  
პავლოვსკს. „როცა დავბრუნდები, ბაღიერი  
უკვე შეყვითლებული იქნება, — ფიქრობდა  
იგი, — სექტემბერი დადგება“.

— ჩამოსული ხართ? — ჰკითხა მძღოლ-  
მა, ახალგაზრდა ტყავის პიჟონურ კურტკაში  
გამოპრანჭულმა ბიძიამ. ეტყობა ყურადღება  
მიაქცია იმას, რომ კორნილოვი განუწყვეტ-  
ლევ იყურებოდა აქეთ-იქით, ქალაქში პირ-  
ველად ჩამოსულებმა რომ იციან.

— პირიქით, მივმგზავრები, გაეცინა იგორ  
ვასილის ძეს. შევებულებაში წასვლა გადავ-  
წყვიტე. მინერალურ წყალს დავლევ.

— ბორჯომს?

— „ესენტუკს“

— ფუი, საწიზღრობაა, — დაიჭიანა მძღო-  
ლი. — მგვრამ რას იზამ, თუკი ექიმმა მოვი-  
საჯა...

ავტოსალგურთან კორნილოვმა ანგარიში  
გაუხსწორა მძღოლს.

— აეროდრომამდე — ავტობუსით? —  
ჰკითხა მძღოლმა და ხურდა გადაუთვალა.

— ჰო, — გამოეხასხება იგორ ვასილის ძე.

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა  
მძღოლი, — თუ კი არმად ნაშოვნი ფული  
არა გაქვს, რა აუცილებელია ტაქსი. ექსპრე-  
სით თითქმის იგივე დროა საჭირო... კარგ-  
ად გემკურნალოთ!

და როცა უკვე მანქანა დასძრა, მძღოლმა  
თავი გადმოყო მანქანიდან და მიძახა:

— „ესენტუკს“ როცა მიირთმევთ, საუზ-  
მის დაყოლებდა არ დაგაოწყდეთ, — და მხი-  
არულად გაეცინა თავისავე ხუმრობაზე.



## ღაჴსაკუბდი შრომა



გალის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს ტატიანა კაკაბაძეს 50 წელი შეუსრულდა. იურისტმა ქალმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მართლმსაჯულების სამსახურში გაატარა. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი ადვოკატთა რიგებშია და 25 წელია პატიოსნად, ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს.

ტ. კაკაბაძის ხელმძღვანელობით გალის რაიონის იურიდიული კონსულტაცია ერთ-ერთი მოწინავე გახდა რესპუბლიკაში, რასაც ხელი შეუწყო კონსულტაციაში შექმნილმა ჯანსაღმა, მეგობრულმა ატმოსფერომ.

1977 წელს გალის რაიონის იურიდიული კონსულტაცია საქართველოს სსრ რესპუბლიკური დათვალთვინება-კონკურსის გამარჯვებულად ცნეს და მესამე ხარისხის დიპლომით დააჯილდოვეს. თვითონ ტატიანა კაკაბაძეს კი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი გადაეცა.

ტ. კაკაბაძე საბჭოთა კანონმდებლობის დაუღალავი პროპაგანდისტია, იგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხშირად კითხულობს ლექციებს სოფლის მშრომელთათვის, აწყობს კითხვა-პასუხის საღამოებს სამართლებრივ საკითხებზე.

ტატიანა კაკაბაძის უანგარო, დაუღალავი შრომა და ღვაწლი დაფასებულია. მას ღირსეული იურისტისა და კეთილი ადამიანის ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი მოსახლეობაში, თავისი კოლეგებისა და მეგობრების წრეში. აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ტ. კაკაბაძე ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა და პრეზიდიუმის საპატიო წიგნში შეიტანა.

ზ. ზოპარია,

აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

## ნახევარი საუკუნე სასამართლო ორბანუაშვი



ჩვენს ქვეყანაში ქალი განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. ქალი — ინჟინერი, იურისტი, ექიმი, პედაგოგი, მუშა... ენერჯისა და ცოდნას არ იშურებს, რათა კვალი დატოვოს თავისი მოღვაწეობის ყველა უბანზე.

ცნობილ პიროვნებათა გვერდით ხშირად მოღვაწეობენ უბრეტენიო, ადამიანები, რომლებიც თავისი მიღწევებით თუმცა არავის აოცებენ, მაგრამ ახლოს რომ გაეცნო, არ შეიძლება მათდამი პატივისცემით არ განიმსჭვალო.

თითქმის ნახევარი საუკუნეა მართლმსაჯულების ორგანოებში მუშაობს ალექსანდრა ლუკას ასული ბურდული — 71 წლის ხანდაზმული, თმათეთრი და სანდომიანი ქალი. თოვლივით თმა და შუბლზე ღარები მეტყველებს ცხოვრება უზრუნველად რომ არ გაუღევია, მაგრამ წელთა

სიმრავლეს არ დაუმძიმებია, არ დაუღლია კეთილი ადამიანი.

ალექსანდრე ბურდული დაიბადა 1906 წელს კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში, მოსამსახურის ოჯახში. 1933 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის გაერთიანებულ სასამართლოში მდივნად. 1936 წლიდან 1972 წლამდე თბილისის 26 კომისრის სახალხო სასამართლოში მდივანია, ხოლო 1972 წლიდან დღემდე თარჯიმანი. 40 წელი სასამართლოში სხდომის მდივნად მუშაობამ გამოცდილი მუშაკის სახელი მოუხვეჭა ალექსანდრა ბურდულს. სხდომის მდივანს ხომ უამრავი საქმე აქვს — საქმის მასალების გასინჯვა, პატიმრების ციხიდან გამოწვევა, დანიშნულებისამებრ უწყებების გაგზავნა, მთარგმნელის მოწვევა, ოქმებზე — სასამართლო პროცესის ურთულეს დოკუმენტებზე მუშაობა.

ალექსანდრა ბურდულს ბევრი ტყვილი აქვს გადატანილი. ომის ქარიშხალმა, დედაბუდიანად რომ შეარყია ჩვენი სამშობლო, მას მეუღლე და შვილი წაართვა. დარჩენილი ერთადერთი ვაჟიც გარდაეცვალა. მთელი ზრუნვა ორ შვილიშვილზე გადაიტანა. თამაზი ფიზიკოსია, ზურაბი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს.

ა. ბურდულის უმწიკვლო შრომა სათანადოდ არის დაფასებული. დიპლომებულია მედლებით, მიღებული აქვს მრავალი მადლობა.

შრომაში გათეთრებული დეაწლმოსილი ქალა დღესაც დაუღალავად იღწვის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში.

ლ. ხანტუჩია



## საბჭოთა კრიმინოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი\*

სამართლდარღვევათა მიზეზების გამოკვლევა თანამედროვე საბჭოთა კრიმინოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. თუ ეს მიზეზები ღრმად არ შევისწავლეთ, შეუძლებელია შემუშავდეს ეფექტურ ლონისძიებათა კომპლექსი და პრაქტიკულად განხორციელდეს რეკომენდაციები დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი საპროგრამო მოთხოვნაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სამართლდარღვევათა მიზეზების დადგენა თანამედროვე მეცნიერების რთულ ამოცანათა რიცხვს მიეკუთვნება, რადგან იგი სოციალური მოვლენებისა და პროცესების კომპლექსურ შესწავლასაც მოითხოვს და იმ რთული ურთიერთქმედების და ურთიერთგავლენის გარკვევასაც, რაც არსებობს სხვადასხვა სოციალურ პროცესსა და სამართლდარღვევათა დინამიკასა და სტრუქტურას შორის. სწორედ ამიტომ, ამ პრობლემის კვლევა-ძიება დღეს შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი, სოციოლოგიური, ფილოსოფიური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური გზით, რაც მკვლევარისაგან ფართო ერუდიციასა და ღრმა აზროვნებას მოითხოვს.


პროფ. ვ. ნ. კუდრიავეცის მონოგრაფია «Причины правонарушений» საბჭოთა კრიმინოლოგიის მნიშვნელოვანი შესაძენია, უპირველესად სწორედ სამართლდარღვევათა მიზეზების კომპლექსური მეთოდით შესწავლის თვალსაზრისით. მონოგრაფია ლოკური გაგრძელებაა ავტორის ადრინდელი თეორიულ-მეთოდოლოგიური ნაშრომებისა, რომლებიც მიემდვნა თანამედროვე საბჭოთა კრიმინოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. ავტორი, ამასთან ერთად, საერცენზიო ნაშრომში საგრძნობლად აფართოებს კვლევის ჩარჩოებს. კერძოდ, მონოგრაფიაში იგი არ იფარგლება დამნაშავეობის მიზეზების საკითხების შესწავლით და განიხილავს სოციალური სინამდვილის უფრო ფართო სფეროს, რასაც მოიცავს სამართლდარღვევის ცნება. ავტორს იგი წარმოადგენილ აქვს როგორც გვაროვნული ცნება, რომელიც მოიცავს დანაშაულის

ცნებასაც. საკითხისადმი ასეთი მიდგომა პროფ. ვ. ნ. კუდრიავეცის საშუალებას აძლევს გააანალიზოს სოციალური სინამდვილის ფართო სპექტრი, არ შეიზღუდოს შესასწავლი საკითხებისადმი ვიწრო კრიმინოლოგიური მიდგომით და ფილოსოფიურად, სოციოლოგიურად და ფსიქოლოგიურად გაიაზროს განხილული პრობლემები.

მონოგრაფიის I-IV თავებში მიზეზობრიობის კატეგორიის თეორიული ანალიზისას ავტორი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისაგან მიზეზმდებლობრივ დამოკიდებულებას, ფუნქციონალურ კავშირსა და მდგომარეობათა კავშირს. ამასთან ერთად, მიზეზობრიობას მატერიის მოძრაობის სხვადასხვა დონის მიხედვით რომ განიხილავს, ავტორი სისტემური მიდგომის საფუძველზე ერთმანეთისაგან მიჯნავს ცნებებს: მიზეზი და პირობა, ფაქტორი, სისტემის შინაგანი და გარეგანი მიზეზობრივი კავშირები და სხვა. დასაბუთებული ანალიზის შემდეგ იგი აყალიბებს დებულებას: კრიმინოლოგიაში სისტემატური მიდგომის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ სამართლდარღვევების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა შეიძლება მხოლოდ სოციალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ამოცანების გადაჭრის გზით. მართლსაწინააღმდეგო ქცევა წარმოიქმნება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების (მიზეზებისა და პირობების) მთელი კომპლექსის ერთობლივი მოქმედების შედეგად, თანაც ეს ფაქტორები განცალკევებულად კი არ მოქმედებენ, არამედ საზოგადოებრივად საშიში ქცევის ჩამოყალიბება მათ შორის არსებული რთული სახის ურთიერთქმედების შედეგია.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სამართლდარღვევათა მიზეზებისა და ობიექტური ფაქტორების, რაც კაპიტალისტური წყობილებისათვის არის დამახასიათებელი. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დამნაშავეობის განუხრელი ზრდის ძირითად მიზეზად გვევლინება კერძო საკუთრებაზე დამყარებული კლასობრივი ანტაგონიზმი და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. სრულიად განსხვავებულია სამართლდარღვევათა მიზეზები სოციალის-

\* В. Н. Кудрявцев, «Причины правонарушений», издательство «Наука», М., 1976.



ტურ საზოგადოებაში. კერძოდ, სამართალდარღვევები, რომლებიც ხდება სოციალიზმის პირობებში, მართალია, ასახავს საზოგადოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობებს, მაგრამ ეს არის წინააღმდეგობა ახალს, პროგრესულსა და ძველს, დრომოქმულს შორის. აქედან გამომდინარე, პროფ. ვ. ნ. კულრიავეცი სოციალისტურ საზოგადოებაში სამართალდარღვევათა მიზეზებს განიხილავს მთელი საზოგადოებრივი, ცალკეული კოლექტივის ან მცირე სოციალური ჯგუფისა და პიროვნების დონეზე. ამასთან ერთად, დასმულ პრობლემებს იგი აანალიზებს ფილოსოფიური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური პლანით.

როდესაც ავტორი სამართალდარღვევათა მიზეზებს განიხილავს მთელი საზოგადოების მასშტაბით, იგი აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართალდარღვევათა მიზეზებს როლში გამოდის ადამიანთა ცნობიერებაში შემორჩენილი ინდივიდუალიზმი, რომელიც ემყარება ზოგიერთ ობიექტურად არსებულ სიძნელეებს, ნაკლოვანებებსა და არანატარებისტურ წინააღმდეგობებს. ამასთან ერთად, სოციალიზმის ეპოქაში სამართალდარღვევათა მიზეზის როლში გამოდის სუბიექტური ფაქტორები, ობიექტური ფაქტორები კი ასრულებს ხელშეწყობის პირობის ფუნქციას.

დასაბუთებული მეცნიერული დებულებებითა და ემპირული მასალით მდიდარია მონოგრაფიის ის ნაწილი, სადაც ავტორი იხილავს მატერიალური წარმოების, მართვისა და სხვა სფეროებში არსებულ ნაკლოვანებებს, როგორც სამართალდარღვევათა ხელისშემწყობ ობიექტურ პირობებს. ამასთან, ავტორის აზრით, თუმცა სოციალიზმის პირობებში სამართალდარღვევათა მიზეზად სუბიექტური ფაქტორები გვევლინება, შეიძლება ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ რომელიმე ობიექტური ფაქტორი, კერძოდ, გარკვეული დისპროპორცია ეკონომიურ განვითარებაში, ომის პერიოდისათვის დამახასიათებელი სიძნელეები და სხვა, მოგვევლინოს სამართალდარღვევათა მიზეზების როლში.

პროფ. ვ. ნ. კულრიავეციის შეხედულებით საწარმოო კოლექტივებისა და მცირე სოციალური ჯგუფების დონეზე სამართალდარღვევათა მიზეზებია ის ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობები და კონფლიქტები, რომლებიც არსებობს ჯგუფის ცნობიერებასა და ფსიქოლოგიაში. ამიტომ მიკროსოციალური „კლიმატი“ გაჯანსაღება, კოლექტივების სოციალური განვითარების

დადგენის სისტემის სრულყოფა, სოციალური კონტროლის საშუალებათა ეფექტიანობის გაზრდა და სხვა ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ კოლექტივისა და მცირე სოციალური ჯგუფის წევრების მართლშეცნების დონე და ამით თავიდან ავიცილოთ სამართალდარღვევები.

მონოგრაფიაში თანმიმდევრულად არის გატარებული სოციალური დეტერმინიზმის პრინციპი სამართალდარღვევი პიროვნების შესწავლის საქმეში და პიროვნების დონეზე მართალსაწინააღმდეგო ქცევის მიზეზად განიხილება ადამიანის მოტივაციისა და გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიური პროცესის ზოგიერთი მხარის დეფორმაცია. ამ თვალსაზრისით მონოგრაფიაში დეტალურად არის განხილული ადამიანთა მოთხოვნილებების, ინტერესების, მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების, გადაწყვეტილების მიღების ეტაპებისა და ცხოვრებისეული გეგმებს დეფორმაციის კონკრეტული ფსიქოლოგიური და სოციალური ფსიქოლოგიური მექანიზმები. ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი დეფორმაციის შედეგად ადამიანის რეაქციებში კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების მიმართ ადექვატური არ არის. ამას გარდა, პიროვნების ზნეობრივი და სოციალური განვითარების დაბალი დონე, მისი მორალური ღირებულებების არასტაბილური და შინაგანად წინააღმდეგობრივი ხასიათი, სოციალური თვითკონტროლის შესუსტება იწვევს ერთგვარ სიძნელეებს პიროვნების სოციალურ ადაპტაციაში. პიროვნების სოციალური ადაპტაციის სირთულეებთან და სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან შეუთავსებელი ქცევის სტერეოტიპების ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული ისეთი ქცევების ჩამოყალიბება, რომლებიც მიუღებელია სოციალისტური მართლშეგნებისა და მორალის ნორმების თვალსაზრისით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიის ავტორი იცავს იმ პრინციპულ დებულებას, რომლის თანახმადაც დანაშაულებრივი ქცევა არ აღმოცენდება „ცარიელ“ ნიადაგზე. კერძოდ, მანამ, სანამ ადამიანი ჩაიდენდეს რაიმე დანაშაულს, იგი მრავალჯერ ჩაიდის სხვა სამართალდარღვევებს, რომლებიც არ იწვევს სისხლისსმართლებრივ პასუხისმგებლობას. ამასთან დაკავშირებით ავტორი ნათლად უჩვენებს ე. წ. ლატენტურ სამართალდარღვევათა საკითხის მეცნიერული კვლევის დღევანდელ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მართლსაწინააღმდეგო ქცევის გენე-

ზისის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით ავტორი გვთავაზობს მართლსაწინააღმდეგო ქცევის გენეზისის თვისებრივ და რაოდენობრივ მოდელს. აღსანიშნავია, რომ ეს მოდელები აგებულია არა მხოლოდ თეორიული განსჯის ნიადაგზე, არამედ დასაბუთებულია მდიდარი ემპირული მასალით, რაც ნათელს ხდის, თუ როგორ აპირობებს ერთის მხრივ პიროვნების დეფორმირებული მოთხოვნილებები და ინტერესები, მიზნები და მათი მიღწევის გზებ, ღირებულებითი ორიენტაციები და სოციალური განწყობები, ხოლო მეორეს მხრივ კონფლიქტური ცხოვრებისეული სიტუაციები მართლსაწინააღმდეგო ქცევათა ფორმირებას.

თეორიული მოსაზრებების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებისა და მდიდარი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული განზოგადების შემდეგ ავტორი ნაშრომის ბოლო თავში ახლებურად აშუქებს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სოციალური კონტროლის ფორმები, იუსტიციის, როგორც სოციალური კონტროლის სისტემის თავისებურებები, იუსტიციის სისტემა და მართლსაწინააღმდეგო ქცევის ჩამოყალიბების

კანონზომიერებები, იუსტიციის სისტემის სრულყოფა და დამნაშავეობის პროფილქტიკა სოციალური დაგეგმვის ღონისძიებებთან კავშირში და ა. შ.

პროფ. ვ. ნ. კულდიაეცევის მონოგრაფია იმის ნათელი ნიმუშია, თუ როგორ უნდა წარიმართოს დღევანდელ პირობებში სამართალდარღვევათა კვლევა მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ნაშრომის მთავარ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ კვლევის კომპლექსურობა და სისტემურობა, რაც ერთის მხრივ მდგომარეობს სოციალურ მოვლენათა ფართო წრის კვლევის ობიექტად დასახვაში, ხოლო მეორეს მხრივ ამ საკითხის კვლევისას სხვადასხვა მეცნიერებათა მიღწევების ფოკუსირებაში. მონოგრაფია, ჩვენს ღრმა რწმენით, ახალ ბიძგს მისცემს ჩვენს ქვეყანაში ბევრი აქტუალური სოციოლოგიური, კრიმინოლოგიური და სამართლებრივი პრობლემის ნაყოფიერ კვლევას.

ა. გაბიანი.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი.

ნ. სარჯველაძე,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# არბიტრაჟის პრაქტიკა

1. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა სისხლის სამართლის საქმის დამთავრების დღიდან კი არ იწყება, არამედ იმ დღიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსადგმა ფაბრიკამ სარჩელი აღძრა სამტრედიის რკინიგზის განყოფილების სალიანდაგო დისტანციის მიმართ რკინიგზის მატარებლის და ფაბრიკის კუთვნილი ავტობუსის შეჯახების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე. სარჩელის საფუძველი გახდა სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც მომხდარ ავარიასი ბრალი დაედო რკინიგზის მუშაკს და რომელსაც შეეფარდა სათანადო სასჯელი.

სახელმწიფო არბიტრაჟმა საქმის გარჩევის პროცესში დაადგინა, რომ ავარია და მის შედეგად დაზარალება მოხდა 1974 წლის ნოემბერში, ხოლო სარჩელი აღძრა 1976 წლის 1 იანვარს ანუ ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის გავლის შემდეგ, რის გამო მაძიებელს სარჩელში უარი ეთქვა. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება გასაჩივრდა ჯერ საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრთან, რომელმაც ძალაში დატოვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, ხოლო შემდეგ — სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში.

2. დავა სახელმწიფო არბიტრაჟს განსახილველად შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ გადაეცეს, რაც მხარეები უშუალოდ იხმარენ ზომებს მისი მოგვარებისათვის

კრანსოლარის სამხარეო აღმასკომის მარაგასადგმის სამმართველომ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნისაგან 8820 მანეთის გადახდევინება.

სასარჩელო მასალების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ მოსარჩელემ საპრეტენზიო წესის დაცვის დასამტკიცებლად წარმოადგინა 1976 წლის 19 ოქტომბრის საპრეტენზიო წერილის ასლი და იმავე თარიღის საფოსტო გზავნილების რეესტრის ამონაწერი, რომელშიც არ იყო მითითება იმ საფოსტო ქვითრის ნომერსა და თარიღებზე, რომლითაც უნდა დაეასტურებულყო საპრეტენზიო წერილის გაგზავნა.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1975 წლის 31 მარტის 0-1-18 ინსტრუქციული წერილის მე-8 მუხლის თანახმად კი პრეტენზია მგვაჟდეს ეგზავნება შეკვეთით,

საჩივარში მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღძრა ავარიის გამო, დამთავრდა 1975 წლის 23 ოქტომბერს, როდესაც სახალხო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც დაადასტურა რკინიგზის მუშაკის ბრალი მომხდარ ავარიასი. იგი ძიებით ხანდაზმულობის საწყისი ვადის ამ თარიღიდან გაანგარიშებას ითხოვდა.


სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში ძალაში დატოვა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება. მომჩივნს მიეთითა, რომ მატერიალური ზარალი ფაბრიკამ განიცადა ავარიის მომენტში და იმ დღიდან წარმოიშვა სარჩელის აღძვრის მისი უფლება, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის დენა იმ დღეს იწყება, რა დღესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა.

რკინიგზის მუშაკის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ უქმნიდა ფაბრიკას არავითარ დაბრკოლებას, რათა დროულად აღძრა სამოქალაქო სარჩელი რკინიგზის განყოფილების მიმართ.

ფასიანი წერილით ან ბარდება ხელწერილით. პრეტენზიის შეკვეთით გაგზავნის დასამტკიცებლად უნდა წარმოადგენილ იქნას საფოსტო ან საფოსტო გზავნილების რეესტრი (ამონაწერი) რომელიც უნდა ნაჩვენებ იყოს საფოსტო ქვითრის ნომერი და თარიღი, რითაც დასტურდება ამ გზავნილების ფოსტის მიერ მიღება.

ვინაიდან ეს სავალდებულო წესი დაცული არ იყო, სასარჩელო მასალა არ იქნა მიღებული არბიტრაჟის წარმოებაში.

სარჩელის განმეორებით აღძვრის დროს მოსარჩელემ მევალის პასუხი პრეტენზიაზე დაურთო, რაც საპრეტენზიო წესის დაცვის საკმარის მტკიცებლად ითვლება, მაგრამ ამ დროისათვის გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, რისთვისაც მოსარჩელეს სარჩელში უარი ეთქვა.



3. ტვირთის გამოგზავნი არ აგებს პასუხს აღმოჩენილი დანაკლისისათვის, თუ რკინიგზის ბრალი დადგენილია სასამართლო განაჩენით

„ტურკმენგალანტერის“ რესპუბლიკურმა ბაზამ სარჩელი აღძრა ხაშურის საფეიქრო საგალანტერიო ფაბრიკის მიმართ რკინიგზით გამოგზავნილ საფარდე ქსოვილის დანაკლისის ღირებულების ანაზღაურებაზე.

სარჩელი იმას ეყრდნობოდა, რომ გამოგზავნილი კონტინერი დანიშნულების სადგურში მოვიდა დაუზიანებლად, გამოგზავნის დამდებით, ხოლო მისი გახსნის შემდეგ აღმოჩნდა 343 მეტრის დანაკლისი. რკინიგზის ზედნადების მეორე გვერდზე გაკეთებული იყო სათანადო აღნიშვნა ტვირთის რკინიგზის 67-ე მუხლის შესაბამისად გაცემის შესახებ.

დავის სახარბიტრაჟის მიერ გადაწყვეტამდე საქმე გამოითხოვა საგამოძიებო ორგანომ. კონტინენტებიდან საფარდე ქსოვილის გაცემის ფაქტზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც საბოლოოდ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ.

დაადგინა, რომ გაცემა მოხდა რკინიგზის სადგურ ხაშურში. დამნაშავე პირებს შეეფარდათ სათანადო სასჯელი, ხოლო სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილი იქნა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილება და დაეკისრა ზარალის თანხის ანაზღაურება.

უმაღლესი სასამართლოს განაჩენზე დაყრდნობით სახელმწიფო არბიტრაჟმა საქმე წარმოებით მოსპო და მიუთითა მაძიებელს, რათა მიმართოს რკინიგზას ზარალის ანაზღაურების საკითხზე. არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში, რომელმაც არბიტრაჟის განჩინება საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ ძალაში დატოვა, მიუთითა რა, რომ მაძიებელმა უნდა მიმართოს რკინიგზას ზარალის ანაზღაურების თაობაზე არა, როგორც გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე, არამედ სხვა საფუძველით.

4. თუ მყიდველი გადამხდელი არ არის იმ შემთხვევაში, როცა გადამხდელი დაუსაბუთებლად ამბობს უარს საგადამხდელო მოთხოვნის აქცეპტზე, მიმწოდებელს უფლება აქვს მყიდველს წარმოუდგინოს საგადამხდელო მოთხოვნა

ლენინგრადის ქარხანა „ქრონოტრონმა“ და „კოოპოსილტორგის“ თბილისის ბაზამ დასდეს ხელშეკრულება 1976 წელს მაჯის საათის მიწოდებაზე. დაშვებული განრიგის შესაბამისად ქარხანა „ქრონოტრონმა“ მიაწოდა ამბროლაურის რაიკოოპერატვის 3517 მანეთის ღირებულები საქონელი და წარუდგინა ანგარიში სახანაკის ამბროლაურის განყოფილებას. ანგარიში დაუბრუნდა მიმწოდებელს გაუნაღებელი სახით, ბანკის მითითებით, რომ უნდა დაუხსტდეს გადამხდელის სანაგაროშებო ანგარიშის ნომერი და გადამხდელის დასახელება.


მიმწოდებელმა ქარხანამ დეპეშით აცნობა ამის შესახებ გადამხდელს და ითხოვა კუთვნილი თანხის ჩარიცხვა. პასუხის მიუღებლობის გამო მიმართა პრეტენზიით, როგორც საათების მიმღები ისე „კოოპოსილტორგის ბაზას“, ხოლო სასარჩელი დაცხადებში მაძიებელი, გარდა ძირითადი დავალიანებისა, ითხოვდა აგრეთვე ჭარიმას საქონლის ღირებულების ანაზღაურებისაგან თავის არიდებისათვის მიწოდების დებულების 83-ე მუხლის შესაბამისად, და აგრეთვე ჭარიმას პასუხსაგებ შესანახად მიღებული საქონლის გამოყენებისათვის მის ანაზღაურებამდე (მუხ. 86). საქმის არბიტრაჟში განხილვის დღისათვის

მოპასუხემ წარმოადგინა მტკიცება იმისა, რომ ძირითადი დავალიანება საურავის ჩათვლით მან ჩაურიცხა მაძიებელს და განმარტა, რომ განრიგში შეცდომა მის ზემდგომ ორგანოს მოუვიდა.

სახელმწიფო არბიტრაჟმა დავალიანების ძირითად ნაწილში საქმე წარმოებით მოსპო, აუნაზღაურა მაძიებელს სახბაუზე გაწეული ხარჯი, ხოლო ჭარიმების ნაწილში უთხრა უარი.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება გასაჩივრა მაძიებელმა. იგი მოითხოვდა მოპასუხეების დაჭარიმებას.

საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ. მაძიებელს მიეთითა, რომ არც ერთ მოპასუხედ დასახელებულ ორგანიზაციას უარი არ განეცხადებია სადავო ანგარიშის განაღდებაზე. ფაქტიურად ასეთი არც იყო წაყენებული დადგენილი წესით, ვინაიდან ბანკმა დაავალა მაძიებელს დაუხსტებია გადამხდელის დასახელება და ანგარიში, რაც მან არ შეასრულა. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანხმად „კოოპოსილტორგის“ თბილისის ბაზამ იკისრა მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის გარანტია კი, არ გამოიყენა თავისი უფლება წარე-



დგინა ანგარიში გასანადღებლად თბილისის ბაზისათვის, რაც გათვალისწინებულია მიწოდების დებულების 54-ე მუხლით; ასევე არც ერთ მოპასუხეს არ მიუღია სადავო საათები პასუხსაგებ შესანახად და ამიტომ არც ამ

ჯარიმის შეფარდებისათვის არ არსებობდა რაიმე საფუძველი.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება გასაჩივრდა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟში, რომელმაც იგი ძალაში დატოვა.

5. რკინიგზა პასუხს არ აგებს გადასაზიად მიღებულ ტვირთის წონის დაკლებაზე, თუ ტვირთი წესიერულ მდგომარეობაში მყოფი კონტინერით გამგზავნის საღი პლომბებით მოვიდა და გზაში მისთვის ხელი არავის უხლია


სომხეთის მსუბუქი მრეწველობის მარაგებადების სამმართველომ აღძრა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ მის სახელზე გამოგზავნილი საფარდე ქსოვილის დანაკლისის ღირებულებების ანაზღაურებაზე.

სარჩელი ემყარებოდა დანიშნულების სადგურ ერევნის კომერციულ აქტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სადავო ტვირთი მიღებული იყო კონტინერით, რომელსაც ედო სამი გამომგზავნის და ორი რკინიგზის პლომბი მაშინ, როდესაც რკინიგზის ზედნადების თანახმად უნდა ყოფილიყო გამომგზავნის ხუთი პლომბი. კონტინერის გახსნისას აღმოჩნდა საფარდე ქსოვილის დანაკლისი სასარჩელო თანხის ოდენობით.

საქმის გარჩევის პროცესში დადგინდა, რომ კონტინერი დანიშნულების სადგურზე მოვიდა წესიერულ მდგომარეობაში. კონტინერის მარჯვენა მხარეზე იყო გამომგზავნის ორი პლომბი, ხოლო მარცხენა მხარეზე — ერთი. ამ ერთმა პლომბმა გამოირიცხა კონტინერის გახსნის შესაძლებლობა. კონტინერს არ ჰქონდა ხერხების რაიმე ნიშანი. აქედან გამომდინარე არბიტრაჟი იმ დასკვნამდე მივიდა რომ ორი პლომბის გზაში ჩამოცილება დანაკლისთან მიზეზობრივ კავშირში არ არის და მძიებლის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა.

## ზ. კ. იოსელიანი



გარდაიცვალა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სკკპ წევრი 1965 წლიდან ზურაბ გიორგის ძე იოსელიანი.

იგი დაიბადა 1939 წელს თბილისში. 1962 წელს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ-ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში მუშაობდა. 1967 წლიდან პარტიის თბილისის 26 კომისიის რაიკომის ინსტრუქტორია, შემდეგ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი, ხოლო 1976 წელს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ პოსტზე იგი გარდაცვალებამდე მუშაობდა.

ზ. იოსელიანს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. თავმდაბალი და პრინციპული ამხანაგის ზ. იოსელიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვისთანაც მას უმუშავია.

საპარტიველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო,  
საპარტიველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი,  
შურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია.

## მეგობრის ხსოვნას

ქართული იურიდიული საზოგადოებრიობა, ახლობლები და მეგობრები დიდი გულისტკივლით გამოეთხოვენ ზურაბ იოსელიანს, რომელმაც განვლო ხანმოკლე მაგრამ საინტერესო ცხოვრება და სრულიად ახალგაზრდა ასე უღმობლად დაიწვა და დაიფერფლა.

ყველას, ვინც კი ზურაბს ვხვდებოდით, გვაოცებდა მისი ის შემართება და ვაჟკაცობა, რასაც იჩენდა უღმობელ ხენთან შეჭიდებული. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ეს ახალგაზრდა კაცი საქმისა და მეგობრების ერთგული დარჩა.

ზურაბ იოსელიანის სიკვდილმა ერთხელ დაადასტურა ძველი ჭეშმარიტება, რომ არსებობს არა ბედნიერი ცხოვრება, არამედ მხოლოდ ბედნიერი დღეები. ზურაბისათვის ეს ბედნიერი დღეები საკუთარი თავისადმი მაღალი მომთხოვნულობის გაჭირვების ჟამს მეგობრისათვის უანგარო დახმარების, თავისი პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარულის დამადასტურებელი იყო. ეს თვალნათლივ ჩანდა როგორც კოლეგებთან ურთიერთობაში, ისე იმ ადამიანების ბედობლის გადაწყვეტაში, რომელთაც მასთან უხდებოდათ შეხვედრა.

საზოგადოებრივი აზრის დუღილის დღევანდელ პირობებში, როცა ქართველი იურისტები სულ უფრო აქტიურად ებმებიან რესპუბლიკაში მიმდინარე დიდი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ფერხულში, ზურაბ იოსელიანი ყოველთვის უყოყმანოდ იღვას იმით გვერდით, ვისაც სჯეროდა და სწამდა კანონის გამარჯვებისა. ამ


კეთილშობილურ საქმეს შეაღია მთელი თავისი ენერგია და ამიტომ ჰქონდა კიდევ მორალური და იურიდიული უფლება ყოფილიყო რესპუბლიკის იმ ერთ-ერთი კეთილშობილური და საპასუხისმგებლო ორგანოს სათავეში, რომელსაც საქართველოს ადვოკატურა ჰქვია...

სიკვდილმა თან წაიღო ზურაბის ბევრი კეთილშობილური ჩანაფიქრი და ოცნება. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში იგი ბევრს დარდობდა, არ ასვენებდა ფიქრი თავისი შვილისადმი, რომლის მიმართ ზურაბი გასათვარს სიყვარულს და სინაზეს იჩენდა.

ზურაბის მრავალრიცხოვან მეგობრებს არასოდეს დაავიწყდება მისი სახელი და ლამაზად განვლილი ცხოვრება.

ალგაბრტ აბუხაძე

**ი. გ. ბურდულაძე**



ლინის რაიონის პროკურატურის ხახლხო გამოძიებელია. 1938 წელს დაინიშნა წითელწყაროს რაიონის პროკურორად. 1943 წლიდან ქ. თბილისში ვაღმოდის და მუშაობას იწყებს 26 კომისიის რაიონის პროკურორის თანაშემწედ. 1948 წელს კვლავ დაინიშნა წითელწყაროს რაიონის პროკურორად, სადაც იმუშავა 1953 წლამდე, 1953 წლიდან 1957 წლამდე კი მუშაობდა სიღნაღის რაიონის პროკურორად. 1957 წლიდან 1965 წლამდე იყო გურჯაანის რაიონპროკურორი.

არჩეული იყო პარტიის წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის რაიონული კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომის წევრად. მისი დამსახურება აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივო და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებებით გამოცხადებული ჰქონდა მადლობები.

ი. ბურდულაძე პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობდა ჯერ გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, შემდეგ კი გურჯაანის რაიონპროკურორის აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოში უფროს იურისკონსულტად.

ი. ბურდულაძის კალამს ეკუთვნის პუბლიცისტური ჩანაწერები საგამოძიებო პრაქტიკიდან, რომლებიც გამოქვეყნებული იყო საკავშირო და ქართულ პერიოდიკაში.

ი. გ. ბურდულაძის — კეთილი, თავმდაბალი და გულმართალი ადამიანის სახე დიდხანს დარჩება მისი კოლეგების ხსოვნაში.


სამართველო სსრ პროკურატურა

გარდაიცვალა დეველმოსილი იურისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი ივანე გიორგისძე ბურდულაძე.

ი. ბურდულაძე დაიბადა 1905 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში. სრულიად ახალგაზრდა კომკავშირელი ი. ბურდულაძე მუშაობას იწყებს კახეთის სხვადასხვა რაიონის სოფლის სკოლებში, დაწყებითი კლასების მასწავლებლად. 1925 წელს იგი ქართველთა გაერთიანებული სამხედრო სკოლის კურსანტი გახდა.

1934 წელს მუშაობდა საქართველოს ცაკის კადრების სექტორის გამგედ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1935 წლიდან, ი. ბურდულაძე ქ. თბილისის სტა-





# ცნობები ავტორთა შიხსახეზე

**გიმინა მარტაშვილი ქმ სხვადასხვა** — თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 12 შრომის, 2 მონოგრაფიის და 1 ბროშურის ავტორი, მესხეთელ გამოცემის ჩვენი უფროსის ფურცლებზე.

**ნინოქა თაყაიშვილი გიორგის ქმ** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ათამდე მეცნიერული შრომის ავტორი, მესამედ გამოცემის ჩვენი უფროსის ფურცლებზე.

**კვაშილაშვილი ალექსანდრე კონსტანტინის ქმ** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივ პრობლემათა ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის საქართველოს ქვეგანყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 4 შრომის ავტორი, პირველად გამოცემის ჩვენი უფროსის ფურცლებზე.

**დომონტაძე ვლადიმერ მუხომანიძის ქმ** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამწესვლების სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი. პირველად გამოცემის ჩვენი უფროსის ფურცლებზე.

**გაბაშვილი ანატოლი ალექსანდრის ქმ** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, დამწესვლების სოციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 28 შრომის, 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენი უფროსთან.

**სარჯველაძე ნოდარ ილიას ქმ** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამწესვლების სოციოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. პირველად გამოცემის ჩვენი უფროსის ფურცლებზე.

**ვისოციკი სერგეი ალექსანდრის ქმ** — მწერალი, უფროსისტი, რამდენიმე წიგნის ავტორია, მათ შორის სამი, ისევე, როგორც „ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი“, მიძღვნილია ლენინგრადის სისხლის სამართლის სამსახურის საქმიანობისადმი. ს. ვისოციკი წარმოშობით ლენინგრადელი, ბლოკადის მონაწილე, მუშაობდა კომკავშირულ პრესაში და შემდგომ, გამოცემლობა „მოლოდაია გვარდაში“, 1976 წლამდე იყო უფროსი „ჩემოვეც ი. ზაკონის“ მთავარი რედაქტორი, ამჟამად უფროსი „ოკონიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეა. „ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი“ გაზეთ „პრავდის“ მიმოსილებაში, აგრეთვე, ლიტერატურაშია გაზეთში“ დადებითი შეფასება დაიმსახურა.

## შედეგების განხილვა

ჩვენი უფროსის 1977 წლის № 6-ში 84-ე გვერდის პირველ სვეტში, ბოლოდან მე-10 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „აღსაკვეთავად, აგრეთვე სამხედრო მომსახურენი“ და შემდეგ როგორც ტექსტში; ამავე გვერდზე მეორე სვეტის ზემოდან მე-6 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს „6. შეუმცირდეს სასჯელის მოხელე ნაწილი“ და შემდეგ როგორც ტექსტში.

უფროსის პირველი ნომრის მოწინავეში არაზუსტად არის მიითითებული შინაგან საქმეთა ორგანოების იმ მუშაკების საშუალო ადგილი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ქრთამის აღებისათვის. ე. სეფერიანი, გ. ბეტიკინი მუშაობდნენ გავრის და არა გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, ხოლო თ. ჯაფარიძე გორის საქალაქო და არა რაიონულ განყოფილებაში. რედაქციამ სამწუხაროდ გაიგეორა ოფიციალურ დოკუმენტში გაპარული შეცდომა.

გარეკანის მხატვარი ი. ჯიბჯინაშვილი

---

«САБЧОТА САМАРТАЛИ» № 2, 1978 (на грузинском языке). Двух-  
мный научно-практический журнал Министерства юстиции СССР, Прокура-  
туры СССР, Верховного Суда СССР.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

613/128



ՅՆՆ 50 333.

ИНДЕКС 70185